# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 26 მაისი 2000 №98 (1120) | ფასი 50 თეთრი




წუხელ მადრიდში: ჩემპიონთა თასის მფლობელ „რეალს“ მეფურად ეგებებიან

# ძოძუაშვილი და ყიფიანი

## თბილისელთა ქუთაისელი VS ქუთაისელთა თბილისელი



დღეს საქართველოს თასის ფინალში ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი ეროვნული ნაკრებისვე მთავარ მწვრთნელ დავით ყიფიანს გაეჯიბრება. ასეთი ფინალი საქართველოს თასს ჯერ არ ახსოვს, თუნდაც იმიტომ, რომ ნაკრებს აქამდე ორი მთავარი მწვრთნელი არასდროს ჰყოლია. ყიფიანის „ტორპედო“ თასს უკვე ჩემპიონის რანგში დაიცავს. ძოძუაშვილის „ლოკომოტივი“ კი უთასოდაც რომ დარჩეს და ბოლო ტურში „გორდასთან“ წაგებით თავი მეორე ლიგაში ამოჰყოს, უეფას თასზე მაინც ითამაშებს. ევროპელ ფეხბურთის მამათა გადაწყვეტილებით ასეთია ჩემპიონთან დამარცხებული ფინალისტის ხვედრი. თბილისიდან ქუთაისში წლეულს გადაბარგებულმა დავით ყიფიანმა საქმის ნახევარი უკვე გააკეთა: „ტორპედოს“ სანუკვარი ჩემპიონობა მოაპოვებინა. საქმე ისაა, რას მოიგებს ქუთაისიდან 10 წლის წინ აბარგებული და სამშობლოში ამ ზამთარს ხმაურით დაბრუნებული რევაზ ძოძუაშვილი, რომელმაც დღეს ბეწვის ხიდზე უნდა გაიაროს.

იხილეთ მეორე-მესამე გვერდები

## საქართველოს თასი

თბილისი. „ეროვნული“. 26 მაისი. 19 საათი

**ფინალი**

მსაჯები:
ს. კვარაცხელია (ზუგდიდი);
ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირღავა (გულრიფში);
ა. შილაკაძე (თბილისი)
სფფ-ის დელეგატი:
ა. მილჩენკო

### ლოკომოტივი — ტორპედო

**ნახევარფინალი**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი — ბათუმი 2:0, 0:1 | დინამო — ტორპედო 1:1, 0:0 |

**მეოთხედფინალი**

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი 0:0, 0:0 (პ1:3) | სამგურალი — ტორპედო 0:0, 0:2 |

**მერვედფინალი**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი — თბილისი 1:1, 1:0 | შსს აკადემია — ტორპედო 0:5, 0:2 |

**მეთექვსმეტედფინალი**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი — ლოკომოტივი 2 5:0, 3:1 | ტორპედო — სამეგრელო 7:0, 4:0 |

# მადრიდული რეალობა

## ჩემპიონთა თასი ესპანელებს 15 მილიონი პესეტი დაუჯდათ

სამეფო კლუბის გუშინწინდელი გამარჯვებით გამოწვეული სიხარული მადრიდელებს ძვირი დაუჯდათ. ქალაქის მერიის განცხადებით, „რეალის“ აღტაცებულ ქომაგთა ზღვარსგადასულმა ზეიმმა მადრიდი დაახლოებით 15 მილიონი პესეტით (81 060 დოლარი) აზარალა. დაზიანებულ საგანთა ნუსხაში, სხვა რამესთან ერთად, ქუჩის შვიდი საათი და 4 ვიდეოტაბლოცაა.

საჭირო თანხის ორი მესამედი სიბელესის მოედნის გადათელილი ყვავილნარის აღდგენას მოხმარდება. ეს სწორედ ის ადგილია, სადაც მადრიდული კლუბის ქომაგები ტრადიციულად „რეალის“ გამარჯვებებს აღნიშნავენ.

ხუთშაბათის ღამის ფესტივალის შემდეგ მადრიდელმა მეეზოვეებმა დაახლოებით 20 ტონა ნაგავი ახვეტეს სიბელესის მოედნიდან და მისი ახლომდებარე ქუჩებიდან.

ადგილობრივი მერიის ორივე ფრთამ, სოციალისტურმა პარტიამ და ულტრამემარცხენე „ესკერდა უნიდამ“ განაცხადეს, რომ მადრიდულ კლუბს, შესაძლოა, ქომაგთაგან ქალაქისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებამ მოუწიოს.

ის, რაც გუშინწინ გამთენიისას მოხდა, ერთია. წუხელ ჩემპიონთა თასის ახალი მფლობელი მადრიდის „რეალი“ პარიზიდან ესპანეთის დედაქალაქს ჩავიდა და ქუჩებში გამოფენილი მადრიდელები კიდევ რამდენი პესეტით აზარალებენ ქალაქს, ამას ალბათ ხვალ დაითვლიან.

# დინამო გაისტუმრებს:

## უეფას, ვალებს და ფეხბურთელებს

გუშინ გადაწყდა, რომ თბილისის „დინამოს“ ორი ფეხბურთელი დატოვებს. გუნდის კაპიტანი გივი დიდავა და მეგოლე კლიმენტი წიტაიშვილი 29 მარტს ისრაელს მიაშურებენ და ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან კლუბ თელ ავივის „მაკაბისთან“ კონტრაქტს გააფორმებენ.

— ამ ფეხბურთელებმა თავად გამოთქვეს „დინამოდან“ წასვლის სურვილი, თანაც მათ „მაკაბი“ ეპატიჟებოდა და არც ჩვენ შევუშალეთ ხელი. ისინი კლუბის მონები არ არიან, სადაც სურთ, იქ უნდა ითამაშონ — გვითხრა წუხელ „დინამოს“ გენერალურმა მდივანმა ვაჟა ჟვანიამ.

დიდავასა და წიტაიშვილის სანაცვლოდ „მაკაბისგან“ გადახდილი 200 ათასი ამერიკული დოლარი „TBC-ბანკში“ ჩაირიცხება, 131 ათასი იქვე დარჩება და „დინამო“ ამ ბანკის ვალს თავის საურავებიანად გაისტუმრებს. ამ თანხიდან 31 523 დოლარს კლუბი „აგრობანკშიც“ გადარიცხავს და მათაც ამოშლის მევალეთა სიიდან. ნაშთით „დინამო“ კომუნალური დავალიანების დაფარვასაც აპირებს. ერთი სიტყვით, ექსჩემპიონმა ორი წამყვანი ფეხბურთელი სულ 200 ათასად გაყიდა და ახლა, საქმე დანარჩენ მოთამაშეთა ტრანსფერზე თუ მიდგება, კლუბი იმდენს მოითხოვს, რამდენსაც საჭიროდ ჩათვლის — მთლად ჩალის ფასად ფეხბურთელებს არ შეელევიან.

— გამორიცხულია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დიდავასა და წიტაიშვილს ისრაელში თამაშის უფლება არ მისცეს. მათ ამის უფლება არ აქვთ, იგივეს ვერ გაიმეორებენ, რაც აშვეთიას „ალანიაში“ ტრანსფერისას გააკეთეს — ესეც ვაჟა ჟვანიამ განგვიცხადა.

და კიდევ ერთი ახალი ამბავიც: თბილისის „დინამო“ თუ ჩემპიონატში ბრინჯაოს დასჯერდა და ინტერტოტოს საგზური მოიპოვა, ამ გათამაშების ორგანიზატორებს უარით გაისტუმრებს და გზას მეოთხეადგილოსანს დაუთმობს. საქმე ისაა, რომ „დინამო“ ინტერტოტოზე თამაშისას ალბათ ვერაფერს იხეირებს. უეფა ერთ მეტოქესთან გაჯიბრებისთვის 50 ათასს შვეიცარიულ ფრანკს კი გადაურიცხავს, მაგრამ მეტი თუ არა, დაახლოებით ამდენივე იქნება დინამოელთა ხარჯიც...

ბობა ინასარიძე

# ს. კ. ლოკომოტივი

**დაარსდა:** 1990 წელს
**პრეზიდენტი:** აკაკი ჩხაიძე
**მწვრთნელი:** რევაზ ძოძუაშვილი
**სტადიონი:** მიხეილ მესხი (ტევადობა 16 000), დროებით თამაშობს ეროვნულ სტადიონზე (ტევადობა 75 000)
**ბრინჯაოს პრიზიორი** (1998–99)
პირველ ოთხ ჩემპიონატში „მერანის", მეხუთე–მეექვსეში კი „მერანი–ბაჩოს" სახელით გამოდიოდა.

## 1999–2000 გზა ფინალამდე

**მეთერთმეტედფინალი**

**ლოკომოტივი 5:0 ლოკომოტივი 2**
1:0 ქობულაძე (7), 2:0 ქობულაძე (37), 3:0, 4:0 ქებაძე (45, 78), 5:0 ქობულაძე (88)

**ლოკომოტივი 2 1:3 ლოკომოტივი**
0:1 შავგულიძე (58), 0:2 შავგულიძე (68), 1:2 გიორგი ჯანელიძე (71З), 1:3 ქებაძე (76)

**მერვედფინალი**

**ლოკომოტივი 1:1 თბილისი**
1:0 ჭიჭვეიშვილი (61), 1:1 ბურდული (71З)

**თბილისი 0:1 ლოკომოტივი**
0:1 რუსია (5)

**მეოთხედფინალი**

**ვიტ ჯორჯია 0:0 ლოკომოტივი**

**ლოკომოტივი 0:0 ვიტ ჯორჯია**
*პენალტებით 3:1 ლოკომოტივმა მოიგო*

**ნახევარფინალი**

**ლოკომოტივი 2:0 ბათუმი**
1:0 კვარაცხელია (12), 2:0 ჯულელი (68)

**ბათუმი 1:0 ლოკომოტივი**
1:0 ხუჯაძე (23)



რევაზ ძოძუაშვილი ლოკომოტიველებს „ვიტ ჯორჯიასთან" დამატებითი დროის წინ ჰკუას არიგებს

# ერთი მიზანი: მოვიგოთ თასი

თავიდან იყო დიდი ამბიცია. „ლოკომოტივის" თავკაცებმა გუნდის საპრიზო ადგილებზე გაყვანა და ევროსარბიელის მეორედ დაჭაშნიკება ჩაიფიქრეს.

სოლიდური და მყარი ფინანსური ბაზა, ვაკეში მშენებარე ახალი სტადიონი, ახალი მწვრთნელები და ფეხბურთელები თითქოს წარმატების გარანტიას იძლეოდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღესაც გაირკვა, რომ „ლოკომოტივი" საპრიზო ადგილებისთვის კი არა, ჯგუფში დასარჩენად იბრძოლებდა.

ძალიან ალაშფოთა ამ ფაქტმა კლუბის თავკაცები. იმრავლა პატარ-პატარა სკანდალებმა. პირველი ეტაპის „დინამო" — „ლოკომოტივიც" ბევრს ახსოვს და იმ მატჩის არბიტრ გურამ ასკაროვლის სენსაციური განცხადებებიც.

ვინ იცის, მერამდენედ შეიცვალა მწვრთნელი, საგრძნობლად გადახალისდა შემადგენლობა. ჩემპიონატის პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ გაირკვა, რომ რკინიგზელებს ევროპული საგზურის მოპოვების ერთადერთი შანსი კიდევ შერჩენოდათ — „ლოკომოტივი" თასის გათამაშების მერვედფინალში გასულიყო.

„თასის მოპოვება და ჯგუფში ადგილის შენარჩუნება. მორჩა, სხვაც არაფერი მაინტერესებს" — ასეთი იყო ხელმძღვანელობის საბოლოო, თანაც მკაცრი მოთხოვნა.

...და შეუდგა საქმეს რევაზ ძოძუაშვილი. ნაბიჯ-ნაბიჯ შეაკოწიწა გუნდი და მიუხედავად იმისა, რომ „ლოოკომოტივი" თავიდან შთამბეჭდავ თამაშს ვერ უჩვენებდა, პროგრესი აშკარად იგრძნობოდა.

თებერვლის ბოლოს და მარტის დასაწყისში თასის მერვედფინალური მატჩები იყო. რკინიგზელებმა ძნელად, მაგრამ ორი შეხვედრის ჯამში მაინც სძლიეს დასუსტებულ და გადახალისებულ „თბილისს".

მარტშივე იყო მეოთხედფინალური მატჩებიც. ძოძუაშვილის სამწყსოს საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლი ახალგაზრდული „ვიტ ჯორჯია" ერგო მეტოქედ. მცხეთაში და „ეროვნულზეც" თამაშები ფრედ, 0:0 დამთავრდა. მატჩისშემდგომი პენალტების სერია კი რკინიგზელებმა მოიგეს.

იმ თამაშში გატანილი ერთადერთი და არჩათვლილი გოლი დიდხანს იყო საფეხბურთო საქართველოში დავის საგანი. სპეციალისტები და ფეხბურთის ფედერაციის კომპეტენტური პირები ერთხმად აღიარებდნენ, რომ „ვიტ ჯორჯია" დაიჩაგრა. მელქაძის გოლი უნდა ჩათვლილიყო. თამაშგარე მდგომარეობის დამფიქსირებელი თანამსაჯი დაისაჯა. „ლოკომოტივმა" კი წინსვლა განაგრძო.

ამასობაში რევაზ ძოძუაშვილმა შეძლო, გუნდი აეთამაშებინა. რკინიგზელები მატჩიდან მატჩამდე იხვეწებოდნენ და თავიანთი სერიოზული ძალა და ბრჭყალები პირველად თასის ნახევარფინალში გამოაჩინეს.

„ბათუმთან", პირველ ნახევარფინალურ მატჩში, „ლოკომოტივი" შეუჩერებელი იყო. საპასუხო თამაშამდე მოპოვებული ორბურთიანი უპირატესობა საბოლოო წარმატების გარანტიას ვერა, მაგრამ „თავისუფლად სუნთქვის" საშუალებას აშკარად იძლეოდა. „ლოკომოტივიც" იმედიანად დაადგა აჭარის გზას.

იმ პერიოდში (ახლაც) ზღვისპირელებს აშკარა ჩავარდნა ჰქონდათ, მაგრამ საბრძოლო ფორმაში არმყოფი და გაახალგაზრდავებული „ბათუმიც" კი სერიოზული მეტოქეა, რომელიც აბუჩად აგდებას არ გაპატიებს. კარგად იცოდა ყოველივე რევაზ ძოძუაშვილმა და მისმა გუნდმა შეძლო, საპასუხო მატჩი თავისთვის ხელსაყრელი ანგარიშით დაემთავრებინა. „ბათუმმა" ერთი ბურთის მეტი ვერ გაქვითა. „ლოკომოტივი" ფინალში გავიდა.

ამასობაში ქუთაისის „ტორპედო" საქართველოს ჩემპიონიც გახდა და თასის ფინალში თამაშიც გაინაღდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ თბილისის „ლომოკოტივი" თასის მოუგებლადაც ევროარენაზე გაინავარდებდა.

„თასის მოგება და ჯგუფში ადგილის შენარჩუნება" — კლუბის თავკაცებს ადრე მიღებული გადაწყვეტილება არ შეუცვლიათ. ჯერ არც თასია მოგებული და ჯგუფში ადგილის შენარჩუნებაც საპრობლემოა.

დღეს თასის ფინალია და საბოლოო მიზნის პირველ ნაწილს გაეცემა პასუხი. „ლოკომოტივი" სწორედ დღესაა ყველაზე უკეთეს ფორმაში. გუნდი ტრიუმფისთვის ემზადება, მაგრამ ისიც ხომ ნათელია, რომ საქართველოს ჩემპიონისა და ჯერაც თასის მფლობელის წაქცევა არაა ადვილი საქმე.

რევაზ ძოძუაშვილს ოპტიმალური შემადგენლობის შერჩევა არ უნდა გაუჭირდეს. ტრავმირებული და დისკვალიფიცირებული არავინ ჰყავს.

„ლოკომოტივის" მეკარე და დაცვა სიმედოა, ნახევარდაცვა მუშა და და[...] ულელი. ალბათ, ძოძუაშვილი ერთ[...] თავდამსხმელით თამაშს ირჩევს. გა[...] მოცდილი ჯულელი იმას ეცდება, რა[...] შარშანდელ ფინალში ვერ მოახერხ[...]

მეტოქის მჭიდრო მეურვეობა, მო[...] წინააღმდეგისთვის სათამაშო სივრცი[...] მაქსიმალურად შეზღუდვა და მათ[...] შეცდომების გამოყენება. ასეთი იქნ[...] ბა „ლოკომოტივი" დღეს. ვნახოთ, ფე[...] ხბურთელები დავალებას თავს რო[...] გორ გაართმევენ.

მანამდე კი რკინიგზელები საკუ[...] თარ ბაზაზე ემზადებიან. საპასუხის[...] მგებლო მატჩის წინ რევაზ ძოძუა[...] შვილს შეკრებაზე ჰყავს ბიჭები.

„ლოკომოტივის" წისქვილზე ისი[...] ასხამს წყალს, რომ ფინალი „ეროვ[...] ნულ" სტადიონზეა დანიშნული. რა[...] „მიხეილ მესხი" თავიდან შენდება, რკი[...] ნიგზელები საშინაო მატჩებს „ეროვ[...] ნულზე" ატარებენ. ათი თვე დიდი დრო[...] და ქვეყნის ჯერაც უპირველესი სარბი[...] ელი მეტად ახლობელი ალაგია რკინი[...] გზელებისათვის. მართალია, მთლა[...] გადამწყვეტი არა, მაგრამ გარკვეულ[...] მნიშვნელობა ამ ფაქტსაც ენიჭება.

უცხო და მოულოდნელი რა შეიძლე[...] ბა შესთავაზონ ერთმანეთს რევაზ ძოძუ[...] აშვილმა და დავით ყიფიანმა? ფაქტობ[...] რივად არც არაფერია. მათ ერთად მუშ[...] ობის გვარიანი სტაჟი აქვთ. ისინი ერ[...] თად იყვნენ „დინამოში" და ნაკრებში[...] ეროვნულ გუნდს ახლაც ერთად თავკა[...] ცობენ. ორივენი კარგად იცნობენ ერთი[...] მეორის საფეხბურთო მსოფლმხედველ[...] ობას. ასე რომ, ვფიქრობთ, ახალი და აქ[...] ამდე უნახავი ვერაფერი უნდა ვიხილოთ.

დღევანდელი მატჩის ბედს, ალბათ[...] ფეხბურთელთა საშემსრულებლო ოს[...] ტატობა გადაწყვეტს. დღეს გამოჩნ[...] დება, ვის განკარგულებაშია უკეთეს[...] მოთამაშეები. ისე, ყიფიანს თასის[...] მომგებთა მთელი არმია ჰყავს. წაგე[...] ბული მხოლოდ ერთია, ყოფილი სამ[...] გურალელი, ცენტრალური მცველი მი[...] ხეილ მაზვილაძე. ძოძუაშვილს თასის[...] ფინალის სამი მომგები (დავით ჭიჭვე[...] იშვილი, კახა გოგიჩაიშვილი და გია[...] ჩხაიძე) და ამდენივე დამარცხებულ[...] ჰყავს (დავით ასლანაძე, გიორგი ჩიხ[...] რაძე და ივანე ჯულელი).

*სავარაუდო შემადგენლობა: ლომაი[...] ლ. მიქაძე, გ. ჩიხრაძე, ჩხაიძე, ბალა[...] შვილი, ჭიჭვეიშვილი, კვარაცხელია[...] გოგიჩაიშვილი, ხიზანიშვილი, რუსია[...] ჯულელი.*

**მამუკა ძვანტალიანი**

## მეკარეები

**გიორგი ლომაია:** 20 წლის. მას შემდეგ, რაც „დინამოს" თავი დააღწია, სისტემატურად თამაშობს. იყო თბილისურ „მერანშიც" და ავჭალელებთან ერთი ნაყოფიერი სეზონიც გაასრულა. „ლოკომოტივში" ჩემპიონატის დასკვნით ეტაპიდან ირიცხება. ლომაია ცივსისხლიანია. თამაშობს ემოციების გარეშე. კარგია როგორც ხაზზე, ასევე გამოსვლებისას. რკინიგზელები რომ ფინალში გავიდნენ, ეს მეტწილად გიორგის დამსახურებაა.

**დავით ასლანაძე:** 23 წლის. ტანმაღალ და ნიჭიერ მეკარეს ბოლო დროს ტრავმებმა ბევრი დააკარგვინა. უთამაშია „ტორპედოში" და „სამგურალში". რკინიგზელებთან ჩემპიონატის დასაწყისში გადაბარგდა. თუ ათამაშეს, დღევანდელი ფინალი მისთვის ზედიზედ მეორე იქნება. შარშან პენალტების სერიას თუ არ ჩავთვლით, ძლიერად ითამაშა.

## მცველები

**გიორგი ჩიხრაძე:** 32 წლის. ყოფილ ცხუმელს საქართველოს თასის ფინალში ჯერ კიდევ 1990 წელს უთამაშია. „ცხუმი", უკრაინული „ტემპი" და „შახტიორი", ჩინური საფეხბურთო სამყარო თბილისის „დინამო" — „ლოკომოტივამდე", ეს იყო გიორგის სარბიელი. რკინიგზელი 1999 წლიდანაა. ჩიხრაძე გამოცდილ და უკანა ხაზის ბურჯად ითვლება. დღეს თავის რიგით მესამე ფინალს ითამაშებს.

**ლევან მიქაძე:** 26 წლის. ესეც ყოფილი ცხუმელია. დაცვაში ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში. ძლიერი დარტყმით გამოირჩევა. თავის პირველ ფინალს თამაშობს.

**დავით ჭიჭვეიშვილი:** 25 წლის. მაღალი და ათლეტური მცველია. კარგ ფორმაში მყოფს საიმედოდ თამაში შეუძლია. რუსული „ალანიადან" დაბრუნებული ძველებურად ვერ გამოიყურება, მაგრამ მისი გამოცდილება შეიძლება გუნდს დიდად წაადგეს. „ლოკომოტივში" ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპიდან ირიცხება. 1998 წლის ფინალის გამარჯვებული და ოქროს გოლის ავტორია.

**გია ჩხაიძე:** 30 წლის. ყოფილი ტორპედოელი რუსული „ალანიიდან" რევაზ ძოძუაშვილმა გამოიხმო. სწრაფი მარცხენაფლანგელია. თასის ფინალი 1997 წელს მოუგია. ახლა ბედს მეორედ ცდის.

**ვალერი აბრამიძე:** 20 წლის. მაღალი მცველია, თავით კარგად თამაშობს. აქამდე „დინამო 2" და „თბილისი" მოუვლია. დაცვის ცენტრში განსაკუთრებულად ირჯება. ჩიხრაძესთან ერთად საიმედო ტანდემი შექმნა.

**გიორგი ბალაშვილი:** 27 წლის. ხისტი და ფიზიკურად ძლიერი მცველია. დაცვაში ყველა პოზიციაზე თამაში შეუძლია. წარმატებით ართმევს თავს პერსონალურ მეურვეობას. მეთერთმეტე ეროვნულის პირველ ეტაპზე მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის გათამაშების ბოლომდე მოკვეთეს, მაგრამ რევაზ ძოძუაშვილის დაჟინებული მოთხოვნით (ეროვნული გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე) სასჯელი მოუხსნეს.

**აქვსენტი გილაური:** 20 წლის. ფაქტობრივად, „ლოკომოტივის" სათადარიგო მცველია, მაგრამ როცა საქმემ მოითხოვა, თავი არასდროს შეურცხვენია. ფიზიკურად ძლიერი და ხისტი უკანახაზელია. მინდორზე ფუტკარივით მუშა თავის დავალებას უსიტყვოდ ასრულებს.

## ნახევარმცველები

**კახა გოგიჩაიშვილი:** 31 წლის. გამოცდილებითა და ეროვნულ ჩემპიონატში ხანგრძლივი თამაშით ბევრსაც არ ჩამოუვარდება. დღეს რიგით მესამე ფინალს თამაშობს. სწრაფი მარჯვენაფლანგელია. ბოლო დროს თავდასხმაშიც გაამწესებენ ხოლმე.

**მამუკა რუსია:** 25 წლის. „ლოკომოტივის" კიდევ ერთი ექსცხუმელი. გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, თამაში ნახევარდაცვასა და თავდასხმაშიც შეუძლია. მისი მთავარი კოზირი სისწრაფეა. არცთუ ტანმაღალი თავითაც ნორმალურად თამაშობს.

**გენადი კაციაშვილი:** 30 წლის. ერთ დროს რკინიგზელთა ხელმძღვანელობის საყვარელი მოთამაშე. ახლა თითქმის სათადარიგოდ გადაიქცა. მარჯვენაფლანგელია, მაგრამ განსაკუთრებით დიდი სისწრაფით არ გამოირჩევა.

**გივი კვარაცხელია:** 21 წლის. ფიზიკურად ძლიერი საყრდენი ნახევარმცველია. ხისტი ფეხბურთელი გახლავთ და თავით კარგად თამაშობს. მინდორზე შავ სამუშაოს დაუღალავად ასრულებს. წარმატებების მიღწევა (თავდამსხმელთა პასებით მომარაგება) წინაც შეუძლია.

**ზურაბ ხიზანიშვილი:** 19 წლის. მას თამამად შეიძლება უნივერსალური მოთამაშე შევარქვათ. ითამაშებს ყველგან, დაცვაში, ნახევარდაცვასა თუ თავდასხმაში. განსაკუთრებული საიმედოობით უკანა და შუა ხაზში გამოირჩევა. ზურაბს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

**დავით გოდერძიშვილი:** 27 წლის. ადრ[...] თავდამსხმელი, რევაზ ძოძუაშვილის ხელში[...] მარცხენა ნახევარმცველად გადაიქცა, თუმც[...] გუნდის ძირითად შემადგენლობაში ძალია[...] იშვიათად ჩნდება. სწრაფია და გოლის[...] ალღოც არ დაეწუნება.

## თავდამსხმელები

**ივანე ჯულელი:** 33 წლის. საქართველოს[...] შარშანდელი თასის ფინალის წინ დაბრუ[...] ნდა და ვახტანგ ხვადაგიანს მეორე სართულ[...] ზე თითქმის ყველა ბრძოლა მოუგო. მოუ[...] ზადებელს ფიზიკურად გაუჭირდა დამატები[...] დროში, წლეულს ამანვე არ უნდა დაალალატ[...] ოს. თავით კარგად თამაშობს და ბომბარდი[...] რული თვისებებით გამოირჩევა — ეროვნულ[...] ჩემპიონატში 94-ჯერ გაუტანია. გამოცდი[...] ლება არ აკლია, თამაშს მრავალნაირი სა[...] ფეხბურთო „ეშმაკობებიც" უადვილებს.

**მერაბ ძოძუაშვილი:** 19 წლის. „ლოკომო[...] ტივში" გადმოსვლამდე „სამგურალის" რი[...] გებში ირიცხებოდა და თავიც არაერთხელ[...] გამოუჩენია. თბილისში გადმობარგებულმა[...] „ვიტ ჯორჯიას" „ლოკომოტივი" არჩია. თა[...] ვიდან რევაზ ძოძუაშვილი მოგვარე ყმაწვი[...] ლსაც ძირითადში ანდობდა ადგილს და კვი[...] პროსის ტურნირზე ეროვნულ ნაკრებშიც ათა[...] მაშა. ახლა აშკარა ჩავარდნა აქვს.

**მიხეილ ჯიშკარიანი:** 30 წლის. კიდევ ერთი[...] ექსცხუმელია, რომელიც არ არის გამორიცხ[...] ხული, დღეს „ეროვნულზე" ვიხილოთ. უკ[...] რაინა და რუსეთი მოუვლია, ბოლოს სარა[...] ტოვის „სოკოლში" თამაშობდა. გიორგი ჩი[...] ხრაძის მსგავსად თასის პირველ და მეორე[...] ფინალებში მიუღია მონაწილეობა. გამოც[...] დილი და სწრაფი ფორვარდია.



ტორპედოელმა მალხაზ ასათიანმა (შუაში) არჩილ სახვაძისა და ირაკლი ვაშაკიძის „დინამოს" გოლი გაუტანა

## ს. კ. ტორპედო

**დაარსდა:** 1948 წელს
**პრეზიდენტი:** მიხეილ ქორქია
**მწვრთნელი:** დავით ყიფიანი
**სტადიონი:** ტორპედო (ტევადობა 20 000)
**ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი (91, 94), ვერცხლის პრიზიორი (1998–99), საქართველოს ჩემპიონი (1999–2000), საქართველოს თასის მფლობელი (1999)**
პირველ სამ ჩემპიონატში გამოდიოდა „ქუთაისის" სახელით.

### 1999–2000 გზა ფინალამდე

**მეთექვსმეტედფინალი**

**ტორპედო 7:0 სამეგრელო**

1:0 დ. ჯანაშია (5), 2:0 მეგრელაძე (25), 3:0 იმედაძე (26), 4:0 მეგრელაძე (35), 5:0 ვაჩიბერიძე (54), 6:0 ჩხეტიანია (74), 7:0 იმედაძე (90)

**სამეგრელო 0:4 ტორპედო**

0:1 იმედაძე (12), 0:2 მეგრელაძე (55), 0:3 მ. ბობოხიძე (74), 0:4 მეგრელაძე (81)

**მერვედფინალი**

**აკადემია 0:5 ტორპედო**

0:1, 0:2 იონანიძე (28, 44), 0:3 მეგრელაძე (45), 0:4 მ. ბობოხიძე (63), 0:5 ჩხეტიანი (69)

**ტორპედო 2:0 აკადემია**

1:0 მახვილაძე (28), 2:0 მეგრელაძე (78)

**მეოთხედფინალი**

**სამგურალი 0:0 ტორპედო**

**ტორპედო 2:0 სამგურალი**

1:0 ხვადაგიანი (79), 2:0 მეგრელაძე (81)

**ნახევარფინალი**

**დინამო 1:1 ტორპედო**

0:1 მეგრელაძე (40), 1:1 გუჩუა (54)

**ტორპედო 0:0 დინამო**

# დუბლი?! რატომაც არა!

ქუთაისის „ტორპედო" ჩემპიონია. კლუბის თავკაცების მიერ სეზონის დასაწყისში დასახული ამოცანა გუნდმა პირნათლად შეასრულა. საბოლოო საწადელს რიონისპირელებმა გორში მიაღწიეს.

თითქოს მთელი „ტორპედო" სიხარულისა და თავდავიწყების მორევში უნდა გადაშვებულიყო, მაგრამ გრანდიოზული მოლხენა ათიოდ დღით გადაიდო.

— დავიდირ, თუ შეიძლება, ქუთაისში ხვალ ჩამოვალთ. პირობას გაძლევთ, ყველაფერი რიგზე იქნება.

— არავითარ შემთხვევაში, მსგავსი რამ მეორედ არ გავიგო. ყველანი ავტობუსში და ბაზაზე. ხომ არ გადაირიეთ, წინ 26 მაისია.

გორში, გაჩემპიონებიდან ნახევარ საათში, რამდენიმე ტორპედოელი მთავარ მწვრთნელს რამდენიმესაათიან თავისუფლებას სთხოვდა, მაგრამ ყიფიანი კატეგორიული იყო.

— დუბლი?! რატომაც არა, თასი ისევ „ტორპედომ" უნდა მოიგოს — განაცხადა გაჩემპიონებული გუნდის პრეზიდენტმა მიხეილ ქორქიამ.

...და იმ დღიდან გუშინდლამდე რიონისპირელები საღორიის ბაზაზე ემზადებოდნენ. გუშინ დედაქალაქისკენ გამოსწიეს, დაბინავდნენ, დაისვენეს და ივარჯიშეს კიდეც. ახალი, მორიგი იმედით ხვდებიან 26 მაისს. შარშან ამ დროს მათი ზეობა იყო, რა მოელით დღეს?!

ახლა კიდევ უფრო დამაჯერებლად ჟღერს „ტორპედოს" ახალგაზრდა თავდამსხმელის გია იმედაძის ჩემპიონატამდელი სიტყვები: „ჩვენ ჩემპიონობა და თასი, ორივე გვენატრება და საწადელს მივაღწევთ კიდეც." იმედაძის პროგნოზის ასრულებამდე ერთი ნაბიჯია დარჩენილი.

„ტორპედოს" ბრინჯაო მოუპოვებია (თანაც ორჯერ), ვერცხლსაც დაუფლებია და თასიც შეუთამაშებია ხელში. ამას ევროსარბიელის დაჭაშნიკებაც დავუმატოთ და ვინ იტყოდა, რიონისპირელებს ტიტულები აკლდათო, მაგრამ ქუთაისელები მაინც „მშიერ მგლებს" ჰგავდნენ. მათ ჩემპიონობის „შიმშილი" ჰკლავდათ.

გახდნენ კიდეც ჩემპიონები, მიზნისკენ დაუოკებელმა სწრაფვამ შედეგიც სანატრელი და სასურველი გამოიღო. ამან შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს გუნდზე. „ტორპედოს" არ ჰქონდა, აკლდა და იშოვა. ტიტული არ დარჩა (რა თქმა უნდა, სუპერთასის გარდა) მათი მოუგებელი. „ტორპედო" ახლა ძალიან „მაძღარია", მაგრამ დუბლი სულ სხვაა. დუბლი, აქამდე მხოლოდ „დინამოს" გაუჩარხავს.

ქუთაისელებს შემადგენლობას ვერავინ დაუწუნებს, მეკარე ორივე კარგი, დაცვა საიმედო და შეთამაშებული, შუა ხაზი გამჭრიახი და სწრაფი, ხოლო თავდასხმა მეტოქის კარზე დაგეშილი. თითქოს ყველა წინაპირობა არსებობს გამარჯვებისთვის, მაგრამ ძოძუაშვილის „ლოკომოტივი" მეტად უხერხული და სახიფათო მეტოქეა. დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი.

რიონისპირელები, ისევე როგორც რკინიგზელები, თასის გათამაშებაში მეთექვსმეტედფინალიდან ჩაებნენ. აქედანვე უნდა ვთქვათ, ნახევარფინალამდე „ტორპედოს" ისეთი მეტოქე არ შეხვედრია, მის შეჩერებას რომ შეძლებდა.

ქუთაისელებმა მეთექვსმეტედფინალში ჩხოროწყუს „სამეგრელოს" 11 უპასუხო გოლი გაუტანეს, ამათ პოლიციელთა „აკადემია" მიაყოლეს. შედეგი ისევ შთამბეჭდავი იყო — 7 უპასუხო გოლი ორი მატჩის ჯამში. მერე პირველჯგუფელთა ჯერი დადგა და „ტორპედოს" შარშანდელი თასის ფინალის მოწინააღმდეგე შემოემარცხა. „სამგურალმა", რომელიც გასულ წელთან შედარებით აჩრდილიღა დარჩენილიყო, მეზობელს კიდევ კარგად გაუძლო. მხოლოდ ორი ბურთი გაუშვა და ისიც სტუმრად. გატანით კი ერთიც ვერ გაუტანა.

იმერლები ტრიუმფით მოვიდნენ ნახევარფინალამდე. 20 გატანილი და არც ერთი გაშვებული გოლი მათ სიძლიერეზე მეტყველებდა.

...და ნახევარფინალი, მეტოქე „დინამო" იყო, რომლის ჰეგემონიის დამხობას „ტორპედო" დიდხანს ცდილობდა. ბევრი ჭორ-მართალი უძღოდა იმ დაპირისპირებას წინ, მაგრამ ნახევარფინალმა ნდობა გაამართლა. მართალია, „დინამო" მეტოქეს არ დაეჩაგვრინა, მაგრამ სარბიელი დათმო და ჩემპიონობის დაკარგვას თასიც ზედ მიაყოლა.

გუშინ „ტორპედო" საბურთალოზე, სასტუმრო „ციცინათელაში" დაბინავდა. დავით ყიფიანი არც ამჯერად ღალატობს აქამდე დანერგილ პრინციპს — არც ერთი სიტყვა ჟურნალისტებისთვის. თამაშის ბოლომდე პრესასთან ურთიერთობა აკრძალულია.

მატჩის დაწყებამდე აქაც შეიძლებოდა წერტილი დაგვესვა, მაგრამ არ შეიძლება ქუთაისელთა ტრიუმფის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი, „ტორპედოს" ერთგული გულშემატკივარი არ ვახსენოთ.

გორში გაჩემპიონებულ „ტორპედოს" მცირერიცხოვანი ქომაგი ახლდა. გასაკვირიც იყო ეს ამბავი. დღეს, ალბათ, უფრო რიცხვმრავალი აუდიტორია მოაწყდება ეროვნულ სტადიონს. თბილისისკენ გამომგზავრება და მერე უკან გაბრუნება გაცილებით ადვილია, ვიდრე გორში ჩასვლა და განსაკუთრებით შინ დაბრუნება.

თავიანთი ქომაგების შემახილებით გამხნევებული ტორპედოელები გაცილებით ენერგიულად და აქტიურად მოქმედებენ. არ გამიკვირდება, დღეს დილიდან თბილისს ქუთაისელი ქომაგებით სავსე ავტობუსები რომ მოაწყდეს.

დაბოლოს, „ტორპედოში" არის ფეხბურთელი, რომელსაც შანსი ეძლევა, დუბლი მეორე გუნდშიც შეასრულოს. ირაკლი ზოიძე აქამდე ჩემპიონი და თასის მფლობელი „დინამოს" რიგებშიც გამხდარა.

რევაზ ძოძუაშვილის განკარგულებაში სამი მოთამაშეა ისეთი, რომელთაც შეუძლიათ, თასი „ლოკომოტივშიც" მოიგონ. კახა გოგიჩაიშვილი და გია ჩხაიძე „დინამოში" ფლობდნენ ამ საპატიო ჯილდოს, ხოლო დავით ჭიჭვეიშვილი „ბათუმის" ზეობისას ეზიარა ამ სიხარულს.

*სავარაუდო შემადგენლობა: ზოიძე, ახვლედიანი, ხვადაგიანი, თურმანიძე, მახვილაძე, ასათიანი, ჩხეტიანი, გოგიაშვილი, დ. ჯანაშია, იონანიძე, მეგრელაძე.*

**მამუკა კვანტალიანი**

### მეკარეები

**ირაკლი ზოიძე:** 31 წლის. დაღვინებული და გამოცდილი მეკარეა. საქართველოში თითქმის ყველა ტიტული მოუგია. ისრაელისა და ლიტვის ჩემპიონატების მოვლის შემდეგ ეროვნულ გათამაშებას დასკვნითი ეტაპის დაწყებიდან შემოუერთდა.

**გრიგოლ ჭანტურია:** 26 წლის. „ტორპედოში" შარშანწინდელ სეზონში მივიდა. კარგი რეაქციით გამოირჩევა. ხაზზე საიმედოდ თამაშობს. მატჩის მსვლელობის დროს თანაგუნდელებს კარგად კარნახობს თამაშს.

### მცველები

**ბადრი ახვლედიანი:** 29 წლის. ტორპედოელთა ერთ-ერთი საუკეთესო შენაძენი. შემტევი ხასიათის მარჯვენა მცველია. აფხაზეთიდან დევნილი „კოლხეთიდან" საკუთარი ნებით მივიდა „ტორპედოში". ამჟამად კარგ ფორმაშია.

**ვახტანგ ხვადაგიანი:** 28 წლის. გამოცდილი, ტანმაღალი ცენტრალური მცველია. საკმაოდ კარგად თამაშობს თავით. სამი წლის წინ ქუთაისელთა გუნდიდან რუსულ „ალანიაში" გადაბარგდა, მაგრამ... უკან ტრავმირებული დაბრუნდა. ეროვნული ჩემპიონატის რამდენიმე კლუბი იწვევდა, მაგრამ ხვადაგიანმა მაინც „ტორპედო" ირჩია.

**ვახტანგ თურმანიძე:** 27 წლის. „ტორპედოს" უკანა მცველი. ლიბეროს პოზიცია მისთვის ზედგამოჭრილია. კარგად ეხერხება თანაგუნდელების დროულად დაზღვევა. საჩხერელ თურმანიძეს ქუთაისელთა კლუბი მშობლიურად მიაჩნია.

**ალექსანდრე შეყრილაძე:** 29 წლის. განსაკუთრებით წარმატებული სეზონი არ ჰქონია. ამპლუით მარჯვენა მცველი ცენტრალურის პოზიციაზეც კარგად ირჯება. მოწინააღმდეგის ნახევარზე ხშირადაა.

**მიხეილ მახვილაძე:** 21 წლის. ადრე საყრდენად მოთამაშე რაც დაცვის ცენტრში დახიეს, უფრო გაძლიერდა. თავით თუ ფეხით კარგი თამაში შეუძლია და თურმანიძე-ხვადაგიანთან ერთად მეტად საიმედო მცველია.

**ალექსანდრე ამისულაშვილი:** 17 წლის. მაღალი, ათლეტური უკანახაზელია. თავით კარგად თამაშობს. სამომავლოდ ჩინებული მცველი დადგება. ძირითადში იშვიათად ანდობენ ადგილს, რაც ჯერაც არასაკმარისი გამოცდილების ბრალია.

### ნახევარმცველები

**დავით ჯანაშია:** 27 წლის. მეათე ეროვნული გაცილებით უკეთესად ჩაატარა. „ტორპედოს" ერთ-ერთი ლიდერი და მთავარი ძალაა. ქუთაისელთა გუნდი მის გარეშე უდირიჟორო ორკესტრს ჰგავს. შემტევმა ნახევარმცველმა ჯანაშიამ თუ მეორე სიჩქარე ჩართო, მისი დაჭერა წარმოუდგენელია.

**კახაბერ ჩხეტიანი:** 22 წლის. შუახაზში ნებისმიერ პოზიციაზე თანაბარი სიძლიერით თამაშობს. ამჟამად მარცხენა ფლანგზე ამწესებენ. სახიფათო დარტყმებიც კარგად ეხერხება.

**კახა კვეტენაძე:** 29 წლის. „ტორპედოს" გამთამაშებელი ადრე მშვენიერ ფორმაში იყო, მაგრამ წლეულს ბევრად მოუკლო. არადა, მის აქტიურ მოქმედებაზე ბევრი რამაა დამოკიდებული.

**გიორგი გოგიაშვილი:** 28 წლის. დირიჟორული თვისებებით დაჯილდოვებულს თამაშის დაწყობა-დალაგება კარგად ეხერხება. საჯარიმო დარტყმების ოსტატია, ზუსტი და სახიფათო პასებით თანაგუნდელთათვის საგოლე მომენტების შექმნა შეუძლია. „ტორპედოს" სოჭის „ჟემჩუჟინადან" შეუერთდა.

**მალხაზ ასათიანი:** 18 წლის. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, დებიუტანტობა მაინცდამაინც არც დატყობია. მოედნის კარგი ხედვა, სწრაფი აზროვნება და ზუსტი პასები ერთი-ორად სახიფათოდ წარმოაჩენს. ჯერჯერობით მის ნაკლად არასაკმარისი ფიზიკური მომზადება ითვლება.

**ზაზა ვაჩიბერაძე:** 26 წლის. მარცხენა გარემარბია. ძირითადად შეცვლებზე უწევს თამაში, მაგრამ მოედანზე გასული საკმაო შედეგიანობით გამოირჩევა. ალღოც არ დაეწუნება.

### თავდამსხმელები

**ზურაბ იონანიძე:** 28 წლის. ერთ-ერთი საუკეთესო სეზონი ჩაატარა. ალბათ, ბომბარდირობაშიც ვერავინ შეეცილება. წლეულს, რაც ოდნავ უკან დახიეს, უფრო ფართო დიაპაზონის ფეხბურთელად მოგვევლინა. აქვს გოლის ალღო და ზუსტი დარტყმა.

**გიორგი მეგრელაძე:** 21 წლის. რაც დრო გადის, მით უფრო იხვეწება. ჩინებულად თამაშობს თავით. ძლიერად ურტყამს. მეტოქის საჯარიმოში მეტად სახიფათოა.

**გიორგი იმედაძე:** 19 წლის. ბოლო დროს ტრავმებმა გააწვალეს და ამიტომ მასზე გაცემულ ავანსებს ჯერჯერობით ვერ ამართლებს.

**მიხეილ ბობოხიძე:** 18 წლის. დავით ყიფიანი სულ უფრო ხშირად ენდობა. მაღალია, სწრაფი და სხარტი. ჯერაც გამოუცდელია, მაგრამ მეტოქის მცველებს ბევრ თავსატეხს უჩენს. „ტორპედოს" მისი სახით კარგი თავდამსხმელი ეზრდება.

# ჯამარაულის გზა: ბელგია თუ იტალია?

კარგა ხნის წინ გავრცელდა ჭორი, შვეიცარიის „ციურიხის“ ქართველი ნახევარმცველი გოჩა ჯამარაული გუნდს ტოვებს და კარიერის გაგრძელებას ერთ-ერთ ბელგიურ კლუბში აპირებსო. ჭორიც უსაფუძვლო როდი გახლდათ, შვეიცარიული და ბელგიური გაზეთებიც ივივეს წერდნენ, თითქმის ასევე გვითხრა „ლიერსის“ ქართველმა გელა შეყილაძემაც. ყოველივეს ისიც დაემატა, რომ ჩვენებურების „ციურიხი“ იქაური ჩემპიონატის აუტსაიდერებში აღმოჩნდა და რეალურად დაემუქრა უძლიერესთაგან დაქვეითების საფრთხე. ამის გამო გუნდის იტალიელი მწვრთნელი რაიმონდო პონტეც გაათავისუფლეს და მის ნაცვლად შვეიცარიელი ჟილბერტ გრესი მიიწვიეს. „ციურიხმაც“ თითქოს ამოისუნთქა, საშიშ ზონას ოდნავ დაშორდა, ზედიზედ ორი თამაშიც მოიგო, თუმც მეორე ბოლო მატჩში უჯამარაულოდ, გაჭირვებით. გოჩა ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს თანაგუნდელებს. ამის მიზეზზე გუშინდელ „სარბიელში“ წაიკითხავდით, ჯამარაული დაშავებულა.

ჩვენც კითხვები დაგვიგროვდა და გუშინ ქართველ ნახევარმცველს, რომელიც 28 მაისს შვეიცარიის თასის ფინალისთვის ემზადება, ციურიხში დავუკავშირდით და, რაღა თქმა უნდა, პირველად ტრავმის თაობაზე ვკითხეთ.

— უკვე მთელი დატვირთვით ვვარჯიშობ და ფინალში „ლოზანას“ წინააღმდეგ ვითამაშებ. საზარდულმა შემაწუხა და წინა მატჩი ამის გამო გამოვტოვე. მწვრთნელმა, არ გაგიმიზეზდესო. მე კი მაინც ვდარდობ. ხომ იცით, საზარდული ისეთი რამეა, შეიძლება ყოველ წუთს აგტკივდეს. ჯერჯერობით ვერაფერს ვგრძნობ, რამდენიმე დღე ვმკურნალობდი და იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება.

**— ღმერთმა ქნას. ახლა ის გვითხარი, მართლა აპირებ „ციურიხიდან“ წასვლას?**

— ერთი თვის წინ დამირეკა ერთმა ბელგიელმა მენეჯერმა და გელა შეყილაძის „ლიერსში“ გადასვლა შემომთავაზა.

**— მერე?**

— არაფერი. კონკრეტულად არ მიპასუხია. ვუთხარი „ციურიხთან“ ორწლიანი კონტრაქტი მაქვს გაფორმებული და უმჯობესია, კლუბს დაელაპარაკოთ, ერთმანეთში მოილაპარაკეთ-მეთქი. ეს, როგორც გითხარი, თვის წინანდელი ამბავია, მას შემდეგ ჩემთან არავის დაურეკია. არც ის ვიცი, „ციურიხის“ ხელმძღვანელებმა ბელგიელებს რა უთხრეს.

**— აკი ჯამარაულის გადაბირება ბოსკამპის „გენკსაც“ სურსო?**

— ეგ მეც გავიგე, აქაურ გაზეთებში ეწერა. გაკვირვებული დავრჩი, „გენკზე“ საერთოდ არ ყოფილა ლაპარაკი. საიდან მოიტანეს, ვერ გეტყვი.

**— ბოსკამპთან თუ გაქვს ურთიერთობა?**

— არანაირი, თუმცა შეყილაძემ ამას წინათ მითხრა, ბოსკამპი შენზე ხშირად მეკითხება, როგორ ფორმაში არისო. არ გამოვრიცხავ, შვეიცარიის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ დამიკავშირდეს.

**— ბელგიურ გაზეთებში ეწერა, თითქოს მწვრთნელი შეგპირებია, სეზონის ბოლომდე „ციურიხში“ დარჩი და მერე კარგ გუნდში გადასვლას გაგიხერხებო. მართალია?**

— ეგ „ციურიხის“ ყოფილმა მწვრთნელმა, იტალიელმა რაიმონდო პონტემ მითხრა, როცა შვეიცარიის ჩემპიონატის პირველი წრე დასრულდა, თავიდან მე განვუცხადე, გუნდიდან წასვლა მინდა-მეთქი და ამის პასუხად დამაიმედა, იტალიის ერთ-ერთი ძლიერი გუნდი შენით დაინტერესებულია და ცოტას თუ მოიცდი, გაგიშვებო. მერე კი პონტე მოხსნეს და მისგან აღარაფერი ისმის. არ შემხმიანებია.

**— პირველი წრის შემდეგ გუნდის დატოვება რატომ გსურდა?**

— ცუდია უკეთეს გუნდში თამაში? ახლაც იგივეს ვამბობ, თუ „ციურიხზე“ ძლიერმა მიმიპატიჟა, რატომაც არ წავალ.



გოჩა ჯამარაული

**— მით უმეტეს, „ციურიხმა“ შეიძლება შვეიცარიის უმაღლესი ლიგაც დატოვოს.**

— ყველაფერი ბოლო ორ მატჩზეა დამოკიდებული. 3 და 7 ივნისს უშუალო კონკურენტებს ვეთამაშებით. „არაუს“ შინ, „ბელინცონას“ — სტუმრად. პრინციპული, მძიმე შეხვედრები გველის, მაგარი ბრძოლები. ვნახოთ, მგონი, არ გავვარდებით. ისე კი უეფას თასზე თამაშის შანსი გვაქვს, თასის ფინალში „ლოზანა“ უნდა დავამარცხოთ. უევროპოდაც თუ დავრჩით და...

**— 3 და 7 ივნისს თამაშები რომ გაქვს, თანაც გადამწყვეტი, ესე იგი შენც და ყაველაშვილიც ნაკრების მატჩს აზერბაიჯანთან გამოტოვებთ...**

— ეგრე გამოდის. „ციურიხმა“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უკვე სთხოვა, ეს ფეხბურთელები გვჭირდება და იქნებ არ აიძულოთ ნაკრებში ჩამოსვლაო. ჯერჯერობით თბილისიდან პასუხი არ მოსულა. ახლა ძოძუაშვილყიფიანზეა დამოკიდებული. თუ მაინც გამოგვიძახეს, სხვა რა გზა გვაქვს, ჩამოვალთ და ნაკრების ორივე ამხანაგურ მატჩში მივიღებთ მონაწილეობას.

ჭობა ინასარიძე

# ლობანოვსკი სიტყვის კაცია

## ამ დღეებში კიევის დინამოს გიორგი იმედაძე მეორედ ეწვევა

საქართველოს ახალი ჩემპიონის, ქუთაისის „ტორპედოს“ თავდამსხმელი გიორგი იმედაძე რამდენიმე დღეში უკრაინას ეწვევა. ქართველ ფეხბურთელზე კიევის „დინამოს“ უჭირავს თვალი. გუნდის თავკაცის ვალერი ლობანოვსკისაც ჩვენებურის გასინჯვა განუზრახავს. იმედაძის უკრაინულ კლუბში გადასვლის საკითხიც სწორედ ამის შემდეგ გადაწყდება. მანამდე კი 19 წლის ქართველი ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის ძირითად შემადგენლობასთან ერთად ივარჯიშებს.

შეგახსენებთ, იმედაძე „დინამოს“ ხელმძღვანელობის მიწვევით მარტის დასაწყისში უკვე იმყოფებოდა კიევში. მაშინ გიორგიმ უკრაინაში ათი დღე დაჰყო. იგი „დინამოს“ მეორე გუნდთან ერთად ემზადებოდა. კიეველი მწვრთნელები ჩვენებურით კმაყოფილნი დარჩნენ, თუმც მასთან კონტრაქტის გაფორმებისაგან მაშინ თავი შეიკავეს. სეზონის ბოლოს კვლავ დაგიკავშირდებით, ჩამოდი და ყველაფერი მაშინ გადავწყვიტოთო. ამ პირობით გამოუშვეს იმედაძე საქართველოში. უკრაინელებმა ფეხბურთელისთვის მიცემული სიტყვა არ გატეხეს, ცოტა ხნის წინ შეეხმიანენ და უახლოეს მომავალში კიევში მის ჩასვლასაც ელიან.

იმედაძე უკრაინაში სავარაუდოდ საქართველოს მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, ივნისის პირველ რიცხვებში გაემგზავრება.

თუ ტორპედოელმა ლობანოვსკის თავი მოაწონა და გუნდშიც დარჩა, არ არის გამორიცხული, მომავალი სეზონიდან უკრაინულ კლუბს ქართული თავდასხმა ჰყავდეს გიორგი დემეტრაძე — გიორგი იმედაძის სახით. გასულ წელს „დინამოდან“ წასული ანდრეი შევჩენკოს ადგილი ცოტა ხნის წინ, მოგეხსენებათ, დემეტრაძემ დაიკავა. ლობანოვსკისაც ამ გაზაფხულზე ჩემპიონთა ლიგის მატჩებში რებროვ-დემეტრაძის დუეტი ჰყავდა თავდასხმაში. ახლა „დინამო“ სერგეი რებროვმაც დატოვა. იგი ლონდონურ „ტოტენჰემში“ გადაბარგდა, მის ადგილზე პრეტენზიას კი მაქსიმ შაცკიხი აცხადებს. იმედაძეს სწორედ მისი შევიწროება მოუწევს. თუმც მანამდე...

ასე რომ, სავსებით შესაძლებელია ჩემპიონთა ლიგის მომავალ გათამაშებას უკრაინული სუპერკლუბი სამი ქართველით — კახი კალაძით, გიორგი დემეტრაძითა და გიორგი იმედაძით შეხვდეს.



გიორგი იმედაძე (ბურთით) მეტოქეს გაურბის

ვანო ოქროპირიძე

# ძოძუაშვილი რიგის ყურეში

ესტონეთის ნაკრების მწვრთნელმა ტარმო რიუიუტლიმ გუშინ ის შემადგენლობა დაასახელა, რომელიც 4 ივნისს ტალინში ბელარუსს მასპინძლობს, 11 ივნისს კი პიარნუში საქართველოს.

ესტონელებს ბელარუსთან მატჩამდე ნაკრების და ფინური „კოტკანის“ მცველი ურმას კირსი გამოაკლდათ, რომლის ნაცვლად ვილიანდის „ტულევიკის“ იანო იურისონი დაითადარიგეს.

მწვრთნელის მხედველობის არეში კვლავ არ მოხვდა „კოტკანისვე“ თავდამსხმელი არგო არბეიტერი, რომელმაც საქართველოს ნაკრებს თბილისში გოლი გაუტანა.

1998 წლის 18 ნოემბერს ჩვენმა ნაკრებმა 3:1 მოუგო ესტონეთისას.

ტარმო რიუიუტლიმ ნაკრებში არც „ფლორას“ მარცხენა მცველ ურმას როობას უხმო და არც თავდამსხმელ კრისტენ ვიიკმაეს. ორივენი ახლახან გამოჯამრთელდნენ „ფლორასვე“ მაქსიმ სმირნოვისგან განსხვავებით.

სამაგიეროდ ნაკრებშია გიორგი ქინქლაძის თანაგუნდელი, „დერბის“ მეკარე მარტ პოომი და ამ ზამთარს დანიურ „ოლბორგში“ 5 მილიონად გაყიდული თავდამსხმელი ანდრეი ოპერი.

ესტონელთა დაცვაში კიდევ ერთი ქართველის თანაგუნდელია. სერგეი ხოხლოვ-სიმსონი, რომელსაც თანამემამულენი ჩვენებურად, სერგოს ეძახიან, ამ გაზაფხულს ექსმერანელ ლევან ბაჯელიძის მხარდამხარ თამაშობდა ისრაელის მესამე ლიგის ტაიბის „ჰაპოელში“. ამ გუნდის კარს თავის პირველ ებრაულ სეზონში აკაკი დევაძე იცავდა.

ესტონეთის მეორე საპორტო ქალაქი პიარნუ რიგის ყურის სანაპიროზე, ქვეყნის სამხრეთ დასავლეთშია და ორიათასხუთასიანი „კალევის“ სტადიონი აქვს. პიარნუში რევაზ ძოძუაშვილის და დავით ყიფიანის გუნდს ეს ნაკრები დახვდება:

*მეკარეები:* მარტ პოომი (ნაკრებში 70 მატჩი/არცერთი გოლი; დერბი, ინგლისი), ტოომას ტოჰვერი (23/0; ფლორა)

*მცველები:* სერგეი ხოხლოვ-სიმსონი (52/2; ჰაპოელი, ტაიბი, ისრაელი), რაიო პიიროია (7/1), ანდრეი სტეპანოვი (4/0), კერტ ჰაავისტუ (5/0), ერკო სავიაუკი (23/1; ყველა ფლორა), მარეკ ლემსალუ (67/1; ტულევიკი)

*ნახევარმცველები:* სერგეი ტერეხოვი (32/4; ბრანი, ბერგენი, ნორვეგია), მარტინ რეიმი (89/12; კოტკანი, ფინეთი), მარ კო კრისტალი (96/7; ლახტი, ფინეთი) აივარ ანისტე (13/0), ვიქტორ ალონენი (64/0, ორივე ფლორა), ტეეტ ალასი (8/0 ტულევიკი)

*თავდამსხმელები:* ანდრეს ოპერი (51/11; ოლბორგი, დანია), ინდრეკ ზელინსკი (58/14; ლახტი, ფინეთი), დმიტრი უსტრიცკი (7/1; ტულევიკი).

ეს მატჩი ესტონელთათვის 1991 წლიდან მოყოლებული მერე 110-ეა.

ვახტანგ ბზიკაძე

# ნაკრებები ცნობილია

ივნისის პირველ რიცხვებში საქართველოს ეროვნული, 21-წლამდელთა და 18-წლამდელთა ნაკრებები მეზობელ აზერბაიჯანს სტუმრობენ. ჩვენი ნაკრებები აზერბაიჯანელთა შესაბამის გუნდებს ამხანაგურად გაეჯიბრებიან.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, სამივე ნაკრები ცალ-ცალკე გაემგზავრება აზერბაიჯანში. ეროვნული გუნდი 3 ივნისს ჩარტერული რეისით ეწვევა ბაქოს, სადაც სასტუმრო „ინტურისტში“ დაბინავდება. როგორც ვიუწყებოდით, თავად მატჩი ტოფიკ ბახრამოვის სახელობის სტადიონზე 4 ივნისს შედგება და იქაური დროით 18 საათზე დაიწყება. ჩვენებურები შეხვედრის დასრულებისთანავე აეროპორტს მიაშურებენ და ჩარტერითვე უკან გამობრუნდებიან, რათა ესტონეთის ეროვნულ ნაკრებთან 10 ივნისისთვის დანიშნული მატჩისთვის მოემზადონ.

რაც შეეხებათ 21 და 18-წლამდელთა გუნდებს, ისინი აზერბაიჯანისკენ 2 ივნისს ორი ავტობუსით აიღებენ გეზს. ბაქოში ჩასულები ერთ დღეს ასევე „ინტურისტში“ იცხოვრებენ. 3 ივნისს კი იქვე მეზობელ ქალაქ სუმგაითში ჩავლენ, სადაც 15 საათზე 18-წლამდელები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, სამ საათში კი — 21-წლამდელები. ეს გუნდები ეროვნულ ნაკრებს აღარ მოუცდიან, იმავე დღეს ავტობუსებით უკან გამობრუნდებიან.

ეროვნულ ნაკრებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე უხელმძღვანელებს. პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია ბაქოში ნაკრებს ვერ გაჰყვებიან. როგორც ფედერაციაში გვითხრეს, ისინი სხვა საქმეებთან დაკავშირებით ევროპაში მიემგზავრებიან.

23 მაისის „სარბიელში“ აზერბაიჯანთან და ესტონეთთან მატჩებისთვის ეროვნულ ნაკრებში გამოძახებულ ფეხბურთელთა შემადგენლობა გაგაცანით. დღეს კი საазერბაიჯანოდ მურთაზ ხურცილავასა (21-წლამდელები) და შოთა ჭეიშვილის (18-წლამდელები) მიერ მიწვეულ ფეხბურთელთა საორიენტაციო შემადგენლობას გაგაცნობთ.

21-წლამდელთა ნაკრები:

*მეკარეები:* გიორგი ლომაია („ლოკომოტივი“), ზურაბ ბათიაშვილი („თბილისი“);

*მცველები:* ედიკ საჯაია, ჯაბა მუჯირი (ორივე „ვიტ ჯორჯია“), ვალერი აბრამიძე („ლოკომოტივი“), მამუკა წერეთელი („ალანია“, ვლადიკავკაზი, რუსეთი), ოთარ ხიზანეიშვილი, თორნიკე რუხაძე, გიორგი შაშიაშვილი, რევაზ ქემოკლიძე (ყველა „დინამო“);

*ნახევარმცველები:* გივი კვარაცხელია („ლოკომოტივი“), დავით დიღმელაშვილი („ვიტ ჯორჯია“), მიხეილ ბობოხიძე („ტორპედო“), ლადო ბურდული („თბილისი“), ოლეგ გველესიანი („დინამო“);

*თავდამსხმელები:* კობა წიტაიშვილი, გიორგი შენგელია (ორივე „დინამო“), გიორგი იმედაძე („ტორპედო“).

18-წლამდელთა ნაკრები:

*მეკარეები:* ზურაბ მამალაძე (35-ე საფეხბურთო სკოლა), მანუჩარ ივარდავა („ლოკომოტივი“);

*მცველები:* ვლადიმერ ძაგნიძე, ალექსანდრე ჩივაძე, ზვიად ლაბაძე (ყველა „თბილისი“), ალექსანდრე ამისულაშვილი („ტორპედო“), ირაკლი სახურია (35-ე საფეხბურთო სკოლა), ბორის შელია („შევარდენი“), ნუკრი მანჩხავა („ოლიმპიკი“);

*ნახევარმცველები და თავდამსხმელები:* მიხეილ ცქიფურიშვილი („თბილისი“), არჩილ ოლგესაშვილი („დილა“), ბესიკ თედორაძე („ბათუმი“), ლევან სანიკიძე („ნორჩი დინამოელი“), ნიკოლოზ ლაბაძე („ხალიბი“), ბექა ნოზაძე (თსუ), რევაზ ხუჭუა („ოლიმპიკი“), ლადო ახალაია („ზიმბრუ“, კიშინიოვი, მოლდოვა)

არ არის გამორიცხული, ამ შემადგენლობებში მწვრთნელებმა მცირეოდენი ცვლილებები კიდევ მოახდინონ.

ვანო ოქროპირიძე

# სამეფო ოქტავა პარიზიდან პარიზამდე

## დო რე მი ფა სოლ ლა სი დო

1956 1957 1958 1959 1960 1966 1998 2000




## ფეხბურთის საუკეთესო მხარე

„ᲨᲗᲐᲛᲑᲔᲭᲓᲐᲕᲐᲓ გავიმარჯვეთ, ისე, როგორც ჩემპიონს ეკადრება“ — განაცხადა „რეალის“ კაპიტანმა ფერნანდო რედონდომ — „24 მაისს ძნელი სეზონი ბრწყინვალედ დავგვირგვინდა. ვამაყობ, რომ შევძელი ის, რაც „რეალის“ უდიდეს თაობათა მოთამაშეებმაც ვერ მოახერხეს: ორ წელიწადში ორჯერ მოვიპოვე ჩემპიონთა თასი“.

თამაშის მეორე დღეს ფრანგული სპორტული გაზეთი „ეკიპი“ მადრიდელთა კაპიტანზე ასე წერდა: „ის ზეწოლას მუდამ უძლებს და ზუსტად იცის, რა ნაბიჯი უნდა გადადგას პრობლემის თავიდან ასაცილებლად. რედონდოს ტანგოს მოცეკვავის თვისებები აქვს. თითქოს ნელია, მაგრამ საოცრად ელეგანტური და ყოველთვის იქაა, სადაც გარემოება მოითხოვს“.

ფრანგული პრესა ფრანგულ პრესად და განსაკუთრებული სიჭრელით, ბუნებრივია, ესპანური გაზეთები გამოირჩეოდნენ.

ლა ოქტავა ანუ მერვე — ცხადია, „რეალის“ ტრიუმფის რიცხობრივი ნომერი ყველა გამოცემის ფურცლებიდან ჭრიდა თვალს.

„მარკა“: „მადრიდის „რეალმა“ 21-ე საუკუნეში ისე შეაბიჯა, რომ მთელი ევროპა უკან მოიტოვა“.

„ელ პაისი“: „წუხელ „რეალმა“ შეკრა ოქტავა, რომელიც 1956 წელს ჩემპიონთა თასის პირველ გათამაშებაში პარიზში „სტად დე რეიმსის“ დამარცხებით დაიწყო. მას მერე, რაც უეფას თასის ფინალში, „არსენალისა“ და „გალათასარაის“ ქომაგებს შორის ტრაგიკული ამბები დატრიალდა, ლიგის ესპანურმა ფინალმა ფეხბურთის საუკეთესო მხარე წარმოაჩინა“.

„ელ მუნდო“: „მორიენტესის, მაკმანამანისა და რაულის დიდებულმა გოლებმა ქვეყნის ფეხბურთის ისტორიის ბრწყინვალე მომენტი შვა. მადრიდელები კვლავ საუკეთესო არიან“.

„ას“: „ის ვარსკვლავია. მან სეზონი ფანტასტიკურად დაასრულა“ — ასეთი სიტყვები ერგო „რეალის“ ინგლისელ ნახევარმცველ სტივ მაკმანამანს.

„ვალენსიას“ შესახებ კი ბევრი არაფერი დაწერილა.

„მე რომ ვიცნობ, დღეს ის „ვალენსია“ ვერ ვიხილე“ — განუცხადებია „მარკასთვის“ ვალენსიელთა ყოფილ თავკაცს, იტალიელ კლაუდიო რანიერის.

„ელ პაისი“: „კრიტიკულ მომენტში გუნდი ტაქტიკურად ნაწილებად დაიშალა“.

„ას“: „ვალენსიელებს ნერვებმა უმტყუნათ და ბოლოს საცოდავად გამოიყურებოდნენ“.

## ისტორიის ნაწილი

„ᲒᲐᲛᲘᲛᲐᲠᲗᲚᲐ. ისეთი გუნდი ჩავიბარე, რომელსაც დიდებული თამაში შეუძლია, სეზონის ბოლოსაც კი“ — აი, ასე მოკრძალებით ხარობდა ჩემპიონთა თასის მფლობელის, მადრიდის „რეალის“ მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე. სხვანაირად, ალბათ, წარმოუდგენელიც გახლდათ. ვისაც სეზონის შუაში თანამდებობიდან მოხსნილი ჯონ ტოშაკის ნაცვლად დანიშნული დელ ბოსკე ტელევიზორში ერთხელ მაინც უნახავს, მისთვის ასეთ განცხადებაში მოულოდნელი არაფერი უნდა იყოს.



„ჩვენმა ყოფილმა მწვრთნელმა ლიგის პირველი ჯგუფური ეტაპიდან გაგვიყვანა და ეს გადამწყვეტი მნიშვნელობის ამბავი გახლდათ“...

„სტივ მაკმანამანმა და ფერნანდო რედონდომ შუა მოედანი გააკონტროლეს. მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს რობერტო კარლოსმა და მიჩელ სალგადომ“...

„სწორედ ნახევარდაცვაში გამოჩენილმა ფხამ მოგვაპოვებინა დამსახურებული გამარჯვება. ჩვენ გუნდური ფეხბურთი ვითამაშეთ. ერთსულოვნებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა“...

„მადრიდიდან 30 ათასამდე გულშემატკივარი ჩამოგვყვა და მათ დიდად ისიამოვნეს. ორივე გუნდის ქომაგები საუცხოონი იყვნენ. დღევანდელი საღამო ესპანური ფეხბურთის ზეიმისა გახლდათ“...

„ეს თამაში მადრიდის „რეალის“ ისტორიის ნაწილი გახლდათ. ძალიან ვღელავ“....

„ვალენსიას“ დიდი ფსიქოლოგიური ტვირთი დააწვა“...

„დღეს „რეალის“ საზოგადოება ამაყობს. ამაყობენ ფეხბურთელები და ის ადამიანები, რომელთაც დღეს ტელევიზორთან საუცხოო საათნახევარი გაატარეს“...

„დღეს ერთხელაც არ გამხსენებია, 1981 წელს პარიზში „ლივერპულთან“ რომ წავაგეთ. მაშინ ფეხბურთელი გახლდით. ისიც „რეალის“ ისტორიაა, მაგრამ განა ყველას არ აქვს მეორე შანსის უფლება?“.



## დამარცხებული

ᲔᲥᲢᲝᲠ ᲙᲣᲞᲔᲠᲛᲐ ფინალი წააგო, მაგრამ თავს ნაგებულად არ გრძნობს. დიახ, არგენტინელმა ზედიზედ მეორედ დაკარგა თასი. მოგეხსენებათ, შარშან მისი ხელმძღვანელობით „მალიორკა“ გავიდა თასების თასის ფინალში, მაგრამ იქ „ლაციოსთან“ დამარცხდა, ახლა კი ჩემპიონთა თასზე „ვალენსიამ“ „რეალთან“ წააგო.

ესპანური გაზეთის „ელ პაისის“ ცნობით, „ვალენსია“ მთლიანად ღირს 8,74 მილიონი დოლარი ანუ გაცილებით ნაკლები, ვიდრე მხოლოდ ნიკოლა ანელკა, „რეალის“ ფრანგი ფორვარდი, რომელიც სეზონის განმავლობაში ძირითად შემადგენლობაში ხშირად ვერც ხვდებოდა, მაგრამ მაინც...

„ნებისმიერი გუნდი, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ფავორიტია და თუ ვაგებთ, არა იმიტომ, რომ თავს გაგვივიდა. ისე ნუ გამიგებთ, თითქოს კონფორმისტი ვიყო, მაგრამ ვფიქრობ, რომ ყველაფერი მაინც ჩემს სასარგებლოდ მეტყველებს“.

## იმღერე, მაკა!

ᲯᲔᲠ პირველ ტაიმში დააპირა ამგვარ სტილში გოლის გატანა, მაგრამ მაშინ კანისარესმა შეუშალა ხელი, 67-ე წუთზე კი ერთი შეიკუნტრუშა და „ვალენსიას“ საბოლოოდ დასამარებისა შეაგდო. „ეს ჩემს კარიერაში საუკეთესო გოლი იყო, თანაც, ყველაზე მნიშვნელოვანი“ — ამბობს სტივ მაკმანამანი.

არადა, ამ სეზონამდე „მაკას“ ჩემპიონთა თასზე არასდროს უთამაშია. არც რაიმე მნიშვნელოვანი ტიტულის მფლობელი ყოფილა, ამიტომაც გადაწყვიტა კუნძულის დატოვება და პირველივე „რეალურ“ სეზონში ევროპის უმნიშვნელოვანესი შეჯიბრების გამარჯვებული გახდა.

„მართლაც მნიშვნელოვანი გოლი გავიტანე. იმ დროს 1:0-ს ვიგებდით, მაგრამ შარშანდელმა ფინალმა დაამტკიცა, რომ ეს ანგარიში არაფრის გარანტიას იძლევა. აი, მეორე გოლის მერე კი თავისუფლად ავთამაშდით, სადაც საჭირო იყო, თამაშიც ჩავკალით და საქმეც ბოლომდე მივიყვანეთ“ — აცხადებს ექს-ლივერპულელი.

მაკმანამანმა, „მანჩესტერთან“ გამარჯვებიდან მოყოლებული, მართლაც საუცხოოდ ითამაშა და ძვირადღირებული შემცვლელიდან გუნდის ლიდერად იქცა. თანაკლუბელებსაც კარგად შეეწყო. „ძლიერ გავიხარე. მხოლოდ იმან დამალონა, რომ გასახდელში ოდნავ განზე აღმოვჩნდი — ბიჭები ესპანურად მღეროდნენ, მე კი მხარი ვერ ავუბი.“



## ტოშაკი გამდიდრდა

ᲒᲣᲨᲘᲜ მადრიდის „რეალის“ ყოფილი მწვრთნელის, ჯონ ტოშაკის საბანკო ანგარიშს დიდძალი თანხა შეემატა. მართალია, უელსელი გუნდიდან ნოემბერში გაუშვეს, მაგრამ ესპანური სპორტული გაზეთის „ას“-ს ცნობით საკონტრაქტო ვალდებულებათა გამო მას 40 მილიონი პესეტა ანუ 216 800 დოლარი ერგო.

შეგახსენებთ, ტოშაკის ხელმძღვანელობით „რეალმა“ ლიგის პირველი ჯგუფური ეტაპის 6 შეხვედრა ჩაატარა.

მოგვიანებით, თებერვალში, ესპანეთის შრომის ტრიბუნალმა კლუბს მწვრთნელისთვის 172 მილიონი პესეტის გადახდა დაავალა, რაც 1, 05 მილიონი დოლარის ტოლია. საქმე ის გახლავთ, რომ იმხანად უელსელსა და „რეალის“ დირექტორთა შორის ფინანსური დაპირისპირება წარმოიშვა, თუმცა სასამართლომვე დაადგინა, რომ კლუბი აღთქმული პრემიების გადახდისგან თავისუფალია.

„მარკას“ ცნობით, 24 მაისს, ჩემპიონთა თასის ფინალში გამარჯვების შემდეგ „რეალის“ ოფისში ტოშაკისგან მილოცვის წერილი მივიდა.

REUTERS მადრიდიდან



გიჟქცევა? ოთხშაბათ ღამეს მადრიდში

## წესიერი ხალხია ესპანელები

ᲒᲔᲮᲡᲝᲛᲔᲑᲐᲗ, ერთი კვირის წინ სტამბოლში „გალათასარაის“ მიერ უეფას თასის მოგებამ რვა ადამიანი შეიწირა, მათ შორის ორი წლის ბავშვიც, რომელსაც ბრმა ტყვია მოხვდა. ორი ჭაბუკი დანით სასიკვდილოდ დაჭრეს და კიდევ რამდენიმე გიჟური სისწრაფით მქროლავმა მანქანებმა იმსხვერპლა.

მართლაც წესიერი ხალხია ესპანელები. მადრიდში, სილებესის მოედანზე (იქაურ ქომაგთა ტრადიციული თავშეყრის ადგილას), რამდენიმე ათასი კაცი შეიკრიბა. აფრიალებდნენ დროშებს და გაჰყვიროდნენ: „ჩემპიონი, ჩემპიონი!“, „გაუმარჯოს ესპანეთს!“ დანა და რევოლვერი ჯიბეში არავის სდებია.

რაგინდ წესიერნი იყვნენ ესპანელები, ერთი-ორი ხულიგანი მათაც გამოერევათ. მათ იქვე მშვიდად მდგომი პოლიციელების („რეალის“ გამარჯვებას გულში ზეიმობდნენ) მიმართულებით ორიოდე ცარიელი ბოთლი ისროლეს (შიგთავსი ადრევე შეესვათ) და შეხლა-შემოხლაც აქედან დაიწყო. სამართალდამცავებმა ხალხზე ხელკეტებით გაიწიეს. გულშემატკივრებმა (იმ ერთი-ორის გამოკლებით), აბა, რა იცოდნენ, რამ გააბრაზა პოლიციელები. ჰოდა, უკან არ დაიხიეს. შეტაკებამ სულ რამდენიმე წუთს გასტანა — ცრემლსადენმა გაზმა და პლასტიკურმა ტყვიებმა თავისი საქმე უცებ გააკეთა. გულშემატკივრებმა ახლომახლო ქუჩებში განაგრძეს „რეალის“ სადიდებელი მარში. მხოლოდ ასიოდე მათგანი დაშავდა მსუბუქად, სერიოზული ტრავმები და ჭრილობები არ ყოფილა. ექვსი კაციც დააკავეს. დაზარალებულთა შორის ათი პოლიციელიცაა. კი, არც ეს არის სასიამოვნო, მაგრამ თურქულ ამბებთან შედარებით... არა, ნამდვილად წესიერი ხალხია ესპანელები.

პარიზში კი ერთი ტრაგიკული შემთხვევა მაინც მოხდა. შარლ დე გოლის აეროპორტში ასაფრენ ბილიკზე ორი თვითმფრინავი — სამგზავრო და სატრანსპორტო შეეჯახა ერთმანეთს. საუბედუროდ, სატრანსპორტოს მეორე პილოტი ადგილზევე გარდაიცვალა. ეს ამბავი კი საფეხბურთო თემას იმიტომ დავუკავშირეთ, რომ სამგზავრო თვითმფრინავი მადრიდისკენ უნდა გაფრენილიყო, მას ბედნიერი რეალელი ქომაგები გადაჰყავდა.

# შვიერო ევროპა



**გეხსომებათ**, იტალიის თასის პირველ ფინალურ მატჩში გამოსულმა რონალდომ მხოლოდ ექვსი წუთი გაძლო — ისევ უმძიმესი ტრავმა, ისევ ექიმები და ოპერაცია.

კრისტიან ვიერის უფრო მეტად გაუმართლა (თუ ეს გამართლებაა) — მან საერთო ჯამში 71 წუთი ითამაშა. „ლაციოსთან" საპასუხო ფინალურ შეხვედრაში მსოფლიოს უძვირესი მოთამაშე 52-ე წუთზე გამოჩნდა მინდორზე, ივან სამორანო შეცვალა; მეოთხე ადგილისთვის გადათამაშებაში კი „პარმას" წინააღმდეგ 33-ე წუთზე შესაცვლელი შეიქნა, კუნთი დაეჭიმა.

ოთხშაბათს ფლორენციის მახლობლად მდებარე იტალიის ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე ვიერიც გამოცხადდა. ფეხბურთელებმა ვარჯიში დაიწყეს, მაგრამ ინტერელი მათ შორის აღარ იყო, დინო ძოფმა იგი დაითხოვა — ტრავმა მეტად სერიოზული აღმოჩნდა. ნაკრების ექიმის, ანდრეა ფერეტის სამედიცინო დასკვნაზე დაყრდნობით კი იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ ასეთი ცნობა გაავრცელა: „ინტერი" — „პარმას" მატჩის დროს მიღებული ტრავმის შემდეგ კრისტიან ვიერი ევროპის ჩემპიონატზე ველარ ითამაშებს".

შეგახსენებთ, ვიერი პირველად თებერვალში „ვენეციასთან" შეხვედრის დროს დაიმტვრა. ერთი თვის მერე მისი მინდორზე დაბრუნების მცდელობა უშედეგოდ დასრულდა — 21-ე წუთზე ტრავმამ თავი შეახსენა. მეორედ დაბრუნებაც წარუმატებელი გამოდგა. სულ ვიერის „ინტერის" რიგებში 25 თამაში ჩაუტარებია და 17 გოლიც აქვს გატანილი. ნაკრებში იგივე მაჩვენებლები 20 და 10-ია.

რაც შეეხება „სკუადრა აძურაში" მის შემცვლელს, დინო ძოფი ჯერ არაფერს ამბობს. მართალია, 26-კაციან განაცხადში მწვრთნელმა ტრავმირებული ფეხბურთელის ნაცვლად რომაელი მარკო დელვეკიო დაასახელა, მაგრამ შესაძლოა, საბოლოო შემადგენლობაში ვერ მოხვდეს. დელვეკიო ახალდასრულებულ სეზონში „რომას" თერთმეტი გატანილი გოლით დაეხმარა და, როგორც ამბობენ, ვიერისნაირი ფიზიკური მონაცემები იტალიელთაგან მხოლო მას აქვს.

# მიკროკონფლიქტი მეზობლად

**სომხურ** ფეხბურთში ცოტა ხნის წინ ვითარება დაიძაბა. უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე ერთ-ერთი გუნდი, ერევნის „კილიკია" გაიფიცა და ჩემპიონატის დატოვებით დაიმუქრა. დედაქალაქელები წინა კვირას ჩატარებულ თასის ნახევარფინალურ შეხვედრაში მსაჯების გადაწყვეტილებით აღშფოთდნენ და მათ მიმართ საყვედური გამოთქვეს.

„კილიკია" 15 მაისს ქვეყნის თასის ნახევარფინალში ცხრილის შუაადგილოსან „ზვარტნოცს" შეხვდა. ერევნელთა აზრით, მსაჯმა მეორე ტაიმში მათ სასარგებლოდ უეჭველი პენალტი არ დანიშნა, გუნდმა პროტესტის ნიშნად მოედანი დატოვა, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ კი ამბოხებულთ წაგება ჩაუთვალა. „კილიკიას" მმართველი ალექსანდრ სარქისიანი კიდევ უფრო განრისხდა და განაცხადა, ჩემპიონატს დავტოვებთო. მან თავის ფეხბურთელებს მოუწოდა, მომავალ შაბათს პირველობის მორიგი ტურის მატჩში, ქვეყნის ჩემპიონ „შირაქის" წინააღმდეგ მინდორზე არ გამოსულიყვნენ. ასეც მოხდა, „შირაქს" კი ტექნიკური მოგება — 3:0 ჩაეთვალა.

სიტუაცია დაიძაბა. „კილიკიას" ფეხბურთელები თავის ხელმძღვანელს აუმხედრდნენ, ჩემპიონატის გაგრძელება და მომდევნო ტურში თანაქალაქელ „არარატის" წინააღმდეგ თამაშის უფლება მოსთხოვეს.

დაბრუნება არცთუ ბედნიერი გამოდგა. „კილიკიამ" 1:2 წააგო და ახლა რვაგუნდიან ცხრილში ბოლოდან მეორე ადგილზეა. გუნდმა 7 თამაშიდან მხოლოდ 3 ქულა დააგროვა. „სასიამოვნოა, რომ ყველაფერი მოგვარდა და „კილიკიამ" ჩემპიონატში ასპარეზობა გააგრძელა — განაცხადა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა — ორმაგად სასიხარულოა, რომ ფეხბურთელებმა გუნდის ხელმძღვანელები აიძულეს, დათმობაზე წასულიყვნენ."

## ჰოლანდია

III ტური. პლეი ოფი

გრონინგენი — ემენი 5:0; ჰერაკლესი — მაასტრიხტი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრონინგენი | 3 | 3 | 0 | 0 | 13:3 | 9 |
| ჰერაკლესი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 4 |
| ემენი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:8 | 2 |
| მაასტრიხტი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:9 | 1 |

## ამხანაგური მატჩი

**კოლუმბია 1:0 ბენფიკა (პორტუგ.)**

1:0 კასტილიო (14)

კოლუმბია: კალდერო, მარტინესი, ბედოია, ორტეგონი, ფერნანდესი, ალბერტო გარსია, კანდელო (ურტადო 70), ოვიედო (კინტანა 86), დინასი, ვალენსიანო (კასტრო 62), კასტილიო (რივერა 62)

ბენფიკა: ბოსიო, რონალდო, როხასი, ვერისიმო, კალადუ, კანდაუროვი, მანიჩე, ურიბე, რამირესი (ჟორჟე რიბეირო 67), საბრი, ტოი (ტომასი 56)

მსაჯი: ენდრიუ ბარნსი (აშშ)

31 113 მაყურებელი

# დაკარგული ბავშვობა

**ევროპელი** სელექციონერები მთელ მსოფლიოს მოსდებიან და ნიჭიერ მოზარდ ფეხბურთელებს აგროვებენ. წარმოიდგინეთ, სან პაულუსა თუ ლაგოსის ღარიბთა უბნებში ჰალსტუხიანი უცხოელი ჩადის და იქ მობურთალ 14-15 წლის ბიჭებს სერია A-სა და ამგვარ რამეებზე ესაუბრება. ევროპაში წასვლის და მილიონების შოვნის ცდუნება დიდია. ჰოდა, ყმაწვილთა მშობლებიც თანხმდებიან. მერე კი...



რონალდო — არასწორი დატვირთვების მსხვერპლი

ნვანკვო კანუს დედა თავის სახლის წინ ფუნთუშებს ყიდის და შვილის ამბებს მეზობლებისგან იგებს, თავად ტელევიზორიც არა აქვს. ნვანკვო კი დიდი ფეხბურთელია, სახელოვან კლუბშიც თამაშობს. მაგრამ კანუ მხოლოდ ერთ-ერთი ბედნიერთაგანია, ვინც არ დაიკარგა, მისნაირთა უმრავლესობა კი წინდაწინვე განწირულია.

სქემა ასეთია. ევროპულ კლუბში მოხვედრილი მოზარდი იზოლაციაში ხვდება. „მეგობრები" მას მტრულად უყურებენ — ახალი მეტოქის გამოჩენა არავის სიამოვნებს. თავის მხრივ, დიდი კონკურენცია ბავშვებს აიძულებს, დღე და ღამეს გაასწორონ და თავდაუზოგავად ივარჯიშონ. ცოტა ხანში ჯერაც ჩამოუყალიბებელი ორგანიზმი იფიტება, მცირედი ტრავმა ქრონიკული ხდება და მორჩა — ნიჭიერი ბავში დაიკარგა. რაღა ქნას? ერთადერთი საქმე, რაც ეხერხებოდა, აღარ გამოსდის, ფსიქიკა მოშლილი აქვს, განათლება — არანაირი. ჰოდა, ხდება ეგებ მომავალი რონალდო სოციალურ მუშაკთა მისახედი. რონალდოს გახსენებაზე, მას კიდევ რა უჭირს, 22 წლამდე მაინც ითამაშა დიდი ფეხბურთი. მეტი ვერ შეძლო — ბავშვობაში არასწორმა დატვირთვამ შეუშალა ხელი.

და რას ამბობს ამ დროს უეფა? „ამ პროცესის შეჩერება არ ძალგვიძს." — აღიარებს უეფას აღმასკომის წევრი მარკუს შტუდერი. მაგრამ გამოსავალი მაინც მოინახა. უეფამ დახმარებისთვის ფიფას მიმართა. ამიერიდან 18 წლამდე ასაკის მოთამაშის კლუბში აყვანას უეაფსგან საგანგებო ნებართვა დასჭირდება, ხოლო ევროპული ფეხბურთის მესვეურთა გადაწყვეტილებას ფიფა დაამტკიცებს. მარკუს შტუდერის თქმით, მხოლოდ ფიფას ზეწოლას ძალუძს ამ პრობლემის მოგვარება.

ახალი წესი კლუბებს ხარჯებს მოუმატებს. მათ ევროპაში მოზარდის მშობლების ჩაყვანა და მათი შენახვაც მოუწევთ, ბავშვს სავალდებულო საშუალო განათლება უნდა მიაღებინონ, ხოლო თუ ის კარგი ფეხბურთელი ვერ გახდა და დაიწუნეს, სხვა სფეროში უნდა დაასაქმონ.

**გიორგი დარჯანია**



**შოტლანდიის** ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა გარი მაკალისტერმა ინგლისურ „ლივერპულთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ქოვენთრის" 35 წლის ნახევარმცველს თავის კლუბთან ხელშეკრულება 30 ივნისს უმთავრდება და „ლივერპულში" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავა.

**ესპანელი** ფორვარდი ხოსე მარი არ უარყოფს, რომ მალე, შესაძლოა „მილანი" დატოვოს და სამშობლოში დაბრუნდეს. მადრიდის „ატლეტიკოს" ყოფილ ფეხბურთელს ბილბაოს „ატლეტიკი", „რაიო ვალეკანო" და „ოსასუნა" იწვევს. „რამდენიმე წინადადება უკვე მივიღე, რომელიმე მათგანი უნდა ავირჩიო. იქნებ ეს „ოსასუნაც" იყოს. ეს ჩემი პირველი კლუბია, ფეხბურთის თამაში სწორედ იქ დავიწყე. ჯერჯერობით კონკრეტულად არაფერი ვიცი" — განაცხადა ხოსე მარიმ, რომელიც „ატლეტიკოდან" „მილანში" ზამთარში გადავიდა.

**რუსული** ცსკა-ს ფორვარდი არტიომ იენინი დაშავდა და მთელ სეზონს გამოტოვებს. ფეხბურთელმა რუსეთის თასის ფინალში მუხლის მყესები დაიზიანა. „იენინის დიაგნოზი ნამდვილად სამწუხაროა, იგი ჩვენ კარგა ხნით ველარ დაგვეხმარება" — განაცხადა ცსკა-ს მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ დოლმატოვმა, რომლის გუნდმაც რუსეთის ჩემპიონატი ერთობ უხეიროდ დაიწყო. იენინი ცსკა-ში წლის დასაწყისში იაროსლავლის „შინიკიდან" გადავიდა.

**ესპანურ** გაზეთ „ასის" ცნობით, „ჩელსის" ჰოლანდიელი ფორვარდის ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკის შეძენა სურს. ლონდონური კლუბი პრიმერადივიზიონიდან გავარდნილ „ატლეტიკოს" ფეხბურთელის სანაცვლოდ 17 მილიონ გირვანქას უხდის და შესაძლოა სულ მალე მიაღწიოს კიდეც საწადელს. ჰასელბაინკმა წლეულს წარმატებით ითამაშა და მიუხედავად იმისა, რომ მისი გუნდი პრიმერადივიზიონიდან გავარდა, 24 გოლი გაიტანა. „ჩელსის" ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშე კრის სატონია. ლონდონელებმა იგი 10 მილიონ დოლარად იყიდეს, მაგრამ სატონმა წლეულს მხოლოდ სამჯერ გამოიჩინა თავი.

**ნორვეგიელი** ფორვარდი რუნე ლანგე „ტრომსოდან" „ტრაბზონსფორში" გადაბარგდა, თურქულმა კლუბმა იგი 3,8 მილიონ დოლარად იყიდა. „გუნდებმა ერთმანეთში კონტრაქტი უკვე გააფორმეს, ახლა მხოლოდ ჩემთან პირადი საკითხებია მოსაგვარებელი, რასაც უახლოეს მომავალში გავაკეთებთ — განუცხადა ფეხბურთელმა ერთ-ერთ სააგენტოს და იქვე დასძინა — თურქულ ფეხბურთს ზოგი ეჭვის თვალით უყურებს. არადა, მათი ჩემპიონატის დონე საკმაოდ მაღალია, „ტრაბზონიც" კარგი გუნდია, ერთგული ქომაგები ჰყავს, საშინაო შეხვედრებში ტრიბუნები თითქმის ყოველთვის სავსეა". ლანგე ნორვეგიის ჩემპიონატის შარშანდელი ბომბარდირია. მისი გადაბირება „რუსენბორგსაც" სურდა, მაგრამ ვერ მოახერხა.

**ბრაზილიელმა** ზე რობერტომ, შესაძლოა „ლევერკუზენი" დატოვოს და სერია A-ს რომელიმე წამყვან კლუბში გადაბარგდეს. ფეხბურთელის შეძენა ტურინის „იუვენტუსს" სურს. ზე რობერტოს „ლევერკუზენთან" ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, მაგრამ თუ „იუვენტუსი" ხელსაყრელ წინადადებას შესთავაზებს, გერმანიის ვიცე-ჩემპიონი ბრაზილიელს, ალბათ, გაყიდის.

**ინგლისის** ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირ კევინ ფილიპსს „ლიდს იუნაიტედი" იწვევს. ბრიტანული სააგენტოების ცნობით, დევიდ ოლირის გუნდი თანახმაა, 26 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ სარეკორდო თანხა — 20 მილიონი გირვანქა გაიღოს. ფილიპსმა „სანდერლენდთან" მარტში ახალი, ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, იგი გუნდში ერთ-ერთი ყველაზე მაღალხელფასიანი მოთამაშეა და კვირაში 25 ათას გირვანქას იღებს. თუ „სანდერლენდმა" ფილიპსი გაყიდა, დიდ მოგებას ნახავს. კევინი გუნდში 1997 წელს ჩაირიცხა. „სანდერლენდმა" „უოტფორდს" მის სანაცვლოდ 625 ათასი გირვანქა გადაუხადა.

**არგენტინელმა** ნახევარმცველმა ხუან სებასტიან ვერონმა მალე შესაძლოა „ლაციოსთან" კონტრაქტი გაახანგრძლივოს და რომში 2005 წლამდე დარჩეს. ფეხბურთელი ამტკიცებს, რომ შეთანხმების გაგრძელება თავად „ლაციოს" პრეზიდენტმა სერჯიო კრანიოტიმ შესთავაზა: „რომში ბედნიერი ვარ, კრანიოტი კიდევ ხუთი წლით დარჩენას მთავაზობს" — განაცხადა არგენტინელმა. ვერონის „ლაციოდან" წასვლაზე ბევრი საუბრობდა, რომაული კლუბის პრეზიდენტმა კი ხაზგასმით აღნიშნა: „ფეხბურთელს 38 მილიონ გირვანქაზე ნაკლებ ფასად არ გავყიდი".

**პორტუგალიელი** ნახევარმცველის ლუიშ ფიგუს „ბარსელონადან" შესაძლო წასვლამ ბოლო ხანს მთელი საფეხბურთო სამყარო აალაპარაკა. ფეხბურთელის შესაძენად არაერთი ევროპული გრანდი იბრძვის. ფიგუს აგენტი ხოსე ვეგა ირწმუნება, რომ მას „მანჩესტერ იუნაიტედიდანაც" შეეხმიანნენ. „ჩვენ კონკრეტულ ინფორმაციაზე ვსაუბრობთ და არაფერს ვაზვიადებთ — განაცხადა ვეგამ — ფიგუს გადაბირებას ერთდროულად სამი სუპერკლუბი — „მანჩესტერ იუნაიტედი", „ლაციო" და „მილანი" ცდილობს. „ბარსელონაში ივლისში საპრეზიდენტო არჩევნებია, მაგრამ მანამდე რაიმე უნდა გადაწყდეს". გავრცელდა ხმები, თითქოს 27 წლის პორტუგალიელის ხელში ჩაგდება „იუვენტუსსაც" სურს და კატალონიელებს ფიგუსა და ზიდანის გაცვლას სთავაზობს.

**ჰოლანდიელი** ლუის ვან გაალი, რომელმაც „ბარსელონას" მთავარი მწვრთნელის პოსტი ცოტა ხნის წინ დატოვა, შესაძლოა დორტმუნდის „ბორუსიას" ჩაუდგეს სათავეში. გერმანულ კლუბს აპრილის შემდეგ დროებით უდო ლატეკი ავარჯიშებდა. მან თანამდებობა წინა კვირას დატოვა. „ბორუსიას" ხელმძღვანელები იმედოვნებენ, რომ ვან გაალს კონტრაქტს მალე შესთავაზებენ. სხვადასხვა სააგენტოებმა განსხვავებული ინფორმაციაც გაავრცელეს. დორტმუნდული კლუბის მომავალ თავკაცად ისინი „არსენალის" მწვრთნელ არსენ ვენგერს, ლევერკუზენელ კრისტოფ დაუმს, „ფიორენტინადან" სულ ახლახან დათხოვნილ ჯოვანი ტრაპატონის და „ბორუსიას" ყოფილ ფეხბურთელ მატიას ზამერს ასახელებენ.

**ესპანეთის** ჩემპიონ „დეპორტივოს" ნახევარმცველ ჯალმინიას უკვე მრავალმა ევროპულმა კლუბმა დაადგა თვალი. ლაკორუნიულ კლუბს წინადადებით წამყვანმა ინგლისურმა და იტალიურმა გუნდებმა მიმართეს, ყველაზე ხშირად გერმანიის ჩემპიონ მიუნხენის „ბაიერნს" ასახელებენ. სატრანსფერო თანხა არსად გაცხადებულა. „დეპორტივო" წინასასეზონო შეკრებას ივლისის შუა რიცხვებში დაიწყებს, მანამდე კი ფეხბურთელებს არდადეგები აქვთ.

**ინგლისის** ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედს" „ვალენსიას" მეკარის, სანტიაგო კანისარესის შეძენა სურს. „მანჩესტერში" ამჟამად მარკ ბოსნიჩი და რაიმონდ ვან დერ გოუ ასპარეზობენ. გუნდში იტალიელი მასიმო ტაიბიც ირიცხება, სერ ალექს ფერგიუსონი კი მაინც ახალ მეკარეს ეძებს. ესპანური სააგენტოების ცნობით, ინგლისის ჩემპიონები „ვალენსიასთან" მალე დაიწყებენ მოლაპარაკებებს.

# კუბო ორ ბორბალზე



გერმანიის 21-წლამდელთა ნაკრების წევრი ტომას ლიხნერი მოტოციკლით საგზაო კატასტროფაში მოჰყვა და დაიღუპა. ფეხბურთელმა სამი კვირის წინ „კაიზერსლაუტერნთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მას გერმანიაში ერთ-ერთ ახალგაზრდა პერსპექტიულ მოთამაშედ მიიჩნევდნენ. 31 მაისს ლიხნერს ნორვეგიის ნაკრების წინააღმდეგაც უნდა ეთამაშა, მაგრამ...

ფეხბურთელი თავისი მოტოციკლით ერთ-ერთ გზატკეცილზე მიდიოდა, როცა მანქანისთვის გვერდი უნდა აევლო, საჭე ვერ დაიმორჩილა, გზიდან გადავიდა და ხეს შეენარცხა. ლიხნერი ოთხშაბათს გარდაიცვალა.

კანდელში დაბადებულმა ლიხნერმა გერმანიის 21-წლამდელთა ნაკრებში 7 შეხვედრა ჩაატარა, მანამდე იგი 18-წლამდელთა გუნდშიც თამაშობდა.

„სამწუხარო ცნობამ ყველა შეგვაძრწუნა — განაცხადა ნაკრების მწვრთნელმა ჰანს ლოერმა — ლიხნერს გუნდური შეკრების და ოფიციალური მატჩების დროს ვხვდებოდი. იგი ძალიან პერსპექტიული ფეხბურთელი და ჩინებული პიროვნება იყო, დიდი მომავალი ელოდა".

# უფულო ეროვნული სიამაყე

## ერთი სუპერკლუბი 22 სკოლის სანაცვლოდ

სულ რაღაც ერთი კვირის წინ ვინ წარმოიდგენდა, რომ თურქული პრესის ფურცლებზე „გალათასარაის" საწინააღმდეგო სტატიები გაჩნდებოდა. მაგრამ ასეა, როცა საქმე დიდ ფულს ეხება, ყველაფერი დანარჩენი მეორეხარისხოვნად იქცევა ხოლმე.

17 მაისს კოპენჰაგენის „პარკენზე" ორასიოდე თურქი პარლამენტარი იჯდა და სხვებთან ერთად „მაშალა, გალას" გაიძახოდნენ. ახლა ისინი „გალათასარაის" საკითხს თავიანთ სამუშაო ადგილას — პარლამენტში განიხილავენ. საქმე სტამბოლური კლუბის ფინანსურ მდგომარეობას ეხება.

„გალათასარაი" ვალებში რომ იხრჩობა, საიდუმლო არ გახლავთ. თუ კლუბის მესვეურებმა სასწრაფოდ ფული არ იშოვეს, ის გაკოტრდება და მოგჭამათ ჭირი ეროვნულმა სიამაყემ. დახმარების მოსურნე გამოჩნდა — თურქეთის თანადგომის ფონდი. უთქვამთ, მზად ვართ, კლუბს 22 ტრილიონი ლირით (35 მილიონი დოლარი) გავუმართოთ ხელიო. მოკლედ, გარანტიას აძლევენ, მაგრამ...

ზემოთ აღშფოთებული თურქული პრესა ვახსენეთ. გაზეთმა „რადიკალმა" სტატია ასეთი სათაურით გამოაქვეყნა: „პატივმოყვარე ქვეყანა... პროფესიული გუნდი ხალხის ფულით იკვებება". იქვე დაანგარიშებულია, რომ აღნიშნული თანხით ოთხი საავადმყოფოს ან 22 სკოლის აშენებაა შესაძლებელი. თან ფონდი კერძო პირთა საკუთრება რომ იყოს, კიდევ არა უშავს, მაგრამ ის სახელმწიფოსია. ამასთანავე, რა დააშავეს სხვა გაჭირვებულმა კლუბებმა და სპორტის სხვა სახეობებმა?

საბოლოო სიტყვა პარლამენტზეა. დეპუტატებმა უნდა გადაწყვიტონ, შედის თუ არა „გალათასარაისთვის" 35 მილიონი დოლარის მიცემა სახელმწიფოს ინტერესებში. ამ დროს კი კლუბი ხმაურის ჩახშობას ცდილობს. მისმა პრესმდივანმა განაცხადა: „რა საჭიროა ამდენი ლაპარაკი? ჯერ გასარკვევია, საერთოდ მოგვცემენ თუ არა რამეს და თუ გაიმეტეს — რამდენს?" უკმაყოფილოა ფათიჰ თერიმიც: „გუნდს საკუთარი სტადიონი სჭირდება (სტამბოლის „ალი სამი იენი", სადაც თამაშობს, მას არ ეკუთვნის), სხვა უამრავი პრობლემაც მოსაგვარებელია და ნეტავ, რა სახსრებით?"

გეხსომებათ, ფათიჰ თერიმი ახლახან იმასაც ამბობდა, „გალათასარაი" სუპერკლუბად უნდა ვაქციოთო. ადვილი საქმე როდია. გეორგე ჰაჯი და გეორგე პოპესკუ ახალგაზრდები აღარ არიან. კოპენჰაგენური ფინალის გმირი კლაუდიო ტაფარელიც მალე წავა დიდი ფეხბურთიდან. თერიმს ჩინებული ახალგაზრდები კი ჰყავს, მაგრამ საეჭვოა, უხელფასოდ თამაში დიდხანს განაგრძონ. აგერ ჰაქან შუქურმაც ხომ დაიჩივლა, რვა თვეა, ხელფასი არ მიმიღიაო. ასე რომ, საკუთარ სტადიონს და სუპერკლუბს ვინ ჩივის, იქნებ „გალათასარაი" სულაც უფეხბურთელებოდ დარჩეს.

დიდი გუნდებიც ბევრი გვინახავს და უფულოებიც, მაგრამ უფულო სუპერკლუბი — არასდროს. ამბობენ, თანამედროვე თურქულ ფეხბურთში დიდი ფული იდებაო. „გალათასარაი" თუ სულს ლაფავს, ნეტავ, სად მიდის?

**გიორგი დარჯანია**



ფათიჰ თერიმს ფული აკლია, ქომაგთა სიყვარული — არა

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა

— დილა მშვიდობისა, სერ. დამეთანხმებით ჩინებული დღეა — თეთრსაყელოიანმა ჯენტლმენმა კები გაუშვა და უკიდურესად გაწკრიალებული ფეხსაცმელი კენტის საგრაფოს პატარა ქალაქ იდენბრიჯის ქვაფენილს დაადგა.

— როგორ გიკითხოთ, სერ. ვინძლო, გოლფის სათამაშოდ ჩამობრძანდით. ამას სპორტული ჩანთიდან გამოშვერილი ყვანჯის ტარზე გატყობთ. მეც იქით მივემართები, მიყვარს ცვრიან დილას გახალისება — გულღიად შეეგება ადგილობრივი ნოტარიუსი.

— ჩინებულია. მაშ თანამგზავრი ყოფილხართ. მართლაც რა დიდებული ქვეყანაა ინგლისი. ნიადაგ მზეა — განაგრძო საუბარი პირველმა.

— დიახ, სერ. მეტსაც გეტყვით. კვირაძალს ჩვენსა, პოლკოვნიკ სტეპლტონს წვიმა მოენატრა კიდეც.

— მართლაც სანატრელი გაგვიხდა. ბოლოს თუ არ ვცდები, 1867 წლის 18 ნოემბრის საღამოს იწვიმა.

— ეს მითხარით. საიდან ბრძანდებით?

— ლონდონიდან.

— ღმერთო ჩემო. ნუთუ ლონდონში კვლავ დარჩით ინგლისელები? — თანამოსაუბრენი ნება-ნება გაუყვნენ ჰივერ გოლფ ენდ ქანთრი კლაბის გზას.

— მესმის თქვენი ენამწარობა. მართლაც გვიჭირს. ბოლოჟამს დედაქალაქს უცხოტომელნი შემოეჩვივნენ. მრავლად დასახლდნენ არაბები, ინდოელები, ჩინელები, ფრანგები, ალბანელები. ასე განსაჯეთ, რამდენიმე ქართველიც კი.

— ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა. ქართველები? ნუთუ მართლა? თუმცა რამდენიმე ქართველი იმდენს ვერ დაგვაკლებს, რამდენსაც ეს ბაყაყიჭამიები, ფრანგები გვაკლებენ. ნახეთ, როგორ დამარცხდნენ უეფას ფინალში თურქებთან?

— ნუ გამახსენებთ. „არსენალის" სახელს ლაფი მისცხეს. არადა ძლიერ ვიმედოვნებდი, რომ იმ დღეს ინგლისელები გაიმარჯვებდნენ. ადამსი, პარლოუ, დიქსონი, კიოუნი, მისტერ სიმენი.

— მართლაც ნამდვილი ჯენტლმენები არიან. ეს ხომ მათი გარეგნობიდანაც ჩანს. განა შეიძლება მარტინ კიოუნს შეხედო და პატივისცემით არ განიმსჭვალო? ნიძლავს ჩამოვალ, ის საინტერესო თანამოსაუბრე იქნება. მასთან შორეულ აღმოსავლეთსა და ეთნოგრაფიულ საკითხებზე სიამოვნებით ვიმსჯელებდი. აგრეთვე დიდი სიამოვნებით შევექცეოდი ჭიქა ჩაის ტონი ადამსთან. ამბობენ, ჩაის დიდი მოტრფიალე ყოფილა.

— მართალი ბრძანებაა, მაგრამ რად გინდა, საძაგელმა ფრანგებმა... ნუ მახსენებთ, გეთაყვა. ნახეთ ის აუტანელი ვიეირა? როგორ ვერ ივარგა. არა, ფრანგი ჯენტლმენი არ არსებობს.

— ამბობენ, ვენგერიო, მაგრამ...

— ო, სერ, გეთაყვა, ნუ მიხსენებთ. აბა სად ის და სად ჩვენი სერ ალექსი. მიგიქცევიათ ყურადღება, რა დახვეწილი მანერებით გამოირჩევა?

— ვენგერი?

— როგორ გეკადრებათ. სერ ალექსზე მოგახსენებთ. ჭეშმარიტი ჯენტლმენია, მეფე ედუარდს მაგონებს. რაც შეეხება ვენგერს, იცით, მას არსენი ჰქვია. რას უნდა ნიშნავდეს ეს სახელი ნეტავ?

— ეს, თუ არ ვცდები, ქართული სახელია. მათ ენაზე ყაჩაღს უნდა ნიშნავდეს, ისევე როგორც კაკო.

— ღმერთო ჩემო! რა საშინელებაა. კაკო... როგორ ჰგავს კოკუს.

— და კოკოს? ვინ იყო კოკო?

— მგონი, ჟან კლოდ, თუ არ ვცდები, სიუდო. „ნანტს" წვრთნიდა ოდესღაც.

— ისევ ფრანგები. არა, ეს უკვე მეტისმეტია. სჯობს, ჩვენს თანამემამულეებზე ვილაპარაკოთ.

— მართალი ბრძანდებით. ამბობენ, პოლ ინსს მზეთუნახავი მეუღლე ჰყოლია...

მაღალი ბუჩქნარით შემოსაზღვრული შარაგზიდან გოლფის კლუბი გამოჩნდა. მარადიული ინგლისური მზე თანაბრად ანათებდა არაბთა, ჩინელთა, ალბანელთა, ფრანგთა და, ასე განსაჯეთ, ქართველთა გულებსაც კი.

**პაპუნა ძიდია**

**მექრთამე, შენქრთამე, ისქრთამე, ჩვენქრთამე, თქვენქრთამე, ისინიქრთამე**



მორცხვად თავი დახარე, ვერაფრით გამახარე

### რუმინეთი — ჰოლანდია
### რუმინეთი — საბერძნეთი

რუმინეთის ნაკრების მწვრთნელმა ემერიხ იენეიმ დაასახელა ის 26 ფეხბურთელი, რომლებიც ამ ორი ამხანაგური მატჩებისთვის მოემზადებიან

*მეკარეები: ბოგდან სტელია (სალამანკა, ესპანეთი), ბოგდან ლობონტი (აიაქსი, ჰოლანდია), ფლორინ პრუნია (უნივერსიტატეა);*

*მცველები: კოსმინ კონტრა (ალავესი, ესპანეთი), გეორგე პოპესკუ (გალათასარაი, თურქეთი), იულიან ფილიპესკუ (ბეტისი, ესპანეთი), ლივიუ ჩებოტარიუ (სტანდარდი, ბელგია), მიოდრაგ ბელოდედიჩი, იულიან მიუ (ორივე სტიაუა), სტეფან ნანუ (ვიტესი, ჰოლანდია), კრისტიან ჩივუ (აიაქსი, ჰოლანდია);*

*ნახევარმცველები: დან პეტრესკუ (ჩელსი, ინგლისი), კატალინ ჰილდანი, იონუტ ლუპესკუ (ორივე დინამო), მარიუს მალდარასანუ (რაპიდი), კოსტელ გალკა (ესპანიოლი, ესპანეთი), ერიკ ლინკარი, ლაურენტიუ როსუ (ორივე სტიაუა), დორინელ მუნტეანუ (ვოლფსბურგი, გერმანია), კატალინ მუნტეანუ (სალამანკა, ესპანეთი), გეორგე ჰაჯი (გალათასარაი, თურქეთი);*

*თავდამსხმელები: ფლორენტინ პეტრე (დინამო), ვიორელ მოლდოვანი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), ადრიან მუტუ (ინტერი, იტალია), ადრიან ილიე (ვალენსია, ესპანეთი), იონელ განეა (შტუტგარტი, გერმანია)*

## ამხანაგური მატჩები

31 მაისი

### ინგლისი — უკრაინა

უკრაინის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ვალერი ლობანოვსკიმ დაასახელა ის 26 ფეხბურთელი, რომლებიც „უემბლიზე" ალბიონელებთან სათამაშოდ მოემზადებიან.

*მეკარეები: ალექსანდრ შოვკოვსკი, ვიაჩესლავ კერნოზენკო (ორივე დინამო), იური ვირტი (შახტარი);*

*მცველები: ოლეგ ლუჟნი (არსენალი, ინგლისი), ვლადისლავ ვაშჩუკი, ალექსანდრ გოლოვკო, იური დმიტრულინი, ანდრეი ნესმაჩნი (ყველა დინამო), სერგეი პოპოვი, მიხაილ სტაროსტიაკი, ანატოლი ტიმოშჩუკი (ყველა შახტარი);*

*ნახევარმცველები: სერგეი კანდაუროვი (ბენფიკა, პორტუგალია), ანდრეი გუსინი, დმიტრი მიხაილენკო, სერგეი კორმილცევი, რომან მაქსიმიუკი, არტიომ იაშკინი, იგორ კოსტიუკი (ყველა დინამო), სერგეი კოვალევი, გენადი ზუბოვი (ორივე შახტარი), გენადი მოროზი, სერგეი მიზინი (ორივე კრივბასი);*

*თავდამსხმელები: ანდრეი შევჩენკო (მილანი, იტალია), სერგეი რებროვი (ტოტენჰემ ჰოთსპური, ინგლისი), სერგეი სერებრენიკოვი (დინამო), ანდრეი ვორობეი (შახტარი)*

3 ივნისი

### შვედეთი — ესპანეთი

შვედეთის ნაკრების მწვრთნელმა ესპანელებთან სათამაშოდ 20 ფეხბურთელს უხმო, ევროპის ჩემპიონატისთვის კი 22-კაციან სიას 26 მაისს ჩამოწერს.

*მეკარეები: მაგნუს ჰედმანი (ქოვენთრი, ინგლისი), მატიას ასპერი (აიკ), მაგნუს კილშტედტი (ბრანი, ნორვეგია);*

*მცველები: პატრიკ ანდერსონი (ბაიერნი, გერმანია), იოხიმ ბიორკლუნდი (ვალენსია, ესპანეთი), ტომას გუსტაფსონი (ქოვენთრი, ინგლისი), ტედი ლუჩიჩი (აიკ), ოლოფ მელბერგი (რასინგი, ესპანეთი), როლანდ ნილსონი (ჰელსინგბორგი), გარი სუნდგრენი (სარაგოსა, ესპანეთი);*

*ნახევარმცველები: ნიკლას ალექსანდერსონი (შეფილდ უენსდი, ინგლისი), ანდერს ანდერსონი (ოლბორგი, დანია), დანიელ ანდერსონი (ბარი, იტალია), იოჰან მიალბი (სელტიკი, შოტლანდია), მაგნუს სვენსონი (ბრონდბიუ, დანია), ფრედერიკ ლიუნგბერგი (არსენალი, ინგლისი), ჰაკან მილდი (გიოტებორგი);*

*თავდამსხმელები: იორგენ პეტერსონი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), კენეტ ანდერსონი (ბოლონია, იტალია), იესპერ ოსმანოვსკი (ბარი, იტალია)*

## იტალია

# გარდამავალი

იტალიის ჩემპიონის ბედი ბოლო ტურში გადაწყდა. შარშანაც ასე იყო. ისევე, როგორც წლეულს მთავარი დრამა მაშინაც პერუჯაში დატრიალდა. მოვლენათა ცენტრში მაშინაც „ლაციო“ იყო, ოღონდ გასულ სეზონში რომაელები მეორე ადგილზე დარჩნენ, ახლა კი, 1974 წლის შემდეგ მეორე სკუდეტო მოიპოვეს.

წინა სეზონში „ლაციო“ ლამის მთელი შეჯიბრების მანძილზე ლიდერობდა, ხოლო ამ სეზონში უმეტესად მდევარი გახლდათ. არა გვგონია ეს იმას ნიშნავდეს, რომ სერია A-ში ჩემპიონის ტიტულს აუცილებლად ის იგებს, ვინც შემოდგომიდან გაზაფხულამდე, მეორეზეა, მაგრამ იმას, რომ თავიდანვე ხელთ ჩაგდებული პირველობის შენარჩუნება ძალიან ძნელია — უპირველესად ფსიქოლოგიურად — ალბათ, მიუთითებს. გაუჭირდა თვით ისეთ გამოცდილ და მტკიცე ნერვებიან გუნდს, როგორიც „იუვენტუსი“ გახლავთ. 17 მარტს მოპოვებული 9 ქულიანი უპირატესობა ტურინელთათვის უმძიმესი ტვირთი გამოდგა. ყურადღება მიაქციეთ, ლაპარაკია გუნდზე, რომელმაც 9 თვიან, 34 თამაშიან შეჯიბრებაში მხოლოდ და მხოლოდ 20 გოლი გაუშვა. ამ მაჩვენებლით „იუვენტუსმა“ მნიშვნელოვნად აჯობა დანარჩენებს: მასთან ყველაზე ახლოს მდგომს, „ლაციოს“, 13-ით მეტჯერ მოუხდა ბურთის თავისი კარიდან გამოტანა.

და მაინც, ეს სეზონი წინასგან განსხვავდებოდა, ხოლო მთავარი განმასხვავებელი ნიშანი სკუდეტოსთვის მებრძოლი გუნდების რაოდენობა გახლდათ. თუ 1998-99 წლების სეზონის ბოლოს, შემაჯამებელ წერილთან ოთხი გუნდის დიაგრამა დავურთეთ, ახლა მხოლოდ ორის დიაგრამა მოგვყავს. დიახ, აწ უკვე გასული სეზონი როგორც იტყვიან ორი ცხენის დოღად იქცა — „იუვენტუსი“ თუ „ლაციო“, „ლაციო“ თუ „იუვენტუსი“.

ძნელია მათი ორი სიტყვით დახასიათება. თუმცა თავი იმით ვინუგეშოთ, რომ ქართველებს იტალიის ჩემპიონატის დაწვრილებით გაანალიზება არ გვჭირდება (შეუძლებელიცაა) და ამიტომ გავბედოთ:

„ლაციომ“, როგორც ზევით მოგახსენეთ, ისტორიაში მეორედ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის წოდება ანუ რომის ცისფერ ნაწილში მეორედ შეიკრიბა დიდი თაობა. პირველად, დაახლოებით 30 წლის წინ, „ლაციო“ იტალიელი ფეხბურთელებით გახლდათ დაკომპლექტებული ანუ სიტყვა თაობა ამ შემთხვევაში მართლაც პირდაპირი მნიშვნელობით შეიძლება ვიხმაროთ, დღევანდელ გუნდზე საუბრისას კი მას, თქვენი ნებართვით, ბრჭყალებში ჩავსვამთ. საქმე ის გახლავთ, რომ პოსტბოსმანურ ეპოქაში ფული იყოს და თაობას ყოველთვის შეკრებ.

ასეც მოიქცა კლუბის პრეზიდენტი სერჯო კრანიოტი, დიდი თანხა გაიღო და მთელი მსოფლიოს ვარსკვლავები შეყარა, მაგრამ, თუნდაც ვარსკლავური შემადგენლობით, გამარჯვებას ეტყობა კიდევ რაღაც სხვა სჭირდება — „ლაციოს“ ხომ სკუდეტოს მოსაგებად რამდენიმე წელიწადი დაეხარჯა, არადა შემადგენლობით არავისზე ნაკლები გახლდათ.

ამბობენ, მიზეზი შვედი მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონიაო. ძნელი სათქმელია. თუ გარეგნობის მიხედვით ვიმსჯელებთ ამ სათვალიან ინტელიგენტს ფეხბურთელების „გამხეცება“ უნდა უჭირდეს და ვინძლო ამიტომაც იტრიალა გუნდმა სამი სეზონი ოდენ ცხრილის სათავესთან, მაგრამ, მეორე მხრივ, ჰოლივუდის თანახმად ყველაზე მხეცები და მანიაკები ხომ სათვალიანი ინტელიგენტები არიან. მოკლედ, გადაჭრით ვერაფერს იტყვი, გარდა იმისა, რომ ერიკსონმა სკუდეტო მოუტანა გუნდს, რომელიც ტიტულს დაჩვეული არ იყო. სავარაუდოდ, „ლაციოში“ სათამაშოდ მოსული თუნდაც რკინის მკვნეტელი საერთო გავლენის ქვეშ ხვდებოდა და შესაბამისად, რკინის გაკვნეტამდე მართლაც დრო იყო საჭირო. გარდა ამისა, ერიკსონს ერთობ რთული დროება ერგო. იგი იმ თაობის მწვრთნელებს განეკუთვნება, რომლებმაც 15-17 ფეხბურთელიან გუნდთან მუშაობა იციან. იციან, რომ ამ ფეხბურთელებს შორის 6-7 უძლიერესია, ანუ ისინი ძირითად შემადგენლობაში უნდა იყვნენ და ასე შემდეგ. მაგრამ აღმოჩნდნენ ეპოქაში, სადაც პრეზიდენტებმა თავს ლამის ორი შემადგენლობა ვარსკვლავები დააყარეს, უეფამ კი ყოველ მეოთხე დღეს თამაში დაუნიშნა. დადგა გარდამავალი ხანა. ერიკსონს და მის პლეადას მუშაობის ახლებური წესის მოფიქრება მოუხდათ, ხოლო ეს, გვერწმუნეთ, გაცილებით ძნელია ვიდრე დამყარებულ გარემოში მოქმედება. ჩვენი დროება, ფაქტობრივად, 22 კაცის ისე შეთამაშებას ითხოვს, რომ ნებისმიერს, ნებისმიერ წამს შეეძლოს ძირითად შემადგენლობაში თამაში.

ერიკსონმა ეს მოახერხა — „ლაციო“ ჩემპიონია — მიუხედავად იმისა, რომ კლუბიდან გამოჟონილ ხმათა თანახმად ხან ერთი ვარსკლავი თაკილობდა შეცვლაზე შესვლას, ხანაც მეორეს შემოტმასნილი მაისურა აღიზიანებდა.

მაგრამ კითხვები რჩება. მაგალითად ასეთი: გადაიქცა კი „ლაციო“ გუნდად, რომელიც თვლის, რომ სკუდეტო ყოველ სეზონში მისი უნდა იყოს? იქცა კი ის იმად, რაც, ვთქვათ „იუვენტუსია“?

„იუვენტუსს“ მარჩელო ლიპისეული დიდი ეპოქის დამთავრების შემდეგ, ამ სეზონში, ახალი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი გაუძღვა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეპოქათა ცვლა ხშირად დიდ ჩავარდნებთან არის ხოლმე დაკავშირებული, უნდა ითქვას, რომ ტურინელები იოლად გამოვიდნენ. რისი და ვისი დამსახურებაა ეს? უპირველესად, ალბათ, კლუბის თავკაცობის, რომელმაც ახალი მწვრთნელიც დროულად იშოვნა, ფეხბურთელებიც შეინარჩუნა და ამბიციაც. შემდეგ, ცხადია ეს ანჩელოტის დამსახურებაა. მართალია ამ წერილის ავტორის აზრით, „იუვენტუსი“ მის ხელში გაცილებით „მშრალ“ ფეხბურთს თამაშობს, რაც, მაგალითად, თვალნათლივ ზინედინ ზიდანს დაეტყო, მაგრამ ეს კერძო აზრი და თუ გნებავთ გემოვნების საკითხია, მეტი არაფერი. ის, რომ გუნდი მეორეზე გავიდა და არა პირველზე ერთობ პირობითია: ორი ქულა იქით, ორი ქულა აქეთ...

გასული სეზონის ერთ-ერთი სიახლე ანდრეი შევჩენკოს „მილანი“ გახლდათ, ხოლო ბოლო დროს წამოჭრილი საკითხი, არის თუ არა შევჩენკო ვან ბასტენი, ლამაზსიტყვაობა გვგონია — ჯერ ერთი შევჩენკო შევჩენკოა, მეორეც დაანებეთ ვან ბასტენს თავი. თუმცა, პრაქტიკულად უკრაინელმა ფორვარდმა იტალიის 1999 წლის ჩემპიონს სხვა ელფერი მისცა. სავარაუდოდ, „მილანი“ მომავალ სეზონში უფრო ძლიერი და საინტერესო გუნდი გახდება, ხოლო ის, რომ შავ-წითლებმა სკუდეტოს ზედიზედ მეორედ მოპოვება ვერ შეძლეს, გასაოცარი არ უნდა ყოფილიყო.

„ინტერი“, „პარმა“, „რომა“ და „ფიორენტინა“... სერია A-ს სახის განმსაზღვრელი ეს გუნდები გასულ სეზონში, თითქოს სწორედ იმ პრობლემას ებრძოდნენ (ჯერჯერობით წარუმატებლად), რომელიც „ლაციოსა“ და სვენ გორან ერიკსონზე საუბრისას ვახსენეთ. გარდამავალ პერიოდს ერიკსონი რამდენიმე წელიწადია უტრიალებს, ფაბიო კაპელომ და მარჩელო ლიპიმ კი „რომასა“ და „ინტერში“ მხოლოდ პირველი სეზონი ჩაამთავრეს. „ფიორენტინას“ კი დიდი, მაგრამ ძველი თაობის მწვრთნელი, ჯოვანი ტრაპატონი წვრთნიდა და თუ ის, რაც ვთქვით, მართალია, გუნდის დაქვეითება ლოგიკური უნდა იყოს, ხოლო „პარმა“... კაცმა რომ თქვას „პარმას“ არაპარმული არაფერი ჩაუდენია.

**ბაჩუნა ძიძია**



REUTERS რომიდან

ლაციოელთა სიხარული უსაზღვროა. ლომბარდოს თავკაცობით ჩემპიონებმა მოედანზე მინი-შოუ მოაწყვეს




| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლაციო | | 0:0 | 4:4 | 2:2 | 0:0 | 2:1 | 2:0 | 2:1 | 4:0 | 1:0 | 3:1 | 3:0 | 4:2 | 3:1 | 3:0 | 3:2 | 2:1 | 2:0 | 34 | 21 | 9 | 4 | 64:33 | 72 |
| 2. იუვენტუსი | 0:1 | | 3:1 | 1:0 | 1:0 | 2:1 | 1:0 | 4:1 | 1:0 | 3:0 | 2:0 | 1:1 | 1:0 | 2:0 | 3:2 | 1:0 | 1:1 | 1:0 | 34 | 21 | 8 | 5 | 46:20 | 71 |
| 3. მილანი | 2:1 | 2:0 | | 1:2 | 2:1 | 2:2 | 1:1 | 4:0 | 3:3 | 3:1 | 4:0 | 2:2 | 2:2 | 4:1 | 2:0 | 3:0 | 2:2 | 1:0 | 34 | 16 | 13 | 5 | 65:40 | 61 |
| 4. ინტერი | 1:1 | 1:2 | 1:2 | | 5:1 | 2:1 | 0:4 | 3:0 | 3:0 | 5:0 | 1:1 | 1:1 | 6:0 | 3:0 | 1:1 | 3:0 | 2:1 | 2:1 | 34 | 17 | 7 | 10 | 58:36 | 58 |
| 5. პარმა | 1:2 | 1:1 | 1:0 | 1:1 | | 2:0 | 0:4 | 0:0 | 3:0 | 1:2 | 1:1 | 3:0 | 4:1 | 2:1 | 4:1 | 3:1 | 3:1 | 1:0 | 34 | 16 | 10 | 8 | 52:37 | 58 |
| 6. რომა | 4:1 | 0:1 | 1:1 | 0:0 | 0:0 | | 4:0 | 1:1 | 3:1 | 3:1 | 2:0 | 0:2 | 3:2 | 3:1 | 1:0 | 5:0 | 2:2 | 2:1 | 34 | 14 | 12 | 8 | 57:34 | 54 |
| 7. ფიორენტინა | 3:3 | 1:1 | 2:1 | 2:1 | 0:2 | 1:3 | | 1:1 | 4:1 | 1:0 | 2:2 | 1:0 | 3:0 | 1:0 | 1:1 | 3:0 | 2:0 | 2:1 | 34 | 13 | 12 | 9 | 48:38 | 51 |
| 8. უდინეზე | 0:3 | 1:1 | 1:2 | 3:0 | 0:1 | 0:2 | 1:1 | | 3:3 | 2:1 | 2:1 | 3:2 | 2:1 | 5:1 | 0:0 | 5:2 | 5:2 | 3:0 | 34 | 13 | 11 | 10 | 55:45 | 50 |
| 9. ვერონა | 1:0 | 2:0 | 0:0 | 1:2 | 4:3 | 2:2 | 2:2 | 2:2 | | 2:0 | 0:0 | 1:1 | 2:0 | 0:1 | 0:1 | 1:0 | 2:0 | 1:0 | 34 | 10 | 13 | 11 | 40:45 | 43 |
| 10. პერუჯა | 0:2 | 1:0 | 0:3 | 1:2 | 1:1 | 2:2 | 1:2 | 0:5 | 0:0 | | 3:2 | 2:1 | 2:2 | 1:2 | 1:0 | 2:1 | 3:0 | 2:0 | 34 | 12 | 6 | 16 | 36:52 | 42 |
| 11. ბოლონია | 2:3 | 0:2 | 2:3 | 3:0 | 1:0 | 1:0 | 0:0 | 2:1 | 0:0 | 2:1 | | 0:1 | 2:0 | 1:0 | 0:0 | 1:1 | 1:0 | 0:0 | 34 | 9 | 13 | 12 | 32:39 | 40 |
| 12. რეჯინა | 0:0 | 0:2 | 1:2 | 0:1 | 2:2 | 0:4 | 2:2 | 0:0 | 1:1 | 1:1 | 1:0 | | 2:1 | 1:0 | 2:1 | 1:0 | 1:1 | 1:0 | 34 | 9 | 13 | 12 | 31:42 | 40 |
| 13. ლეჩე | 0:1 | 2:0 | 2:2 | 1:0 | 0:0 | 0:0 | 0:0 | 1:0 | 2:1 | 0:1 | 1:1 | 2:1 | | 1:0 | 2:1 | 2:1 | 2:1 | 0:1 | 34 | 10 | 10 | 14 | 33:49 | 40 |
| 14. ბარი | 0:0 | 1:1 | 1:1 | 2:1 | 0:1 | 0:0 | 1:0 | 1:1 | 1:1 | 0:2 | 1:1 | 1:1 | 3:1 | | 1:1 | 3:0 | 1:0 | 3:2 | 34 | 10 | 9 | 15 | 34:48 | 39 |
| 15. ტორინო | 2:4 | 0:0 | 2:2 | 0:1 | 2:2 | 1:1 | 1:0 | 0:1 | 0:3 | 0:1 | 2:1 | 2:1 | 1:2 | 3:1 | | 2:1 | 1:1 | 2:1 | 34 | 8 | 12 | 14 | 35:47 | 36 |
| 16. ვენეცია | 2:0 | 0:4 | 1:0 | 1:0 | 0:2 | 1:3 | 2:1 | 1:1 | 2:2 | 1:2 | 0:1 | 2:0 | 0:0 | 0:1 | 2:2 | | 3:0 | 0:0 | 34 | 6 | 8 | 20 | 30:60 | 26 |
| 17. კალიარი | 0:0 | 0:1 | 0:0 | 0:2 | 2:3 | 1:0 | 1:1 | 0:3 | 0:1 | 2:1 | 2:2 | 0:1 | 0:0 | 2:3 | 1:1 | 1:1 | | 3:0 | 34 | 3 | 13 | 18 | 29:54 | 22 |
| 18. პიაჩენცა | 0:2 | 0:2 | 0:1 | 1:3 | 1:2 | 1:1 | 2:0 | 0:1 | 1:0 | 0:0 | 0:0 | 0:0 | 1:1 | 2:1 | 0:2 | 2:2 | 1:1 | | 34 | 4 | 9 | 21 | 19:45 | 21 |

*დამატებითი მატჩი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის: ინტერი — პარმა 3:1.*

| ტური | ლაციო | | | ქულა | ქულა | იუვენტუსი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | (შ) | კალიარი | 2:1 | 3 | 1 | (შ) | რეჯინა | 1:1 |
| 2 | (ს) | ბარი | 0:0 | 4 | 4 | (ს) | კალიარი | 1:0 |
| 3 | (შ) | ტორინო | 3:0 | 7 | 7 | (შ) | უდინეზე | 4:1 |
| 4 | (ს) | პარმა | 2:1 | 10 | 7 | (ს) | ლეჩე | 0:2 |
| 5 | (შ) | მილანი | 4:4 | 11 | 10 | (შ) | ვენეცია | 1:0 |
| 6 | (ს) | უდინეზე | 3:0 | 14 | 13 | (ს) | რომა | 1:0 |
| 7 | (შ) | ლეჩე | 4:2 | 17 | 14 | (ს) | ბარი | 1:1 |
| 8 | (ს) | ინტერი | 1:1 | 18 | 17 | (შ) | პიაჩენცა | 1:0 |
| 9 | (შ) | ვერონა | 4:0 | 21 | 18 | (ს) | ტორინო | 0:0 |
| 10 | (ს) | რომა | 1:4 | 21 | 21 | (შ) | მილანი | 3:1 |
| 11 | (შ) | იუვენტუსი | 0:0 | 22 | 22 | (ს) | ლაციო | 0:0 |
| 12 | (ს) | პერუჯა | 2:0 | 25 | 25 | (შ) | ბოლონია | 2:0 |
| 13 | (შ) | ფიორენტინა | 2:0 | 28 | 28 | (შ) | ინტერი | 1:0 |
| 14 | (შ) | პიაჩენცა | 2:0 | 31 | 29 | (ს) | ფიორენტინა | 1:1 |
| 15 | (ს) | ვენეცია | 0:2 | 31 | 32 | (შ) | ვერონა | 1:0 |
| 16 | (შ) | ბოლონია | 3:1 | 34 | 33 | (ს) | პარმა | 1:1 |
| 17 | (ს) | რეჯინა | 0:0 | 35 | 36 | (შ) | პერუჯა | 3:0 |
| 18 | (ს) | კალიარი | 0:0 | 36 | 39 | (ს) | რეჯინა | 2:0 |
| 19 | (შ) | ბარი | 3:1 | 39 | 40 | (შ) | კალიარი | 1:1 |
| 20 | (ს) | ტორინო | 4:2 | 42 | 41 | (ს) | უდინეზე | 1:1 |
| 21 | (შ) | პარმა | 0:0 | 43 | 44 | (შ) | ლეჩე | 1:0 |
| 22 | (ს) | მილანი | 1:2 | 43 | 47 | (ს) | ვენეცია | 4:0 |
| 23 | (შ) | უდინეზე | 2:1 | 46 | 50 | (შ) | რომა | 2:1 |
| 24 | (ს) | ლეჩე | 1:0 | 49 | 53 | (შ) | ბარი | 2:0 |
| 25 | (შ) | ინტერი | 2:2 | 50 | 56 | (ს) | პიაჩენცა | 2:0 |
| 26 | (ს) | ვერონა | 0:1 | 50 | 59 | (შ) | ტორინო | 3:2 |
| 27 | (შ) | რომა | 2:1 | 53 | 59 | (ს) | მილანი | 0:2 |
| 28 | (ს) | იუვენტუსი | 1:0 | 56 | 59 | (შ) | ლაციო | 0:1 |
| 29 | (შ) | პერუჯა | 1:0 | 59 | 62 | (ს) | ბოლონია | 2:0 |
| 30 | (ს) | ფიორენტინა | 3:3 | 60 | 65 | (ს) | ინტერი | 2:1 |
| 31 | (ს) | პიაჩენცა | 2:0 | 63 | 68 | (შ) | ფიორენტინა | 1:0 |
| 32 | (შ) | ვენეცია | 3:2 | 66 | 68 | (ს) | ვერონა | 0:2 |
| 33 | (ს) | ბოლონია | 3:2 | 69 | 71 | (შ) | პარმა | 1:0 |
| 34 | (შ) | რეჯინა | 3:0 | 72 | 71 | (ს) | პერუჯა | 0:1 |



მარი პირსი



პიტ სამპრასი

# შიში ოხერია

**მადრიდის ღია პირველობა. ესპანეთი. თიხნარი. საპრიზო 170 ათასი $**

მადრიდის ღია პირველობა, თავისი მოკრძალებული საპრიზო ფონდისა და არცთუ შთამბეჭდავი შემადგენლობის მიუხედავად, ამ კვირაში საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა. თანაც ის, უპირველეს ყოვლისა, ერთეულების კი არა, წყვილების ბადეს ეხება. საქმე ის არის, რომ 5-წლიანი შესვენების შემდეგ ესპანეთის დედაქალაქში ასპარეზობს ჩოგბურთის ცოცხალი ლეგენდა, უიმბლდონის ცხრაგზის ჩემპიონი და მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი მარტინა ნავრატილოვა.

ამერიკის მოქალაქეობამიღებულმა ჩეხმა წლევანდელ უიმბლდონზე თამაშის სურვილი რამდენიმე კვირის წინ გამოთქვა, მერე კი უკეთ მომზადების მიზნით განრიგში კიდევ ერთი ტურნირი შეიტანა, შემდეგ მეორე, მესამეც და საბოლოოდ მადრიდში ამოყო თავი.

„ვერ ვიტყვი, რომ დავბრუნდი. არასოდეს მითქვამს, რომ წყვილებში აღარ ვთამაშებდი, მე ერთეულებზე ავილე ხელი. უბრალოდ, მსურს, უიმბლდონის ცენტრალურ კორტზე გამოვიდე. და რაკი ეს განსაკუთრებული ადგილია, არ მინდა, იქ მასხრად ამიგდონ“ — განაცხადა ნავრატილოვამ პრესკონფერენციაზე.

მარტინასა და მისი მეწყვილის, სამხრეთაფრიკელი მარიან დე შვარდტის მეტოქეები პირველ წრეში იაპონელი რიკა ჰირაკი და ამერიკელი მეგან შონესი იყვნენ.

43 წლის ნავრატილოვა, რომელსაც კარიერაში 165 წყვილების ტიტული მოუპოვებია, მაინცდამაინც შთამბეჭდავად ვერ გამოიყურებოდა, ხშირად ცდებოდა და მატჩის შემდეგ საკუთარი თავი მკაცრადაც გააკრიტიკა.

„მოწოდება ყოველთვის გიჭირებს საქმეს, თუ ჩემსავით დიდი ხანია, არ გითამაშია. ბურთს მეთევზესავით ვაგდებდი — ცოტა გაუგებარი, მაგრამ ფრიად ხატოვანი შედარება მოიშველია ვეტერანმა — მაგრამ ყველაზე მეტად მიღებამ გამიცრუა იმედები. მთლიანობაში ამიერიდან შეიძლება მხოლოდ მოვუმატო და, ალბათ, ასეც მოხდება“.

მცირე ხარვეზების მიუხედავად, ნავრატილოვას კორტი დამარცხებულის რანგში მაინც არ დაუტოვებია. მეორე ხელში მან და დე შვარდტმა 4:1 ჩამორჩენა აანაზღაურეს და 69 წუთში 6:3, 7:5 მოიგეს.

„მოსალოდნელზე ნაკლებად ვისიამოვნე და მეტად ვინერვიულე — აღიარა მარტინამ, რომელმაც კარგა ხანს არიგა ავტოგრაფები — არ ვიცი, უიმბლდონის შემდეგ რა იქნება, მაგრამ ერთეულებში თამაშს ნამდვილად არ ვაპირებ, ამას მეტისმეტად ბევრი შრომა სჭირდება. ერთი-ორი თვე გავერთობი და მერე ისევ ჰოკეიზე გადავერთვები“.

ნავრატილოვასგან განსხვავებით, ერთეულებში პირველად განთესილმა მარი პირსმა მადრიდი ნაადრევად და ცუდ გუნებაზე დატოვა.

ფრანგი ლამაზმანის მეტოქემ, გერმანა დი ნატალემ საკვალიფიკაციო ტურნირზე წააგო და ძირითად ბადეში მხოლოდ ერთ-ერთი მონაწილის უარის გამო, „იღბლიანი წაგებულის“ სტატუსით მოხვდა. თუმცა იღბალმა მას არც მერე აქცია ზურგი.

პირსმა მატჩის განმავლობაში აურაცხელი შეცდომა დაუშვა, იტალიელ გერმანას ყველანაირად შეუწყო ხელი და საბოლოოდ 4:6, 4:6 წააგო.

მეორე წრე: **ვირხინია რუანო პასკუალი** (ესპანეთი) — ემი ფრეზერი (2, აშშ) 6:2, 6:2; **ფაბიოლა ზულუაგა** (კოლუმბია) — აი სუგიამა (3, იაპონია) 6:2, 6:4; **ნიკოლ პრატი** (ავსტრალია) — პაოლა სუარესი (6, არგენტინა) 5:7, 5:0 — ტრავმა; **ივა მაიოლი** (ხორვატია) — კრისტინა ბრანდი (7, აშშ) 6:3, 5:7, 7:6 (7:1); **გალა ლეონ გარსია** (8, ესპანეთი) — რიტა გრანდე (იტალია) 6:4, 6:4.

**დიუსელდორფი. გერმანია. ATP ტურის გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატი. თიხნარი. საპრიზო 2 მილიონი $**

## წითელი ჯგუფი

### გერმანია 2:1 აშშ

პიტ სამპრასის ოცნებას, კარიერაში ერთხელ მაინც მოიგოს როლან გაროსი, ასრულება, ეტყობა, წლეულსაც არ უწერია. ამერიკელი თიხნარზე თავდაჯერებულად არასოდეს გრძნობდა თავს, მაგრამ საფრანგეთის ღია პირველობისთვის მზადება ამჯერად მეტისმეტად წარუმატებლად მიმდინარეობს.

ჯერჯერობით წითელ მიწაზე გამართული ოთხი მატჩიდან პისტოლ პიტმა სამი წააგო, მათ შორის გერმანელ ტომი ჰაასთანაც 5:7, 2:6 და შეხვედრიდან შეხვედრამდე მატების ნაცვლად სულ უფრო უარესად თამაშობს.

„ჯერაც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, თუმცა ამდენი წარუმატებლობა საკუთარი ძალების რწმენას ნამდვილად არ მმატებს. ყველანაირად ვცდილობ, სხვადასხვა სტრატეგიას ვიყენებ, მაგრამ არაფერი გამოდის“ — დაიჩივლა ამერიკელმა.

პიტის თანამემამულე ვინს სპედეას კი კიდევ უფრო უარესად აქვს საქმე. შარშან საუკეთესოთა ოცეულში მყოფ ამერიკელს სეზონში ერთი მატჩიც არ მოუგია და გერმანელ რაინერ შუტლერთანაც ვერ გატეხა ნავსი — 5:7, 6:3, 1:6.

### შვედეთი 2:1 სლოვაკეთი

**მაგნუს ნორმანი** (შვედეთი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 3:6, 7:6 (7:5), 6:3; **კაროლ კუჩერა** (სლოვაკეთი) — მიკაელ ტილსტრომი (შვედეთი) 6:0, 6:2; **ტილსტრომი** და **ნიკლას კულტი** — კუჩერა და ჰრბატი 6:4, 7:6 (7:4).

## ლურჯი ჯგუფი

### ავსტრალია 3:0 ჩილე

**ლეიტონ ჰიუიტი** (ავსტრალია) — მარსელო რიოსი (ჩილე) 5:0 — რიოსმა გადაღლილობის გამო მატჩის გაგრძელება იუარა; **პატრიკ რაფტერი** (ავსტრალია — ნიკოლას მასიუ (ჩილე) 4:6, 7:6 (7:4), 6:1; **ჰიუიტი** და **სენდონ სტოლი** — მასიუ და ჰერმეს გამონალი 6:1, 6:0.

### რუსეთი 2:1 ესპანეთი

**ფელიქს მანტია** (ესპანეთი) — ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) 6:3, 6:3; **მარატ საფინი** (რუსეთი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 7:6 (7:2), 6:1; **კაფელნიკოვი** და **საფინი** — ხაირო ველასკო და ხუან კარასკო 7:6 (7:5), 6:4.

მართებული იქნება, მარატ საფინს მეტსახელად „მარატ მრისხანე“ უწოდონ — 20 წლის ზორბა რუსთან შეხვედრისა მეტოქეებს უბრალოდ ეშინიათ.

ლურჯ ჯგუფში ორი წრის შემდეგ ავსტრალიელებსაც და რუსებსაც ორორი მოგება დაუგროვდათ და ფინალისტის ვინაობას ბოლო ტურში პირად შეხვედრაში გაარკვევენ, თუმცა ოზების რიგებში პატრიკ რაფტერს ვეღარ ვიხილავთ.

„საფინი ამჟამად ჩემზე გაცილებით უკეთ თამაშობს, ამიტომ მირჩევნია, სულ არ შევხვდე, ეს თავდაჯერებას შემირყევს. არ მინდა, პარასკევს ნოკაუტში ჩამაგდონ“ — იშვიათი გულწრფელობითა და ნერვიული სიცილით აღიარა რაფტერმა.

**ავთანდილ სვანიძე**



პატრიკ რაფტერი



# სარაევოში ბავშვს აწყენინეს

ასეც ასე: სარაევოში ალექსეი შიროვმა მსოფლიოს ჩემპიონს გადაუსწრო და ბევრი რამ მე-8 ტურში გაირკვევა, როცა გარი კასპაროვს ექნება ბოლო შანსი მისთვის ასე არახელსაყრელად ჩამოყალიბებული სიტუაციის შესაცვლელად. შიროვ-კასპაროვის პარტია მნიშვნელოვან კითხვებზე გასცემს პასუხს და, მათ შორის იქნებ იმაზეც, ტურნირს ვინ მოიგებს, თუმცა ფინიშამდე კიდევ სამი ტური იქნება დარჩენილი. ფაქტი კი ჯიუტია, ესპანეთის სადღეისოდ ერთადერთი კაცია, ვინც ღიად იტყვის, რომ კასპაროვი და ვლადიმერ კრამნიკი ის ხალხი არაა, ვინც ოქტომბერში მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინს სამართლიანად გაითამაშებს და რომ კრამნიკის ადგილი მას ეკუთვნის. საამისოდ შიროვს იურიდიული უფლება ექნება — 98-ში მან კრამნიკს პრეტენდენტთა ფინალი მოუგო, მაგრამ კასპაროვმა მეტოქედ ვლადი ირჩია — და მორალურიც: ლინარესში გვარიანად გამოსვლის შემდეგ შიროვმა მონაკოს უძლიერესი ტურნირი მოიგო და აგერ სარაევოშიც თავად მსოფლიოს ჩემპიონის გვერდზე ერთპიროვნული ლიდერი გახდა. ამასთან, მის პარტიებში რომანტიზმის დოზაც ერთობ ჭარბად შეინიშნება (რაც კასპაროვს ბოლო დროს ცოტა მოაკლდა). ამიტომ მე-8 ტურს დიდ ყურადღებას მივაქცევთ, მანამდე კი მეშვიდე იყო. შიროვს უბრალო მეტოქე არ ჰყოლია, ევგენი ბარეევი ეჯდა წინ, ჭადრაკო ელიტაში კარგახნის მივიწყებული რუსი მოჭადრაკე. ბარეევმა ფლანგის დაცვა აირჩია და პოზიციური ბრძოლა შესთავაზა მეტოქეს, ოღონდ როქი არ გაუკეთებია და თეთრების ძირითადი ყურადღებაც სწორედ ცენტრალურმა ვერტიკალებმა მიიპყრეს, სადაც შავი მეფის პოზიცია საკმაოდ ძლიერად გამოიყურებოდა. 21-ე სვლაზე შიროვმა ერთი პაიკი თავისებურად შესწირა და შედეგად შავების ცენტრალურ განლაგებას მოზრდილი ხვრელი გაუჩინა. ერთი თეთრი პაიკი მასში უყოყმანოდ შეიჭრა და შედეგიანად დადო თავი: შიროვის პოზიციური უპირატესობა უკვე ერთობ ცხადად გამოკვეთილიყო. რახან საქმე კარგად ჰქონდა, ექსრიგელმა, ცხადია, დაგროვილი სათამაშო პლუსების რეალიზება მოინდომა და შავების ბანაკის მეთოდური ნგრევა დაიწყო. ბარეევს ჯერ ერთი პაიკი დაელუპა, მერე მეორე, მესამე... 47-ე სვლაზე კი უიმედო ენდშპილში დანებდა. პარტია გარეგნულად არცთუ ეფექტური გამოდგა, თორემ პროფესიონალი მოჭადრაკეები მისი გარჩევით უეჭველად ბევრს ისიამოვნებდნენ.



ალექსეი შიროვი

სამაგიეროდ, კასპაროვისა და ალექსანდრ მოროზევიჩის დაჯახება საინტერესო სანახავი იყო და ტურის ულამაზესადაც აღიარეს. მოროზევიჩს ჩემპიონთან არ უმართლებს, მესამედ შეხვდა კარიერაში და მესამედაც შავებით, ოღონდ ამჯერად არამარტო თავის გადარჩენისთვის (ანუ ყაიმისთვის) იბრძოლა, იქითაც მოინდომა მეტოქის ჩაყლაპვა. რომ არ გამოუვიდა, ეს მეორე საკითხია, რაც მთავარია, ჟინიანად იჩხუბა. კასპაროვსაც რატომღაც ხელი რომ დაეკლო... ამიტომ გამოვიდა პარტია ლამაზი, თუმცა დიდხანს არ გაგრძელებულა, მხარეებმა მხოლოდ 23 სვლა გააკეთეს.

ფორიაქი დებიუტშივე დაიწყო, როცა ჯერ მოროზევიჩმა სცადა მეტოქისთვის საყვარელი დებიუტის მიჩეჩება და მერე კასპაროვმა. თავისი ვერც ერთმა გაიტანა, თამაში საკმაოდ იშვიათ, ვენის ვარიანტში გაგრძელდა და მე-12 სვლაზე კასპაროვმა ყმაწვილ მეტოქეს ერთი პაიკი მიასალა მის მეფეზე შეტევის ასაწყობად. მისი იერიში პერსპექტიული ჩანდა, მაგრამ ჩემპიონი მე-16 სვლაზე ბავშვურად შეცდა და ერთ წამში ასოთხმოცი გრადუსით შეტრიალდა საქმე — მოროზევიჩმა მოსაგები პოზიცია მიიღო, რომელიც ორი სვლის შემდეგ მისგან დაშვებული შეცდომის გამო უმალ გათანაბრდა. ამის შემდეგ კიდევ ხუთი სვლის განმავლობაში დაფაზე ძალლი პატრონს ვერ ცნობდა, მერე კი აღმოჩნდა, რომ კასპაროვს მუდმივი ქიში შესძლებია და ყაიმიც უმალ გაფორმდა, რაც კასპაროვისგან ლიდერობის დაკარგვას მოასწავებდა.

ზედიზედ მეოთხედ წააგო ეტიენ ბაკრომ და ჩვენ ვეკითხებით სარაევოს XIX კატეგორიის სუპერტურნირის მონაწილეებს: რა წესია ბავშვთან ამგვარი მოპყრობა? ამჯერად ეს კითხვა ყველაზე მეტად ვესელინ ტოპალოვს ეხება, რომელმაც ფრანგი მოზარდი მე-8 ტურში შავებით დაამარცხა, თანაც ისე, რომ ცხადად აგრძნობინა, სხვაობა ჩვენს შორის უდავოა და შენი ადგილი სხვაგან არისო. სხვაგანვე უნდა იყოს სერგეი მოვსესიანის ადგილიც. კასპაროვისგან „ტურისტად“ მონათლულმა, ბოლოს თეთრებით ივან სოკოლოვთან წააგო, ხოლო თავის სიტყვიერად შეურაცხმყოფელს ბოლო ტურში ხვდება.

**დავით გულუა**

**ვითარება 8 ტურის შემდეგ**

1. შიროვი — 5,5; 2. კასპაროვი — 5; 3-4. მოროზევიჩი, ადამსი — 4,5; 5-7. ტოპალოვი, ბარეევი, გეორგიევი — 4; 8. სოკოლოვი — 3; 9. გურევიჩი — 2,5; 10. შორტი — 2; 11-12. მოვსესიანი, ბაკრო — 1,5.



# კეტი სმიტის ოჯახში

როგორც თაფლი ბუზს, ისე იზიდავს ჯონ სმიტი მსოფლიოს რჩეულ მორბენლებს. ამ ამერიკელი მწვრთნელის შემწეობით დაფრთიანდნენ მორის გრინი და ატო ბოლდონი. ორიოდე თვის წინ 200 მეტრზე ქალთა რბენაში მსოფლიოს ჩემპიონი, ინგერ მილერიც მისი მოწაფე გახდა და სულ ცინცხალი ინფორმაციით, 400-მეტრიან დისტანციაზე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონს, ავსტრალიელ კეტი ფრიმენსაც ამიერიდან სმიტი გაწვრთნის. ეს ამბავი ლოს ანჯელესში გაცხადდა, სადაც სმიტის კლუბი მდებარეობს და სადაც იგი თავისი უნიკალური მეთოდებით ავარჯიშებს სპორტსმენებს. „დიდებული ამბავია ფრიმენის ჩვენს შორის ხილვა — თქვა სმიტმა გუშინწინ — იგი უიშვიათესი მორბენალია“. ფრიმენის პირველი გამოსვლა სმიტის ხელქვეით კალიფორნიულ მოდესტოშია დაგეგმილი, რაც სიდნეის ოლიმპიური ოქროს მოსაპოვებელ გზაზე პირველი რეპეტიცია იქნება.

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

# ტომარაძემ ნაკრების შემადგენლობა იძულებით დაასახელა

## გაგვიცინებთ დანიის ტურნირის გახსენებისას?

*საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ზურაბ ტომარაძის დებიუტი მარცხიანი გამოდგა. დანიის ქალაქ ვაილეში გამართულ ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლში ხუთი შეხვედრიდან ორის მომგებ ჩვენს ეროვნულ გუნდს შესარჩევი ტურნირისკენ მიმავალი გზა ამ ჯერზე მოეჭრა. მართალია, ჯერ ყველაფერი არ დაგვიკარგავს, ნაკრებს კიდევ აქვს ევრობასკეტ-2003-ზე მოხვედრის შანსი, მაგრამ თუ მარცხის მიზეზებს არ ჩავუღრმავდით, ეს შანსიც თვალსა და ხელს შუა გაგვიქრება. სამწუხაროდ, მიზეზი უამრავია და ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. რაც არ უნდა ვთქვათ, დამეთანხმებით, მწვრთნელის თვალით დანახულს სულ სხვა ფასი აქვს...*

*ზურაბ ტომარაძე უგუნებოდ დაგვხვდა, აშკარად არ იყო ლაპარაკის ხასიათზე, მაგრამ ინტერვიუ რომ ვთხოვეთ, უარი არ უთქვამს. რაც გინდათ, მკითხეთ, გულწრფელად გიპასუხებთო, და...*



**— გულშემატკივარი მეტისმეტად გულგატეხილია, მომავლის რწმენა იმედგაცრუებამ შეცვალა. ნუთუ ნაკრებს მეტის გაკეთება მართლა არ ძალუძს?**

— ქართულ კალათბურთს გარდამავალი პერიოდი უდგას, თაობები იცვლება. შეუძლებელია, ამან უმტკივნეულოდ ჩაიაროს, ხოლო როცა ამას პირობების უქონლობაც ერთვის, რეალურად ასეთ სურათს ვიღებთ. მოდით, ერთ რამეზე თავიდანვე შევთანხმდეთ, გაჭირვებაზე ნუ ვისაუბრებთ, წუწუნით ვერც ვერავის გავაკვირვებ და არც არაფერი შეიცვლება. მწვრთნელად რომ მნიშნავდნენ, მაშინაც კარგად ვიცოდი, თუ რა პირობებში მომიხდებოდა მუშაობა. რაკი დავთანხმდი, ესე იგი წაგებაზეც მე ვარ პასუხისმგებელი.

**— კარგით, ლუქსემბურგით დავიწყოთ. რით ახსნით იმას, რომ საქართველოს ნაკრები ამ ქვეყნის გუნდთან მარცხდება და თანაც 21 ქულით?**

— ფსიქოლოგიურად არ აღმოვჩნდით მზად. მათთან სათამაშოდ ზედმეტად თავდაჯერებულნი გავედით. არავის ვამტყუნებ, პირადად მეც ეჭვი არ მეპარებოდა, რომ გავიმარჯვებდით. ათ ქულას ვაგებდით და მაინც მშვიდად ვიყავით, ამისათვის კი დაგვსაჯა ლუქსემბურგმა. სხვათა შორის, ხელწამოსაკრავი გუნდი სულაც არ ყოფილა. არ მომერიდება და ვიტყვი, რომ ტაქტიკურად ჩვენზე უკეთ მომზადებული აღმოჩნდა. მეტოქე გაცილებით უფრო კარგად იყო შეთამაშებული, ვიდრე ჩვენ. წაგების ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ თბილისის დროით შუაღამეს მოგვიწია თამაშმა. სწორედ ამას ვაბრალებ, რომ ჩვენი ბიჭები ძალიან ინერტულად გამოიყურებოდნენ. იფიქრებდით, ძალდატანებით თამაშობენო. გარდა ამისა, იღბალმაც ზურგი გვაქცია, ბევრი ხელსაყრელი მომენტი გავუშვით ხელიდან. მოწინააღმდეგემ კი რაც ისროლა, ყველა ჩააგდო. ისე არ გამიგოთ, თავს ვიმართლებდე, რაც არ უნდა ყოფილიყო, ლუქსემბურგთან 21 ქულით წაგების უფლება მაინც არ გვქონდა.

**— ამ მარცხის შემდეგ რა ზომებს მიმართეთ მწვრთნელებმა?**

— დატუქსვით არავინ დაგვიტუქსავს. წარუმატებლობაში ყველას თანაბარი წვლილი მიგვიძღოდა. თამაშის შემდეგ, უბრალოდ, შევიკრიბეთ და კარგა ხანს ვისაუბრეთ, გარკვეული დასკვნები გავაკეთეთ და კალათბურთელებს მითითებები მივეცით.

**— იმაზე რაღას იტყვით, რომ ნაკრებმა სწორედ იმ მეტოქეებს მოუგო, ვისიც ყველაზე მეტად გეშინოდათ. გამგზავრებამდე ხომ თქვენ დანია და ირლანდია შერაცხეთ ფავორიტებად?**

— დღესაც ასე ვფიქრობ. როგორც გუნდი, დანია და ირლანდია ყველას სჯობდა, მაგრამ მათ წინააღმდეგ თამაშში გაამართლა ჩვენს მიერ შერჩეულმა ტაქტიკამ. ეს იქნებ იმანაც განაპირობა, რომ ამ გუნდებზე უფრო მეტ ინფორმაციას ვფლობდით, დანარჩენებზე კი საერთოდ არაფერი ვიცოდით. ამან მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საბოლოო შედეგზე. მაგალითად, კვიპროსი თურმე სულ სხვა სტილის კალათბურთს თამაშობს, მათთან შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ჩვენი ტაქტიკური არსენალის სიღარიბეში.

**— სამომავლოდ როგორ აპირებთ ამ ნაკლოვანების აღმოფხვრას?**

— გაცილებით მეტი კონტაქტები უნდა ვიქონიოთ ლეგიონერებთან, რასაც ისინი თავიანთ კლუბებში სწავლობენ, ნაკრებშიც უნდა დაინერგოს. უკეთესი იქნება, მწვრთნელებს სემინარებზე დასწრების საშუალება გვქონდეს, მაგრამ რაკი ეს არ ხერხდება, სხვა გზები უნდა ვეძიოთ.

**— მოდით, ისევ კვიპროსს დავუბრუნდეთ. ნაკრების ბედი ხომ სწორედ ამ ქვეყნის გუნდთან წაგებამ გადაწყვიტა...**

— კვიპროსს ძალიან გამოცდილი იუგოსლაველი სპეციალისტი წვრთნიდა. ერთ დროს ევროპაში მესამე ყოფილა რეიტინგით. ტურნირის დამთავრების შემდეგ მას პირადად ვესაუბრე და მითხრა, კვიპროსელებმა დიდი ფული გადამიხადეს და სამთვიან კონტრაქტზე დამიყოლიესო. ამ ხნის მანძილზე თურმე გუნდი არაერთხელ ჩასულა საბერძნეთში და ამხანაგური შეხვედრები გაუმართავს, შეკრებაზე კი ერთი თვით ადრე გადასულა. ჩემს კოლეგას არც ის დაუმალავს, რომ საქართველოსთან მატჩში მისმა გუნდმა შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინა, ჩემი ბიჭებისგან ამდენს არ ველოდიო, ამბობდა. არ გატყუებთ, შეიძლება ითქვას, მოგებული თამაში წავაგეთ, ბოლო წამებზე ერთ-ერთმა კვიპროსელმა სასწაულებრივი სამქულიანი ჩაგვიგდო და შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანა. იქ კი დამსახურებულად მოგვიგეს.

**— კვიპროსის მსგავსად რუმინეთთანაც ბოლო წამებზე დათმეთ მატჩი. რამ გამოიწვია ეს, გამარჯვება ნაადრევად ირწმუნეთ თუ მწვრთნელთა მხრიდან იყო შეცდომები?**

— ვფიქრობ, ერთიც და მეორეც. არ შეიძლება, რომ თამაში რაიმე ერთი კონკრეტული მიზეზით წააგო, შეცდომები კალათბურთელებმაც დაუშვეს და ჩვენც, მწვრთნელებმა. დიდი გავლენა იქონია გამოუცდელობის ფაქტორმაც. მწვრთნელებისთვის ამ დონეზე პირველი სერიოზული გამოცდა იყო, არც ის დაივიწყოთ, რომ მოთამაშეთაგან ბევრს დებიუტი ჰქონდა ნაკრებში.

**— სტატისტიკას თვალი რომ გადავავლოთ, ვნახავთ, რომ დანიაში გუნდის ლიდერობა ახალგაზრდებმა იტვირთეს. ფაჩულია, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო ქართველთაგან, სულაც პირველად თამაშობდა ეროვნულ გუნდში, ცქიტიშვილი მეორედ იყო გამოძახებული ნაკრებში... ელოდით ამ ბიჭებისგან ასეთ თამაშს?**

— რაკი ნაკრებში დავუძახეთ, ესე იგი, მათი გვჯეროდა კიდეც, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ფაჩულიასა და ცქიტიშვილის თამაშმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ისინი გუნდის წამყვან მოთამაშეებად ჩამოყალიბდნენ, რაც მათი ასაკის კვალობაზე გაოცებასაც კი იწვევს. მათ შემხედვარეს გული იმედით მევსებოდა. დანიაში ვირწმუნე, რომ ქართული კალათბურთი არ მომკვდარა, რასაც ბევრი ჩემი ოპონენტი ჯიუტად ამტკიცებს. ხშირად მოდიოდნენ ჩემთან სხვადასხვა გუნდების მწვრთნელები, უკლებლივ ყველას ფაჩულიასა და ცქიტიშვილის წლოვანება აინტერესებდა. აღტაცებულები მეუბნებოდნენ, მოვა დრო და რომ გაგახსენდებათ, ვისთან წააგეთ, გაგეცინებათო.

**— როგორ ფიქრობთ, დანიაში ყველა ღირსეული წაიყვანეთ?**

— ერთ რამეზე მწყდება გული, დავით უგრეხელიძე ნამდვილად იმსახურებდა თორმეტ რჩეულში ყოფნას, მაგრამ ამას, სამწუხაროდ, გვიან მივხვდით. მომავალში გამოირიცხება ასეთი შეცდომა.

**— კი, მაგრამ, უგრეხელიძე ნაკრებშიც გამოიძახეთ და საქმეშიც იხილეთ. თუ ასეა, რატომღა იუარეთ მისი დანიაში წაყვანა?**

— უგრეხელიძის სლოვენიიდან ჩამოსვლამდე გადაწყდა ყველაფერი. საემიგრაციო სამსახურისთვის უკვე გადაცემული იყო დანიაში წამსვლელთა სია, სადაც უგრეხელიძე არ იყო შეყვანილი.

**— ყოველივე ეს ძალიან უცნაურად ჟღერს...**

— ახლავე გაგარკვევთ. შეკრებაზე, როგორც წესი, თექვსმეტი კალათბურთელის გამოძახებას ვაპირებდი, ვიცოდი, რომ ყველა მათგანზე, შესაბამისად, ვიზები უნდა გაფორმებულიყო. დრო მქონდა, დავაკვირდებოდი კანდიდატებს და მათგან თორმეტ საუკეთესოს ავარჩევდი. უცებ კი მეუბნებიან, საემიგრაციო სამსახურს დღესვე თორმეტი კაცის სია თუ არ გადავეცით, დანიაში საერთოდ ველარ გავემგზავრებითო. გამოუვალ სიტუაციაში ჩავვარდი, სხვა გზა აღარ მქონდა, უგრეხელიძის უნახავად წაყვანას ვარჩიე, გამოცდილებს დავყრდნობოდი.

**— მათ კი ვერ გაამართლეს...**

— ამის თქმაც არ შეიძლება, მეტნაკლებად ყველამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, გამარჯვებისთვის ბიჭები არაფერს იშურებდნენ, მაგრამ მარტო თავდადება არ შველის საქმეს. ის, ვინც წავიყვანეთ და შედარებით სუსტად იასპარეზა, სულაც არ არის ცუდი მოთამაშე. ასეთი რამისგან არავინაა დაზღვეული. სპორტში ხშირად ხდება, როცა რაღაც მიზეზების გამო საკუთარ შესაძლებლობებს სრულად ვერ ავლენ. ეს ტრაგედიად არ უნდა ვაქციოთ.

მოთამაშეთა ძიებას ჩვენ, მწვრთნელები, კიდევ გავაგრძელებთ. არ დაგიმალავთ და მომავალში გუნდის კიდევ უფრო გაახალგაზრდავებაა მოსალოდნელი. უპირველესად, რაღაც უნდა დაგვიჯდეს, უკანახაზელი უნდა გამოვნახოთ, ყველაზე მეტად ნაკრებს სწორედ გამთამაშებლის პოზიციაზე უჭირს.

**— სიტყვამ მოიტანა და, ბევრი იმასაც ამბობს, უკანახაზის მოთამაშეთა შორის ტომარაძემ არასწორი არჩევანი გააკეთაო. ამას ძირითადად იმით ხსნიან, რომ დანიაში კლასიკური გამთამაშებელი არ იახლეთ.**

— ასეთი საქართველოში საერთოდ არ მეგულება და ვინმე თუ აღმოაჩენს, მადლობას ვეტყვი. ნაკრებში ვინც ვერ მოხვდა, მათგან რომელიმე იქნებ აზროვნებით მართლაც კლასიკური გამთამაშებელი იყოს, მაგრამ ფიზიკური მომზადებით, დაცვითი თამაშითა და აგრესიულობით, ვფიქრობ, ვერც ერთი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. საერთოდაც, ასეთი მოთამაშის გარეშეც შეიძლება ფონს გასვლა, თანამედროვე კალათბურთი სულ სხვა მიმართულებით მიდის, უნივერსალიზმმა ძალიან დიდი მნიშვნელობა შეიძინა, ასევე დიდი ყურადღება ექცევა დაცვაში თამაშს. ყველამ იცოდეს, ნაკრებში მხოლოდ ის მოხვდება, ვინც დაცვას თამაშობს, ამ კომპონენტის გარეშე ეროვნულ გუნდზე ნურავინ იოცნებებს.

**— თქვენი შეგირდებისგან ვის გამოარჩევდით?**

— მიჭირს რომელიმეს გამოყოფა, მაგრამ უთქმელობაც არ ივარგებს. ფაჩულიასა და ცქიტიშვილზე ზემოთაც გესაუბრეთ, მათთან ერთად ბოისას და კილაძეს დავასახელებდი, განსაკუთრებით კი — რამაზ გოგობერიშვილს. რამაზმა დამაჯერა, რომ მართლაც მაღალი კლასის მოთამაშე ყოფილა, მისი სახით საქართველოს ნაკრებმა ძალიან ძლიერი და გამოცდილი უკანახაზელი შეიძინა. გოგობერიშვილი დანიაში გუნდის გამოკვეთილი ლიდერი იყო.

**— ორიოდ სიტყვით სამომავლო პერსპექტივაზეც ვთქვათ. როგორ გესახებათ საქართველოს ნაკრები, ვთქვათ, ერთი წლის შემდეგ. გასად ხომ ევრობასკეტ-2003-ის შესარჩევ ეტაპზე მოხვედრის კიდევ ერთი შანსი მოგვეცემა...**

— მერწმუნეთ, სულ სხვა გუნდი იქნება, გაცილებით ძლიერი და შეკრულ-შეთამაშებული. გადაჭრით შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოს ეზრდება ძალიან ბევრი მაღალი კლასის მოთამაშე, ეს ახალგაზრდები მომავალ წლამდე უეჭველად დაოსტატდებიან და ცხადია, ქართულ კალათბურთს ამბიციაც მოემატება. ახლა მთავარია, ნაკრებმა საკუთარი სათამაშო ხელწერა გამოიმუშაოს, რასაც მხოლოდ და მხოლოდ პრაქტიკა სჭირდება. ეს თუ მოხერხდა, ძალიან მალე მაღალი მიზნებისთვის მებრძოლ გუნდად ვიქცევით.

**გიორგი ბიძაშვილი**

### საქართველოს ნაკრები ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე

| საქართველო | თ. | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხ. | პასი | ჩაჭ. | ფ. | ქ. | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გოგობერიშვილი | 5 | 140 | 12/20 | 13/37 | 7/10 | 8 | 13 | 11 | 11 | 70 | 14,0 |
| ფაჩულია | 5 | 117 | 24/47 | 0/0 | 15/20 | 34 | 5 | 10 | 22 | 63 | 12,6 |
| ცქიტიშვილი | 5 | 118 | 20/32 | 1/4 | 8/11 | 20 | 2 | 5 | 13 | 51 | 10,2 |
| ქარაბაქი | 4 | 102 | 13/25 | 0/2 | 14/22 | 22 | 0 | 6 | 7 | 40 | 10,0 |
| ხოშტარია | 5 | 96 | 12/25 | 3/11 | 7/10 | 3 | 9 | 5 | 13 | 40 | 8,0 |
| ბოისა | 5 | 108 | 5/13 | 4/15 | 9/12 | 13 | 4 | 8 | 19 | 31 | 6,2 |
| აბრამიძე | 5 | 119 | 6/13 | 3/19 | 4/8 | 5 | 8 | 9 | 11 | 25 | 5,0 |
| კოკოლიშვილი | 4 | 35 | 2/4 | 3/14 | 4/6 | 3 | 0 | 3 | 7 | 17 | 4,3 |
| ბეჟანიშვილი | 5 | 79 | 6/13 | 0/3 | 4/8 | 9 | 6 | 2 | 9 | 16 | 3,2 |
| კილაძე | 5 | 66 | 5/12 | 0/0 | 3/7 | 18 | 0 | 2 | 14 | 13 | 2,6 |
| ჯაფარიძე | 3 | 20 | 2/7 | 0/2 | 3/3 | 7 | 0 | 0 | 3 | 7 | 2,3 |
| დავითულიანი | 2 | 20 | 2/7 | 0/0 | 0/1 | 2 | 2 | 1 | 10 | 4 | 2,0 |
| სულ | 5 | — | 109/218 | 27/107 | 78/118 | 144 | 49 | 62 | 139 | 377 | 75,4 |

თურქეთი

# ილმაზის წუთი

პლეი ოფის ფინალი
(ოთხ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ეფესი | 1 |
| თოფაში | 3 |

**თოფაში 79:67 ეფესი**

თოფაში: რივერსი (6), რიმაცი (9), ქონუქი (5), ოქური (12), გრიფიტი (23), ილმაზი (10), ბაში (10), ფარსი (4), ერდენი
ეფესი: მულაომეროვიჩი (18), თურქოღლუ (8), ქუთლუაი (11), დრობნიაკი (6), ბეშოქი (19), ონანი (3), ვინსლოუ (2)

თუკი ბურსას „თოფაში" ქვეყნის ჩემპიონის ტიტულს შეინარჩუნებს, პირველ რიგში ალფერ ილმაზის დამსახურება იქნება. 25 წლის ტანხმელი ფორვარდი მესამე თამაშია სისხლს უშრობს სტამბოლის ეფესელთა ლიდერ დამირ მულაომეროვიჩს. თოფაშელის მჭიდრო მეურვეობით შეჭირვებული „ეფესის" გამთამაშებელი რიგიანად ვერ უძლევება თანაგუნდელთა შეტევებს, ხოლო სტამბოლელებს ისეთი კაცი ჯერ არ აღმოაჩნდათ, ვინც მულაომეროვიჩის ნაცვლად ილიდერებს.

ილმაზმა ფინალის მეოთხე თამაშის ბედი გადაწყვიტა. მულაომეროვიჩის მეურვეობაზე უკვე მოგახსენეთ. დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე, როცა „ეფესი" ოთხი ქულით მიუახლოვდა მთელი მატჩის განმავლობაში გვარიანად დაწინაურებულ „თოფაშს", ილმაზმა ერთწუთიანი სასწაული მოახდინა. ამ ხნის განმავლობაში მან ჯერ ბეშოქს ჩაუჭრა გადაცემა და გარღვევა ჩაგდებით დაასრულა, მერე მულაომეროვიჩის სამქულიანს დაუფარა, ბურთი წაართვა და ისევ გარღვევაზე ჩააგდო. ბოლოს კი თავად ჩააგდო სამქულიანი მიითვალა. „ეფესის" მომდევნო შეტევისას ილმაზმა მეხუთე პერსონალური მიიღო, თუმცა თამაშიდან დამშვიდებული გავარდა — მისმა ზედიზედ შვიდმა ქულამ „თოფაშს" გამარჯვება გაუნაღდა.

„თოფაშის" რიგებში ამერიკელები, გამთამაშებელი დევიდ რივერსი და ცენტრი რაშარდ გრიფიტი გამოირჩეოდნენ. პირველი ეშმაკურ კომბინაციებს ხლართავდა, ხოლო მეორემ ფარქვეშ ყველა და ყველაფერი წალეკა. გრიფიტმა 13 ბურთი მოხსნა. „ეფესში" კი ამჯერადაც საუკეთესო იყო ცენტრი ჰუსეინ ბეშოქი, ოღონდ მხოლოდ შეტევაში, რადგან დაცვაში ვერ მან და ვერც პრედრაგ დრობნიაკმა ვერ შეაჩერეს გრიფიტი და მეჰმეთ ოქური.

თურქეთის ჩემპიონი შესაძლოა დღესვე გაირკვეს. ფინალის მეხუთე მატჩს სტამბოლი უმასპინძლებს. თუ „ეფესმა" მოიგო, მაშინ მეექვსე შეხვედრა კვირას გაიმართება ბურსაში.

საბერძნეთი

# ოლიმპიაკოსი სუპერლიგაშია

მესამე ადგილისთვის
(სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 3 |
| აეკ | 1 |

**აეკ 67:72 პანათინაიკოსი**

აეკ: ჰანსელი (2), ოსალივანი (7), ხაძისი (11), კორონიოსი (5), დიკუდისი (6), მიუურსეპი (13), ბოუი (17), კაკიუზისი (6)
ოლიმპიაკოსი: ედვარდსი (7), პაპანიკოლაუ (4), რობინსონი (17), ნაკიჩი, ტომიჩი (5), ტარლაჩი (13), დე მიგელი (13), გრანტი (13)

ძვირად დაუჯდა ათენის აეკ-ს ცენტრ იაკოვოს ცაკალიდისის ტრავმა. სააპორტასა და საბერძნეთის თასის მფლობელმა შინ წააგო პირეოსის „ოლიმპიაკოსთან" და ქვეყნის ჩემპიონატის ბრინჯაოს გარდა სუპერლიგის საგზურიც დაკარგა. მომავალ სეზონში აეკი საპორტას თასის შენარჩუნებას შეეცდება, ხოლო „ოლიმპიაკოსი", „პანათინაიკოსთან" და პაოკ-თან ერთად სუპერლიგაში ითამაშებს.


ჯალენ როუზი

# როუზი ძალიან გაუმჯობესდა

24 მაისს ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ დაასახელა სეზონის მორიგი ტიტულის მფლობელი — ყველაზე გაუმჯობესებული მოთამაშე. იგი „ინდიანა პეისერზის" 203-მეტრიანი ფორვარდი ჯალენ როუზი გახლავთ. როუზმა არცთუ დამაჯერებლად იმარჯვა გამოკითხვაში — 121 შესაძლო ხმიდან სულ 32 დააგროვა, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა. როუზის უახლოესი მდევრები არიან: დალასელი დირკ ნოვიცკი (25 ხმა), დეტროიტელი ჯერი სტეკჰაუზი (19) და როუზის თანაგუნდელი ოსტინ კროშერი (17). აღსანიშნავია, რომ ერთი ხმა მიიღო „სან ანტონიოს" ფრთამ შონ ელიოტმა, რომელმაც სეზონის დაწყებამდე თირკმელი გადაინერგა, მაგრამ რაკი იგი მოედანზე დაბრუნდა, გმირის სახელი დაიგდო.

როუზი ლიგაში თავის მეხუთე და, ცხადია, საუკეთესო სეზონს ატარებს, რადგანაც ყველაზე გაუმჯობესებულად დაასახელეს. მისი სტატისტიკა ასე გამოიყურება: მატჩში საშუალოდ 18,2 ქულა, 4,8 მოხსნა, 4,0 პასი, 1,05 ჩაჭრა და 0,60 დაფარება. ამათგან პასის გარდა ყველა კომპონენტი საუკეთესოა მის კარიერაში. როუზმა წინა სეზონის მაჩვენებელი შვიდი ქულით გააუმჯობესა და თვით რეჯი მილერს ჩამოართვა გუნდის ბომბარდირობა.

როუზმა ასოციაციაში 1995 წელს შეაბიჯა. იგი „დენვერმა" აიყვანა დრაფტში მე-13 ნომრად. პირველ წელს ახალბედების მეორე ხუთეულში შეიყვანეს. „დენვერში" გატარებული კარგი სეზონის შემდეგ როუზს „ინდიანამ" დაადგა თვალი და იმდენად დიდი იყო კლუბის სურვილი, ეს პერსპექტიული ყმაწვილი თავისთან გადაეყვანა, რომ მის სანაცვლოდ გამოცდილი გამთამაშებელი მარკ ჯეკსონიც არ დაიშურა. 1996 წელს როუზი ახალ გუნდში გადავიდა. ერთი წლის შემდეგ კლუბმა მარკ ჯეკსონიც დაიბრუნა და „ინდიანა" კვლავ მოყოჩაღდა.

ჯალენ როუზი საკმაოდ შებერებულ გუნდში ახალი სისხლია, მომავლის „ინდიანაში" გუნდის ლიდერად მოიაზრება. იგი მეტად სახიფათოა მეტოქეთათვის, რადგან სიმაღლის კვალობაზე საკმაოდ სწრაფია და გარღვევებით იკლებს მეტოქის კალათს. ამ სეზონში მან სასტარტო ხუთეულში თვით ბარსელონას ოლიმპიური ჩემპიონი კრის მულინი შეცვალა. აღსანიშნავია, რომ საკმაოდ მობერებულმა მულინმა თვითონ ურჩია მწვრთნელსა და მეგობარ ლარი ბერდს, ამგვარად მოქცეულიყო. როგორც სეზონმა აჩვენა, ამით „ინდიანამ" მხოლოდ მოიგო.

მიუხედავად იმისა, რომ „ინდიანა" კვლავაც რჩება ლიგის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად, კლუბის ხელმძღვანელობა მის განახლებას აპირებს. შესაძლოა წავიდეს რეჯი მილერი და მას სხვებიც მიჰყვნენ, მაგრამ ჯალენ როუზს „მარდები" იოლად არ შეელევიან.

# მძინარე მზეთუნახავი აიზიასთან ერთად განდიდდა

„კალათბურთის დიდების დარბაზს", რომელსაც მასაჩუსეტსის შტატის პატარა ქალაქ სპრინგფილდში უდევს ბინა, 24 მაისს რამდენიმე ახალი წევრი შეემატა. მათ შორის, ვისაც „დიდების დარბაზმა" 2000 წელს კარი გაუღო, ორი დიდი კალათბურთელია — 70-80-იანი წლების სუპერვარსკვლავი, „მძინარე მზეთუნახავად" წოდებული ბობ მაკადუ და 80-90-იანი წლების დიდი მეპასე აიზია ტომასი. „მინდა, ყველას მივულოცო, ვინც ამ ისტორიულ 2000 წელს ჩვენს დიდ ოჯახში შემოაბიჯა. დამეთანხმებით, ნებისმიერი ადამიანისთვის, რომელსაც თავისი სიცოცხლე სპორტის ამ საოცარი სახეობისთვის შეულევია, „დიდების დარბაზში" არჩევა უდიდესი პატივი და სპორტული ცხოვრების გვირგვინია" — ამბობს „დიდების დარბაზის" ადმინისტრაციის შეფი გიბსონი.

ზემოხსენებული ორი დიდი კალათბურთელიდან ჩვენში აიზია ტომასს უფრო იცნობენ, ვიდრე ბობ მაკადუს. ალბათ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელის სპორტული მოღვაწეობის დროს საბჭოთა კავშირში ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაზე ბევრიც არაფერი იყო ცნობილი. მართალია, მაკადუს ტომასივით შორს არ გავარდნია სახელი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იგი ვინმეს ჩამოუვარდებოდა. თავისი დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშის სპორტული კარიერის პიკი მშფოთვარე 70-იან წლებს დაემთხვა, როდესაც საკალათბურთო ამერიკა ორად იყო გახლეჩილი (ნბა-ს გარდა არსებობდა არანაკლებ ძლიერი ლიგა — ამერიკის საკალათბურთო ასოციაცია, არანაკლებ ძლიერი მოთამაშეებით). 70-იან წლებში ყველას ჩრდილავდა 218-სანტიმეტრიანი ცენტრი ქარიმ აბდულ ჯაბარი, მაგრამ მას სერიოზული კონკურენტი ჰყავდა მაკადუს სახით. ცენტრის კვალობაზე საკმაოდ დაბალმა, 206 სანტიმეტრის სიმაღლის პატრონმა ბობმა, ქარიმს ერთხელ, 1975 წელს, სეზონის უძვირფასესის წოდება და სამჯერ ბომბარდირობა აართვა. მისი გუნდი „ბუფალო ბრეივზი" ლიგაში ერთ-ერთ საუკეთესოდ იქცა, თუმც ჩემპიონობას ველარ შეწვდა. თავისი დაუდეგარი ხასიათის წყალობით, მაკადუმ ნბა-ში გატარებული 14 სეზონის განმავლობაში შვიდ გუნდში მოასწრო თამაში და საშუალოდ მატჩში 22,1 ქულა მოაგროვა. „ლეიკერსის" რიგებში იგივე ჯაბართან და მეჯიქ ჯონსონთან ერთად 1982 და 85 წლებში ორჯერ ჩემპიონობაც მოიპოვა. ნბა-ში „ფილადელფიის" რიგებში გატარებული თავისი ბოლო სეზონის შემდეგ, 1986 წელს, უკვე საკმაოდ შებერებულმა მაკადუმ ევროპას, კერძოდ კი იტალიას მიაშურა და იქაც ნაყოფიერად ილვაწა. იტალიურ „ტრეისერში" გატარებული შვიდი სეზონის შემდეგ მისი მაჩვენებელი საშუალოდ მატჩში მოგროვილი 26,6 ქულა იყო. მისი გამოცდილების წყალობით, „ტრეისერი" ჩემპიონთა თასის მფლობელიც გახდა. 1996 წელს „მაიამი ჰითის" ახალდანიშნულმა მთავარმა მწვრთნელმა პატ რაილიმ მაკადუ თანაშემწედ მიიწვია და იგი დღესაც იქ მუშაობს.

აიზია ტომასს დიახაც ბობ მაკადუზე უკეთ ვიცნობთ. კალათბურთის ქართველ გულშემატკივარს მისი თამაშიც ტელევიზიით უხილავს. კარგად გვახსოვს მისი დაუცხრომელი ტემპერამენტი და გამარჯვებისაკენ უდიდესი სწრაფვა. ნბა-ს აყვავების ხანაში, როცა ლიგაში გიგანტები — ლარი ბერდი, მეჯიქ ჯონსონი და მაიკლ ჯორდანი მეფობდნენ, აიზია ტომასმა და მისმა „დეტროიტ პისტონზმა" ორჯერ — 1989 და 1990 წლებში ჩემპიონობა მოიპოვეს. მოკლედ, ტომასი გახლდათ ლიგის ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი გამთამაშებელი. მასზე წინ მხოლოდ მეჯიქ ჯონსონის და ოსკარ რობერტსონის დაყენება თუ შეიძლება. ტომასის თამაში მისივე მხიარული და უდარდელი ხასიათის შესაბამისი იყო. აიზია „ოლ სტარზების" დიდი მოტრფიალე იყო და ლიგაში ნათამაშევი 13 სეზონიდან თორმეტჯერ „ოლ სტარზში" მოხვდა. ორჯერ — 1984 და 86 წლებში — მისი უძვირფასესი მოთამაშეც გახდა. და აი, სპორტული კარიერის დამთავრებიდან ექვსი წლის შემდეგ ტომასი „დიდების დარბაზშიც" აირჩიეს.

აიზია ტომასისა და ბობ მაკადუს გარდა დიდების დარბაზს ოთხი ახალი წევრი შეემატა — ქალთა ნბა-ს მწვრთნელი პატ სამიტი, საკოლო კალათბურთში სახელგავარდნილი მორგან ვუტენი, ძველი გუნდის — „სირაკუზ ნეშნელზის" მფლობელი დენი ბაიზონი და სი ემ ნიუტონი, რომელიც ორმოცი წლის განმავლობაში ტენერის უნივერსიტეტის გუნდის მოთამაშეც გახლდათ, მწვრთნელიც და ადმინისტრატორიც.

ირაკლი ფირცხვილი

REUTERS მაიამიდან


„დიდების დარბაზში" მიღებულმა ბობ მაკადუმ პრესკონფერენცია მოაწყო

# მაიამი ჰითი: ნიქსთან ნიქსმა წაგვაგებინა

მიმდინარე პლეი ოფში, აღმოსავლეთ კონფერენციის ნახევარფინალში, „ნიუ იორკთან" დამარცხება ერთობ მწარედ აღიქვა „მაიამი ჰითმა". მაიამელებმა მარცხი მსაჯებს გადააბრალეს. სერიის მეშვიდე, გადამწყვეტი მატჩის 82:83 წაგების შემდეგ გუნდის ლამის ყველა მოთამაშემ, რომელსაც ტელევიზიამ შეხვედრის კომენტარი სთხოვა, მწარედ გააკრიტიკა მსაჯები (ამას ლანძღვა უფრო ეთქმის, ვიდრე კრიტიკა). ეს არავის ეპატია და ასოციაციის მხრიდან სანქციებმა არ დააყოვნა. კლუბ „მაიამი ჰითის" მფლობელი მიკი არისონი პირდაპირ ეთერში ბილწსიტყვაობისათვის 25 ათასი დოლარით დაჯარიმდა. სასჯელს ვერ გუნდის წამყვანი მოთამაშეები — ტიმ ჰარდევეი და ჯამალ მაშბურნი ასცდნენ. პირველს ოცი ათასის გადახდა მოუწევს, მეორეს — ათი ათასის. „ჩვენ კარგად გვესმის, რომ მათი აღშფოთება და ზრდილობის ყოველგვარ ზღვარს გადასული კრიტიკა დაძაბული მატჩითა და სერიაში დამარცხებით იყო გამოწვეული, მაგრამ იმ სიტყვებისთვის, რაც ითქვა, მათ აუცილებლად უნდა აგონ პასუხი" — ამბობს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი საკალათბურთო საქმეებში როდ თორნი.

აღსანიშნავია, რომ მაიამელები ჯერ კიდევ სერიის მეშვიდე მატჩის დაწყებამდე აპროტესტებდნენ ერთ-ერთი მსაჯის, მეტსახელად „ნიქსის" დანიშვნას, მაგრამ მათ ყური არავინ ათხოვა. ეს „ნიქსი" „მაიამის" მეტოქის — „ნიუ იორკ ნიქსის" თავგადაკლული ფანია, მისი მეტსახელიც აქედან მოდის და მაიამელები თვლიან, რომ სწორედ მან „დაწვა" „ჰითი" მეშვიდე თამაშში. მათი აღშფოთებაც და ლანძღვა-გინებაც ამ კაცისკენ იყო მიმართული.

# შეცვლის ტიხონენკო ერიომინს?

მოსკოვის ცსკა მეცხრედ გახდა რუსეთის ჩემპიონი და სუპერლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა. ჩემპიონატის დასრულებისთანავე არმიელთა მთავარმა მწვრთნელმა სტანისლავ ერიომინმა თანამდებობიდან გადადგომა ითხოვა. ერიომინმა ამის მიზეზად ევროლიგაში სუსტი გამოსვლა დაასახელა.

ცსკა-ს პრეზიდენტმა, „რუსული კალათბურთის მამამ" ალექსანდრ გომელსკიმ განაცხადა, რომ ერიომინს არმიული კლუბის წინაშე დიდი დამსახურება აქვს და არ ემეტება ასეთი კარგი სპეციალისტი გასაშვებად. თუმცა, თუ სტანისლავი დაიჟინებს, წინააღმდეგი ვერ წავალთო.

დაიწყეს ერიომინის შემცვლელის ძებნაც. არჩევანი ვალერი ტიხონენკოზე შეჩერდა. სეულის 1988 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ბოლო სამი სეზონი მოსკოვის არმიელთა კაპიტანი იყო. ამ კანდიდატურას გომელსკი მხარს უჭერს: „ტიხონენკო დიდი მოთამაშე და კომუნიკაბელური პიროვნებაა. დარწმუნებული ვარ, გუნდს კარგად უხელმძღვანელებს, თანაც ცსკა-ს სამზარეულოს კარგად იცნობს. ვალერის უკვე ვესაუბრე და დავითანხმე. მას დღესვე შეუძლია მუშაობის დაწყება".

ამასობაში ხმა ამოიღო სტანისლავ ერიომინმა, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში დუმდა: „ვადასტურებ, რომ ცსკა-დან წავედი. რაც შეეხება ტიხონენკოს, მას წარმატება მინდა ვუსურვო. ვალერი წესიერი და პატიოსანი კაცია, თუმცა ვაფრთხილებ — ცსკა-ს მთავარი მწვრთნელად მუშაობისას ნაღდი ჯოჯოხეთი ელის".

ტიხონენკოს მთავარ მწვრთნელად დანიშვნას მხარი დაუჭირეს ცსკა-ს თანამფლობელებმა და რუსეთის არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის უფროსმა, ჭიდაობაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა მიხაილ მამიაშვილმა.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

გერმანია. II ბუნდესლიგა. 34-ე ტური

26 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 001 | მაინცი-ვალდჰოფი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 002 | ნიურნბერგი-მიონხენგლადბ. | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 003 | ქემნიცი-ბერლინი | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 004 | კოტბუსი-კიოლნი | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| 005 | ჰანოვერი-ბოხუმი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 006 | ფორტუნა-ოფენბახი | 2,0 | 3,0 | 2,0 |
| 007 | კარლსრუე-კიკერსი | 3,0 | 3,3 | 1,6 |
| 008 | ალემანია-ფიურტი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 009 | ზანქტ პაული-ობერჰაუზენი | 1,5 | 3,2 | 4,2 |

ინგლისი. პლეი-ოფი. ფინალი

26 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 010 | დარლინგტონი-პიტერბრო | 2,3 | 2,9 | 2,8 |

28 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 011 | ჯილინგემი-უიგანი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

29 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 012 | ბარნსლი-იფსვიჩი | 3,0 | 2,9 | 2,2 |

იტალია. სერია "ბ". 36-ე ტური

28 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 013 | ატალანტა-ფერმანა | 1,05 | 5,6 | 10,0 |
| 014 | კოზენცა-კიევო | 1,9 | 2,2 | 5,0 |
| 015 | ემპოლი-ალძანო | 1,5 | 2,5 | 7,5 |
| 016 | ნაპოლი-ბრეშა | 2,0 | 1,7 | 4,7 |
| 017 | პესკარა-პისტოიეზე | 1,8 | 2,5 | 5,3 |
| 018 | რავენა-სალერნიტანა | 2,4 | 2,5 | 2,9 |
| 019 | სამპდორია-სავოია | 1,05 | 5,6 | 10,0 |
| 020 | ტერნანა-მონცა | 2,0 | 2,4 | 4,0 |
| 021 | ტრევიზო-ჯენოა | 2,3 | 2,4 | 3,3 |
| 022 | ვიჩენცა-ჩეზენა | 1,5 | 2,5 | 6,0 |

იტალია "ც". პლეი-ოფი

28 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 023 | ბრეშელო-პიზა | 2,6 | 2,2 | 3,3 |
| 024 | ვარეზე-ჩიტადელა | 2,0 | 2,4 | 4,0 |
| 025 | კრემონეზე-ლეკო | 1,7 | 2,7 | 5,3 |
| 026 | მონტევარკი-ლუმეცანე | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 027 | არეცო-ანკონა | 2,2 | 2,5 | 3,4 |
| 028 | ვიტერბეზე-ასკოლი | 2,2 | 2,4 | 3,6 |
| 029 | ატლეტიკო-სტაბია | 2,6 | 2,4 | 2,9 |
| 030 | გუალდო-ფ.ანდრია | 1,9 | 2,4 | 5,0 |

ესპანეთი. II დივიზიონი. 41-ე ტური

27-28 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 031 | მერიდა-ესტრემადურა | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 032 | ტოლედო-ატლეტიკო "ბ" | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 033 | უელვა-ლეგანესი | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| 034 | სპორტინგი-ოსასუნა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 035 | ტენერიფე-კომპოსტელა | 1,9 | 3,1 | 3,0 |
| 036 | ლევანტე-კორდობა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 037 | ვილიარეალი-ლას პალმასი | 1,9 | 2,7 | 4,4 |
| 038 | ელჩე-ლოგრონიესი | 1,8 | 3,1 | 3,0 |
| 039 | ეიბარი-ლეიდა | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| 040 | ხეტაფე-სალამანკა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 041 | ბადახოსი-ალბასეტე | 1,8 | 2,9 | 4,2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოლანდია. გადასასვლელი ტურნირი. მე-4 ტური

28 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 042 | ემენი-გრონინგენი | 2,5 | 3,2 | 2,2 |
| 043 | მაასტრიხტი-ალმელო | 2,2 | 3,4 | 2,4 |

საბერძნეთი. 34-ე ტური

28 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 044 | აეკ-კალამატა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 045 | არისი-ოფი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 046 | ტრიკალა-პაოკ | 4,0 | 2,5 | 1,8 |
| 047 | იონიკოსი-ქსანთი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 048 | კავალა-პანათინაიკოსი | 3,0 | 3,0 | 1,5 |
| 049 | ოლიმპიაკოსი-პანაჰაიკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 050 | აპოლონი-ეთნიკოსი | 2,3 | 2,5 | 3,0 |
| 051 | პანილიაკოსი-პროდეფტიკი | 1,8 | 3,2 | 2,5 |
| 052 | პანიონიოსი-ირაკლისი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

პოლონეთი. 30-ე ტური

28 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 053 | ლეხი-გროცლინი | 2,3 | 3,0 | 2,4 |
| 054 | რაძიონკოვი-პოგონი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 055 | ვიძევი-სტომილი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 056 | პლოცკი-პოლონია | 3,0 | 1,8 | 2,0 |
| 057 | ოდრა-რუხი | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| 058 | ლეგია-ვისლა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 059 | ამიცა-ლკს | 1,4 | 4,2 | 3,6 |
| 060 | ზაგლებე-გურნიკი | 1,4 | 3,5 | 7,0 |

ავსტრია. 36-ე ტური

27 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 061 | ლუსტენაუ-ზალცბურგი | 3,0 | 3,0 | 2,0 |
| 062 | გრაცერი-ბრეგენცი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 063 | ტიროლი-აუსტრია | 1,2 | 3,5 | 7,0 |
| 064 | რაპიდი-ლინცერი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 065 | რიდი-შტურმი | 4,7 | 3,3 | 1,55 |

დანია. 33-ე ტური

28 მაისი

| | |
|---|---|
| 066 | ბრიონდბიუ-ოლბორგი |
| 067 | ორჰუსი-ვიბორგი |
| 068 | ესბიერგი-სილკებორგი |
| 069 | ჰერფიოლგე-კოპენჰაგენი |
| 070 | ლიუნგბიუ-აკადემისკი |
| 071 | ვაილე-ოდენსე |

რუსეთი. მე-10 ტური

26 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 072 | ლოკომოტივი-ჩერნომორეცი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 073 | კრილია-სატურნი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 074 | სპარტაკი-დინამო | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 075 | ფაკელი-ნ.ნოვგოროდი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 076 | როტორი-ანჟი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 077 | ალანია-ზენიტი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 078 | ურალანი-ტორპედო | 3,0 | 2,9 | 2,2 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 27 მაისი | | | |
| 079 | ცსკა-როსტსელმაში | 1,55 | 3,0 | 5,0 |
| | შვედეთი. მე-8 ტური | | | |
| | 28 მაისი | | | |
| 080 | გიოტებორგი-ნორჩიოპინგი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 081 | ჰალმსტადი-იორებრო | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 082 | ტრელებორგი-ჰამარბი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| | 29 მაისი | | | |
| 083 | ელფსბორგი-იორგრიტე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 084 | გაის-აიკ | 3,4 | 3,1 | 1,9 |
| 085 | ჰელსინგბორგი-სუნდსვალი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 30 მაისი | | | |
| 086 | ფრიოლუნდა-ჰეკენი | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| | ესპანეთი. თასის ფინალი (ვალენსიაში) | | | |
| | 27 მაისი | | | |
| 087 | ესპანიოლი-ატლეტიკო | 2,4 | 3,0 | 2,6 |
| | შოტლანდია. თასის ფინალი (ნეიტრალურზე) | | | |
| | 27 მაისი | | | |
| 088 | რეინჯერსი-აბერდინი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | შვეიცარია. თასის ფინალი (ნეიტრალურზე) | | | |
| | 28 მაისი | | | |
| 089 | ლოზანა-ციურიხი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | ევროპის ჩემპიონატი (21 წლამდე. სლოვაკეთში) | | | |
| | 27 მაისი | | | |
| 501 | ჰოლანდია-ხორვატია | 2,4 | 3,0 | 2,6 |
| 502 | სლოვაკეთი-თურქეთი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 503 | ესპანეთი-ჩეხეთი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 504 | იტალია-ინგლისი | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| | 28 მაისი | | | |
| 505 | ესპანეთი-ხორვატია | | | |
| 506 | ჩეხეთი-ჰოლანდია | | | |
| 507 | იტალია-სლოვაკეთი | | | |
| 508 | ინგლისი-თურქეთი | | | |
| | ამხანაგური მატჩები | | | |
| | 27 მაისი | | | |
| 509 | ინგლისი-ბრაზილია | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 510 | ნორვეგია-სლოვაკეთი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 511 | ჰოლანდია-რუმინეთი | 1,65 | 3,0 | 5,0 |
| 512 | ხორვატია-საფრანგეთი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | კალათბურთი | | | |
| | 26 მაისი | | | |
| 801 | პორტლენდი-ლეიკერსი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| | 27 მაისი | | | |
| 802 | ნიუ იორკი-ინდიანა | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| | 28 მაისი | | | |
| 803 | პორტლენდი-ლეიკერსი | | | |
| | 29 მაისი | | | |
| 804 | ნიუ იორკი-ინდიანა | | | |
| | ჰოკეი | | | |
| | 26 მაისი | | | |
| 805 | ფილადელფია-ნიუ ჯერსი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| | 27 მაისი | | | |
| 806 | დალასი-კოლორადო | | | |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ძიუდო

# ხაბარელის არჩევანი: სიდნეიში დავითაშვილი წავა



*ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატს ჩვენთვის საინტერესო ბევრ კითხვაზე უნდა ეპასუხა — ვის ანდობდა მწვრთნელი ოლიმპიადაზე მძიმე წონის სანაკრებო ადგილს, როგორ ფორმაში არიან გუნდის ლიდერები? მით უმეტეს, რომ ჩვენი სპორტსმენები სათანადო მოსამზადებელი პირობებით ვერ დაიკვეხნიან. ვროცლავში მოპოვებული ოთხი ბრინჯაოს მედალი გვაძლევს თუ არა დამშვიდების გარანტიას, ძნელი სათქმელია. ევროპის ჩემპიონატი მაინც საოლიმპიადო სამზადისის ერთი ეტაპია და ასეთ ტურნირებზე ფავორიტები ხშირად თავს იზოგავენ. მოკლედ, ნაკრების მთავარ მწვრთნელ შოთა ხაბარელისგან ბევრის გაგება გვსურდა და ამიტომ პოლონეთიდან დაბრუნებისთანავე შევეხმიანეთ.*

**— რვაკაციან გუნდში ოთხი მედლის მოპოვება ცოტა არ არის, მაგრამ შეიძლება მესამე ადგილები წარმატებად მივიჩნიოთ?**

— ამ ტურნირმა დაგვანახა, რომ ოლიმპიადისთვის მზადება ნორმალურად, შეუფერხებლად მიმდინარეობს. ვთვლი, რომ ეს ოთხი მედალი დიდი მიღწევაა და ძალიან კმაყოფილიც ვარ. ვაზაგაშვილის არყოფნაც უნდა ვახსენოთ, ეს რომ არა, უკეთესი შედეგი გვექნებოდა.

**— ოთხი ბრინჯაო ამ გუნდის მაქსიმუმი იყო?**

— რევაზიშვილს და ხერგიანს მეტიც შეეძლოთ. ისინი ნახევარფინალებში დამარცხდნენ. რევაზიშვილს რუს მაკაროვთან მსაჯებმა იპონის ნაცვლად ვაზარი მისცეს. მერე თვითონაც იპონით წააგო. აქ მსაჯების შეცდომაც აშკარაა, მაგრამ მაღალი დონის სპორტსმენი წმინდად არ უნდა აგებდეს. ეს უკვე გიორგის შეცდომა იყო, მაგრამ რევაზიშვილს ძალუძს ნაკლოვანებების გამოსწორება. 73 კილოში ის ერთ-ერთი უძლიერესია.

ხერგიანმა სამი შეხვედრა წმინდად მოიგო და ნახევარფინალში ფრანგ ერიკ დესპეზელს შეხვდა. ეს ფრანგთათვის მედლის მოპოვების ბოლო იმედი იყო და წარმატების მისაღწევად რომ ყველა ხერხს მიმართავდნენ, ცხადია. თანაბარ ბრძოლაში ხერგიანმა ერთი გაფრთხილებით წააგო. მესამე ადგილისთვის რომ ჭიდაობდა, მსაჯებმა თითქოს დაჩაგვრა დაუპირეს, მაგრამ ნესტორმა არაფერი დათმო.

**— ყველაზე უკეთ ვინ იჭიდავა?**

— ყველას გამოსვლით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ივერი ჯიქურაულმა გამაოცა. ის პოლონეთში ფეხმტკივანი ჭიდაობდა (ტრავმა თბილისში მიიღო ვარჯიშზე), მაგრამ ყველა ძირითად კონკურენტს მოუგო. თავიდან მომავალ ჩემპიონ სტიოპკინთან წააგო, მერე კი ოთხი მეტოქე დაამარცხა, მათ შორის, ორი ევროპის ექს-ჩემპიონი. ივერიმ ნამდვილი მებრძოლი სული გამოავლინა და დაამტკიცა, რომ ოლიმპიადაზე მედლისთვის ბრძოლა შეუძლია.

**— არ დაგიმალავთ, დავითაშვილის მედალი ჩვენთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო.**

— ჩემთვის ეს მოულოდნელი არ ყოფილა. მან სალიცენზიო ტურნირებზე სამი მედალი მოიპოვა, რაც ევროპისთვისაც იმედით გვავსებდა. მთლიანობაში ცუდად არ უჭიდავია და გერმანელ მიულერთანაც მხოლოდ ჰანტეით წააგო.

**— ამბობდით, რომ მძიმე წონაში ოლიმპიური გუნდის წევრს ამ ჩემპიონატის მერე დაასახელებდით...**

— კონკურენტები ალექსი დავითაშვილი და რამაზ ჩოჩიშვილი იყვნენ, რომლებმაც სალიცენზიო ტურნირები ქულათა თანაბარი რაოდენობით დაამთავრეს. ვროცლავში მედალს ორივესგან ველოდი, მაგრამ ის დავითაშვილმა მოიგო და ამ ეტაპზე აშკარად აჯობა კონკურენტს. ოლიმპიადაზეც დავითაშვილს წავიყვანთ. სხვა წონებშიც ყველაფერი გაირკვა და სიდნეიში ნესტორ ხერგიანი (60), გიორგი ვაზაგაშვილი (66), გიორგი რევაზიშვილი (73) და ივერი ჯიქურაული (100) იჭიდავებენ. 81-ში ლიცენზია ვერ მოვიპოვეთ. აი, 90-ში კი ჯერ არაფერი გადაგვიწყვეტია. ამ წონაში ოლიმპიადის საგზურები გია გუგავამ და ახალგაზრდა ზურაბ ზვიადაურმა დაისაკუთრეს. სამწუხაროდ, გუგავამ ახლა იმედი ვერ გაგვიმართლა. საბოლოო სიტყვას მწვრთნელთა საბჭო იტყვის, რომელიც უახლოეს ხანს შეიკრიბება. მანამდე კი ორივეს რომელიმე ტურნირზე გავუშვებთ. გუგავას, მართალია, დიდი გამოცდილება უმაგრებს ზურგს, მაგრამ სალიცენზიო ტურნირებში ზვიადაურმაც ჩინებულადაც იჭიდავა. ისეც ყოფილა, ახალგაზრდა სპორტსმენებს დიდი წარმატებისთვის მიუღწევიათ. თუნდაც დავით ხახალეიშვილი და ამირან ტოტიკაშვილი გავიხსენოთ. ამიტომ არ მინდა ავჩქარდე და შევცდე.

**— მახსოვს, სალიცენზიო ტურნირების დამთავრების მერე ბრძანეთ, ზვიადაური გუგავას ვერც კი შეედრებაო. არადა, ზვიადაურმა მთამზეჭდავად იასპარეზა — დებიუტანტმა მოსკოვში მესამე ადგილი დაიკავა, სოფიაში კი გაიმარჯვა. ეს წარმატება მაშინ იმით ახსენით, რომ მას არ იცნობდნენ, ხოლო როცა მის ჭიდაობის სტილს ალღო აუღეს, ვეღარაფერი გააკეთა. ახლა საწინააღმდეგოს ამბობთ...**

— სულაც არა. უბრალოდ, მაშინ ზვიადაურს ხელის ტრავმაც აწუხებდა. იმ ტურნირებზე გუგავა მართლაც გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა, მაგრამ ევროპის ჩემპიონატმა სხვა რამ დაგვანახა. ვიმეორებ, არ მინდა, მცდარი არჩევანი გავაკეთო, სიდნეიში ნამდვილად უძლიერესი უნდა წავიდეს. იქნებ ეს გუგავაც იყოს.

**— ევროპის ჩემპიონატმა სხვა რამ დაგვანახაო, თქვით. რას გულისხმობთ — ცუდად იჭიდავა გუგავამ?**

— მან ისე ძლიერად ჩაატარა სალიცენზიო ტურნირები, ევროპაზე მეტს ველოდით. ჯერ რუს სალიმოვთან დამარცხდა, რომელიც მისთვის უხერხული მეტოქეა. ფრანგ დემონფოკონსთანაც წააგო ორთაბრძოლა, რომელიც არ უნდა დაეთმო. რატომღაც წონის პრობლემ[...] შეექმნა. თუმცა არ მინდა, ამ ნიუანსებ[...] გული გაუტეხო. [illegible] თებთ, მაგრამ ასჯერ გაზომე და ერთხ[...] გაჭერიო, ხომ გაგიგიათ.

**— ამბობენ, რომ გუნდის ზოგ[...] ერთი წევრის ჯანმრთელობა არას[...] ხარბიელოა და მათთვის დიდი და[...] ტვირთვები მიზანშეუწონელია. ეს ხმ[...] ვაზაგაშვილის წამოუსვლელობამ კიდ[...] უფრო გაამყარა. გუნდში მდგომ[...] რეობა მართლა ასე საგანგაშოა?**

— ეს ჭორია და მეტი არაფერი. იგ[...] რომ გაგვეფანტა, სპორტსმენები გამ[...] ვიკვლიეთ იმ ბაზაზე, რომელიც ოლიმ[...] პიური გუნდის სამკურნალოდაა განკუ[...] თვნილი. მხოლოდ ვაზაგაშვილი[...] შეუძლოდ. სხვები ჯანმრთელები არია[...]

**— ევროპის ჩემპიონატმა ოლიმ[...] პიური მედლის პერსპექტივები, ალბათ[...] უფრო მკაფიოდ დაგანახათ...**

— სიდნეიში მედალს უფრო მსუ[...] ბუქი წონებისგან — 60, 66 და 73[...] ისგან უნდა ველოდეთ. თუმც შანს[...] სხვებსაც აქვთ. ჯიქურაული, მაგალი[...] თად, უშუალო კონკურენტებზე უკე[...] თესად გამოიყურება, მაგრამ ძალიან[...] მნიშვნელოვანია, ოლიმპიადისთვის ფსი[...] ქოლოგიურად როგორ მოემზადება.

**— დაბოლოს, მზადების გეგმ[...] ზეც გვითხარით.**

— ოლიმპიურ თამაშებამდე დარჩე[...] ნილი დრო დღეებით არის გათვლილი[...] მგონი, დაფინანსება არ შეგვიფერხდე[...] ბა, დანარჩენი კი ჩვენს მუშაობაზე[...] დამოკიდებული. 6 ივნისიდან ფსიქო[...] ლოგიური განტვირთვის მიზნით ზვის[...] პირეთში ვიწყებთ შეკრებას, საიდანაც[...] ბაკურიანში გადავინაცვლებთ. ხოლო[...] ის, თუ სად ჩავატარებთ მეორე ეტაპს[...] — ბაკურიანსა თუ თბილისში, ჯერ[...] არ გადაგვიწყვეტია. მზადებას კი თბი[...] ლისში დავამთავრებთ.

ირაკლი თამაძ[...]

ხელბურთი

# შანსიანი ქართველები

გუშინ ოსლოში ხელბურთელ ვაჟთა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი დაიწყო, რომელშიც საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით ითამაშებს: შოთა თევზაძე, რევაზ ჭანტურია, ედნარ ქარცივაძე, ლევან ოსიყმაშვილი, აკაკი ტალახაძე, დავით ნადირაძე, გიორგი ზაქარეიშვილი, გიორგი წივწივაძე, გიორგი ოთარაშვილი, გიორგი სახვაძე, გიორგი და მამია კობახიძეები.

ჩვენი გუნდი მეორე შესარჩევ ჯგუფში მოხვდა მასპინძლებთან, ესპანელებთან და ფრანგებთან. გუშინ ისინი ნორვეგიელებს შეხვდნენ, დღეს პირინეელებთან ითამაშებენ, ხვალ კი — ფრანგებთან, პირველ-მეორე ადგილებზე გასულები 18-27 აგვისტოს საბერძნეთში ფინალურ ეტაპზე გამოვლენ.

შესარჩევ ტურნირში სულ რვა ქვეჯგუფია, რომლებმაც 11 მონაწილე უნდა გამოავლინონ, მათ კი მასპინძლები დაემატებიან. შეიძლება ითქვას, პირველ-მეორე ჯგუფებს გაუმართლათ. ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, ორ-ორ ნაკრებს მხოლოდ ისინი მიავლენენ საბერძნეთში, დანარჩენები — თითოს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველა ჯგუფი ოთხგუნდიანი იქნება, საქართველოს ნაკრების შანსი იზრდება, მაგრამ პერსპექტივა? ნაკრებს ერთი შეკრებაც არ გაუვლია. მწვრთნელი ჯემალ ბარამიძე მხოლოდ ვარჯიშებითა და სტუ — „მართვესთან" საკონტროლო შეხვედრებით შემოიფარგლა. ამ მზადებით რომ შორს ანუ საბერძნეთში ვერ წავა, თვითონაც იცის. თუმც ამ გუნდს საქართველოს ხელბურთის ასოციაციაში მაინც იმედის თვალით უყურებენ. ეროვნულ ნაკრებს თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესი უკვე დაეწყო ვახტანგ მეიფარიანის წასვლით. ეს კი ორ-სამ წელიწადს გასტანს. ასოციაცია თადარიგს აქედანვე იჭერს — ახალგაზრდული ნაკრების ბევრი წევრი 1982 წელს და მის შემდგომაა დაბადებული. ეროვნული ნაკრებიც ახლანდელი გუნდის შემორჩენილ წევრებთან ერთად ამ ბიჭებზე უნდა აიგოს.

კიკბოქსინგი

# ხელგაშლილი კასანდრა



გიორგი ჩაკვეტაძე (მარცხნივ) მეტოქეებს იოლად გაუსწორდა

ყველა ხარისხის მედლით მკერდდამშვენებულნი დაბრუნდნენ ქართველი კიკბოქსიორები ბერძნულ კასანდრაში დასრულებული მსოფლიოს პირველობიდან. იქამდე მიღწევა იოლი არ ყოფილა. ავტობუსით მგზავრობამ ჩვენი ბიჭები ძლიერ დაქანცა და ამას საბაჟო მოუხერხებლობანიც ზედ დაერთო, განსაკუთრებით სარფში, თუმცა ჩვენებურებმა 5 ოქრო, 4 ვერცხლი და 2 ბრინჯაო მოინადირეს და გუნდური მესამე ადგილიც. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, კასანდრაში 55 ქვეყანა გამოდიოდა 1000-ზე მეტი სპორტსმენით.

10 მაისს 16-მა ქართველმა და მათმა ხელმძღვანელმა გოჩა ჯავახიამ დანიშნულ ადგილს უწიეს და ჩვენებურთა ტრიუმფიც დაიწყო. უფროსებში გიორგი ჩაკვეტაძე და შოთა ლომიძე ჩემპიონები გახდნენ, მეორეზე შალვა ავთანდილაშვილი, კობა ფონიავა და რამაზ კიკალიშვილი გავიდნენ, ხოლო ბრინჯაო ჩვენებურთაგან არავის რგებია. სამაგიეროდ, ამ ხარისხის ჯილდო 18-წლამდელებში მოვიპოვეთ. მესამეადგილოსანთა კვარცხლბეკზე გიორგი ჩიტაძე და ოთარ ბოკუჩავა შედგნენ, მეორეზე — ირაკლი კლენჯერიძე ვიხილეთ და სულ მაღლა — კობა კალაიჯიშვილი, ოთარ გოლოძე და არტურ კაზარიანი. ქართულ სპორტში გამეფებული უძრაობის ფონზე ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი წარმატებაა.

დავით გულუა

მშვილდოსნობა

# ფუტკარაძის ათიანმა გერმანელს ხელები აანევინა



ხათუნა ფუტკარაძე

ანთალიის ტურნირს უცხოურმა საინფორმაციო სააგენტოებმა მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატი უწოდეს. სამართლიანადაც —ერთი-ორი გამონაკლისის გარდა თურქეთში ყველა უძლიერესი მშვილდოსანი ჩავიდა. ანთალიას არც ხათუნა ქვრივიშვილი ესტუმრა. თუმცა თურქეთში, დიდი პრიზის ამ უძლიერეს ტურნირში მაინც ჩვენებურმა, ბათუმელმა ხათუნა ფუტკარაძემ იმარჯვა. ეს ევროპული დიდი პრიზის სერიის პირველი შეჯიბრი იყო და მისი მოგებით ფუტკარაძე პრესტიჟულ ჯილდოს მიუახლოვდა. ახლა ის გერმანიაში იმყოფება მეორე ტურნირში სასპარეზოდ. წასვლამდე ვესაუბრეთ მის მწვრთნელ თამაზ ფუტკარაძეს, რომელიც თბილისში სავიზო პრობლემების მოსაგვარებლად ჩამოვიდა.

**— ჯერ ანთალიის ტურნირზე ვისაუბროთ, სადაც უძლიერესი შემადგენლობა გამოვიდა. შეჯიბრებამდე თქვენ იქ შეკრებაც გაიარეთ და სერიოზულადაც ემზადებოდით, მაგრამ ჩემპიონობა მაინც მოულოდნელი იყო...**

— ანთალიაში ორკვირიანი შეკრება საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა გაგვიხერხა. ჩვენს გარდა იქ ათამდე გუნდი ვარჯიშობდა, ხოლო თვით ტურნირში შვიდი არაევროპული ნაკრები გამოდიოდა. ქალებში 100-მდე სპორტსმენმა მოიყარა თავი და ერთი-ორი გამონაკლისის გარდა თითქმის ყველა უძლიერესი მშვილდოსანი ასპარეზობდა.

წინასწარი სროლების მერე ხათუნა 592 ქულით 37-ე იყო. ჩვენი გუნდის მეორე წევრმა ასმათ დიასამიძემ 28-ე ადგილი დაიკავა და პლეი ოფის პირველივე წრეში ისინი ერთმანეთს შეხვდნენ. ხათუნამ 15 ქულით მოიგო. მერე 4-4 ქულით აჯობა ჩინელ ინგ ჰეს, რუს ნატალია ბოლოტოვას და მეოთხედფინალში ინგლისელ ალისონ ვილიამსონს გაეჯიბრა, ვისთანაც შარშანდელ მსოფლიოს პირველობაზე დამარცხდა. ამჯერად ხათუნამ გაიმარჯვა, თუმცა მხოლოდ ერთი ქულით და ნახევარფინალში გავიდა, სადაც გერმანელი ბარბარა მენსინგი დაამარცხა, ფინალში კი ნულე ვიბკეს სძლია 106:105. როცა ვიბკემ ასპარეზობა დაასრულა, ხათუნას ერთი ცდა კიდევ რჩებოდა. ისეთი ვითარება შეიქნა, ჩვენებურს საჩემპიონოდ მხოლოდ ათიანი სჭირდებოდა. ხათუნამაც ზუსტად ათიანში გაარტყა. ვიბკემ ერთი კი წაივლო თავში ხელები, მაგრამ მერე ღიმილით გადაეხვია და გამარჯვება მიულოცა, ჩემპიონობა წინასწარვე შენი ყოფილაო.

რაც შეეხება უშუალოდ შეკითხვას, ყველაფერი განწყობის საქმეა. ხათუნა ფსიქოლოგიურად კარგად მოემზადა. თავიდან რომ წაუვიდა სროლები, მერე აღარც უნერვიულია. ფინალში ისე მშვიდად ისროლა, ყველას გაუკვირდა.

**— ოლიმპიადამდე კიდევ რომელ შეჯიბრებებში აპირებთ გამოსვლას?**

— ახლა გერმანიაში მივემგზავრებით ამავე თასის მეორე ეტაპზე, 12-19 ივნისს კი ანთალიაში ევროპის ჩემპიონატზე ვიასპარეზებთ. ზუსტად ერთ თვეში მადრიდში მსოფლიოს უნივერსიადა გაიმართება, ხოლო აგვისტოში დანიაში ევროპის თასის სუპერფინალია. ოლიმპიადამდე ამ ტურნირებში გამოვალთ. აქვე გეტყვით, რომ ანთალიაში სამი ლიცენზიაც გაიცემა. იმედია, ერთს ასმათ დიასამიძეც მოიპოვებს და სიდნეიში გუნდურ ტურნირშიც ვიასპარეზებთ.

ირაკლი თამაძე



ტრადიციული ამბორი: ეტაპის გამარჯვებული ვიქტორ ჰუგო პენა იტალიელმა ლამაზმანებმა ჩაკოცნეს

# გაიცანით: ვიქტორ ჰუგო პენა

giro d'italia 2000

კოლუმბიელ ვიქტორ ჰუგო პენას სუფთა სინდისით შეუძლია „ჯირო დიტალიაზე" თავისი მისია ამოწურულად ჩათვალოს. გუშინ მან ვენეციის სიახლოვეს 42-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლა მოიგო და ხალხი გააოცა. ველოსპორტში კოლუმბიის სამგზის და ცურვაში ერთგზის ჩემპიონისგან ამგვარი მიღწევა გასაკვირია, რახან კოლუმბიური ველოსპორტის ფლაგმანობა „ჯიროს" მაგვარ ტურზე მეტად მცირე თამასუქია და საერთოდ, პენას „ჯიროზე" აქამდე ვერაფრით გამოეჩინა თავი, მხოლოდ 44-ე იყო გასული წლის ამავე ინდივიდუალურ რბოლაში, ცოტა ხნის წინ კი ერთ ეტაპზე მერვე ადგილზე გავიდა. მიუხედავად ამისა, კოლუმბიელმა გამარჯვება ღირსეულად აღიქვა. იტალიელებოო, უთქვამს პენას ჟურნალისტებისთვის, რად გაგიკვირდათ ჩემი წარმატება, როცა კოლუმბიასა და ესპანეთში ხალხი მიცნობს და მინიმუმ კარგი ინდივიდუალურად მრბოლი ვგონივარო. პენას დღეიდან უკვე „სარბიელის" მკითხველიც იცნობს, მაგრამ არა გვგონია, მისი გვარის ხსენება კიდევ დაგვჭირდეს — „ჯიროზე" მთიანი ეტაპები იწყება და იქ პენასა და მისთანების, რომელთაც ლარივით სწორი გზები უყვართ, ადგილი არ არის. მთებში სხვები იმეფებენ და ერთი მათგანი იქნებ იტალიელი ფრანჩესკო კასაგრანდე იყოს, რომელსაც ინდივიდუალურმა რბოლამ საერთო ჩათვლის ლიდერის ვარდისფერი მაისურა ვერ გაახდევინა, ოღონდ კასაგრანდეს პირველობა ახლა უკვე ბევრად მყიფე გახდა, ვიდრე ათი ეტაპის შემდეგ, როცა თვისტომ დანილო დი ლუკას (ვისზეც დიდებულმა ედი მერქსმა თქვა, ეს ბიჭი „ჯიროს" ფავორიტიაო) 51 წამს უგებდა. ახლა დი ლუკა კასაგრანდესგან ათი წამის სავალზეა და ესეც არაფერი: ლიდერს შვიდი წამით რუსი პაველ ტონკოვი ჩამორჩება, იტალიელი ვლადიმერ ბელი კი — სულაც ოთხით, ოღონდ ბელის შანსები სხვებისაზე ნაკლებად ფასდება და ფიქრობენ, რომ მთიანი ეტაპების დაწყება მას ცხრილის სიღრმისკენ გასტყორცნის. მოწინავე ათეულში სხვა ფავორიტებიც არიან, მაგალითად, „ჯიროს" ორჯერ მომგები, იტალიელი ივან გოტი. სამაგიეროდ, „რომანდიის ტურის" ტრიუმფატორი პაოლო სავოლდელი ჩაძირულა ოცეულის ბოლომდე და „მეკობრე" მარკო პანტანი ხომ საერთოდ... სპეციალისტთა აზრით, მათი მთავარი მიზანი „ტურ დე ფრანსია", „ჯირო" კი მხოლოდ ტრამპლინია ფორმის აღსადგენად და შესანარჩუნებლად. ალბათ ასეცაა, ველოსპორტის გრანდობა უკლებლივ ხომ მხოლოდ საფრანგეთში შეიყრება.

**დავით გულუა**

**მე-11 ეტაპი**

ინდივიდუალური რბოლა, 42 კმ

1. ვიქტორ ჰუგო პენა (კოლუმბია, „ვიტალიციო") — 49:25
2. იან ჰრუსკა (ჩეხეთი, „ვიტალიციო") — +11;
3. სერგეი გონჩარი (უკრაინა, „ლიკიგასი") — +1:06
4. ალვარო გონსალესი (ესპანეთი, „ვიტალიციო") — +1:32
5. ანდრეა პერონი (იტალია, „ფასსა ბარტოლო") — იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**

1. ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია, „ვინი კალდიროლა") — 54:46:35
2. ვლადიმერ ბელი (იტალია, „ფასსა ბორტოლო") — +4
3. პაველ ტონკოვი (რუსეთი, „მაპეი") — +7
4. დანილო დი ლუკა (იტალია, „კანტინა ტოლო") — +10
5. იან ჰრუსკა — +17.



NHL PLAY OFF

ნახევარფინალი

# დაბრუნდა, გაიტანა, წააგო

24 მაისი

აღმოსავლეთი

**ნიუ ჯერსი — ფილადელფია 3:3**

**ნიუ ჯერსი — ფილადელფია 2:1**

0:0 0:0 2:1

1:0 ლემიე 51'26 (4); 2:0 მოგილნი 56'33 (3); 2:1 ლინდროსი 59'31 (1)

როგორც იქნა, ფილადელფიას დაუბრუნდა ერიკ ლინდროსი. ტვინის შერყევამ ჰოკეისტი ერთობ დაასუსტა და იმან, რომ ორთვენახევრიანი შესვენების შემდეგ „მფრინავთა" ლიდერმა მხოლოდ მატჩის წინადღეს ივარჯიშა სრულფასოვნად, მავანთ აფიქრებინა, მისგან ბევრს არ უნდა ველოდეთო. ის კი არა, პრესამ ერთი ამბავი ატეხა, ღირს თუ არა საერთოდ ლინდროსის ყინულზე გაყვანაო. ისიც გავიხსენოთ, რომ ერთ-ერთ ინტერვიუში ერიკმა მკაცრად გააკრიტიკა ზოგიერთი პარტნიორი. ამის მერე საეჭვო იყო, რომ იგი კვლავ შეძლებდა თანაგუნდელთა ნდობის მოპოვებას. გარდა ამისა, აქამდე ფილადელფია უიმისოდაც იოლას გადიოდა, ხოლო მისი დაბრუნების გამო მწვრთნელებს სამეულების გადაწყობა მოუხდათ. თუმცა ლინდროსი, რომელიც მესამე ტრიოში დეიმონ ლენგკოუსა და ვალერი ზელეპუკინს შეუამხანაგდა, მატჩის მსვლელობისას თანდათან ათამაშდა და გუნდში საუკეთესოც აღმოჩნდა. სწორედ ერიკმა გაიტანა „მფრინავთა" ერთადერთი გოლი და თამაშს ინტრიგა ბოლომდე შეუნარჩუნა, მაგრამ დარჩენილ 29 წამში სტუმრებმა ველარაფერი მოახერხეს. ლინდროსით გაძლიერებული ფილადელფია მაინც დამარცხდა და გაფლანგა ის დიდი უპირატესობა, რაც სერიის განმავლობაში მოიპოვა.

მატჩის შედეგი რამდენიმე მიზეზმა განაპირობა. მოგეხსენებათ, ფილადელფიას სერიის წინა ორი საგარეო შეხვედრა კონტრშეტევებზე აგებულმა თამაშმა მოაგებინა. „მფრინავებმა" ამჯერადაც ნაცად ხერხს მიმართეს და პირველ პერიოდში კარგადაც გამოუვიდათ. ძნელი სათქმელია, რა მოხდა შემდეგ, მაგრამ ფაქტია — მეორე მესამედიდან მოყოლებული სტუმრები დაცვაზე გადაერთვნენ და მთლიანად დათმეს ინიციატივა. იქნებ ეს ნიუჯერსელთა დამსახურებაც იყო, მათ არჩეულ ტაქტიკას არ უღალატეს და პრესინგით თანდათან შებოჭეს მეტოქე. ბრაიან ბუშეს კართან ლამის ყოველ წუთს იქმნებოდა ხიფათი და სტუმრებს თანდათან უჭირდათ მოწინააღმდეგის შეჩერება. გადამწყვეტ მომენტში კი მასპინძლებს წინ წარუძღვათ სწორედ ის, ვისაც ეს, ალბათ, ყველაზე მეტად მოეთხოვებოდა. დიდებულმა კლოდ ლემიემ ბოლომდე იბრძოლა თითქოსდა დაკარგული შაიბისთვის, ენდი დელმორი აიძულა, შეცდომა დაეშვა, ჯეი პანდოლფოს დარტყმის შემდეგ კი დამატებაზე ყველას დაასწრო და თავისიანები დააწინაურა. ეს მისი მე-80 საპლეიოფო გოლი გამოდგა: ამით გამხნევებულმა ნიუჯერსელებმა ფილადელფიელები მთლად ჩაკეტეს მათსავე ზონაში და სანამ ანგარიში არ გაარმაგეს, არ მოისვენეს. კარს უკან მდგომმა სერგეი ბრილინმა გამოცდილ ერიკ დეჟარდენს შაიბა წაართვა და ალექსანდრ მოგილნის მიაწოდა, რომელმაც შანსი ხელიდან არ გაუშვა. დანარჩენი უკვე იცით, სტუმრებმა თამაში ველარ გადაარჩინეს და ახლა ყველაფერი ბოლო, მეშვიდე მატჩში გაირკვევა.

**სამველ ლარიბიანი**

Perla პერლა

პ ე რ ლ ა

Perla პერლა

მ ა რ გ ა ლ ი ტ ე ბ ი ს   მ ა ღ ა ზ ი ა







კოსტავას 47

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დანია

32-ე ტური: ვიბორგი — ვაილე 3:0; ოლბორგი — ორჰუსი 1:1; აკადემისკი — ბრონდბიუ 2:0; კოპენჰაგენი — ლიუნგბიუ 1:2; სილკებორგი — ჰერფიოლგე 1:1; ოდენსე — ესბიერგი 4:1

## შვედეთი

თასის ფინალი

პირველი მატჩი

აიკ 0:2 იორგრიტე

## პორტუგალია

თასის ფინალი

გადათამაშება

პორტუ 2:0 სპორტინგი

პირველი მატჩი 1:1

# ცხვირზე ჰკიდია

*ქვინ ქიზანს სახელმწიფო სიმბოლიკა სულ ცხვირზე ჰკიდია. წამოუცვამს ეროვნული დროშა და ერთ ძალიან გრძელსახელიანი ძალადობის საწინააღმდეგო, ბავშვებთან და ფეხბურთთან დაკავშირებული საზოგადოების (ვითომ ბავშვები ფეხბურთით სისასტიკეს ებრძვიანო) პროპაგანდას ეწევა. თანაც ინგლისის ნაკრებს ბრაზილიასთან ამხანაგური თამაშისთვის ამზადებს.*



REUTERS ლონდონიდან



# ძალიან უნდოდათ

*„ნიუ ჯერსი დევილზს“ „ფილადელფია ფლაიერზთან“ მოგება ძალიან უნდოდა. ისე უნდოდა, რომ თავის „მიდოუღლენდზ არენაზე“ ურტყა და ურტყა ბრაიან ბუშეს კარში, მაგრამ ბუშეც კერკეტი კაკალი გამოდგა. შეხედეთ, რა შეემთხვა: ჯეისონ არნოტის გაქანებული შაიბა ნიღაბში გაეჩხირა, მაგრამ ვითომც აქ არაფერიო, ახალი ნიღაბი მოირგო და თამაში განაგრძო. მასპინძლებმა მაინც მოიგეს, 2:1.*



REUTERS ბანგკოკიდან

# ბუდავიდი

*ბანგკოკში ერთი სახლია დიდი და გამორჩენილი, „ფერივას ტემპლ“ ჰქვია და შიგ ასზე მეტი ღვთაების ქანდაკება ასვენია. ახლახან სიწმინდეებს ერთი ახალი, მოოქროვილი და 30 სანტიმეტრიანიც დაემატათ.*

*ისე, ჩვენ კი ვიცით ვინც არის მასზე ბუდას სახით გამოსახული, მაგრამ აბა, მაინც თუ მიხვდებით...*

*ვინც ვერ მიხვდა, მათთვის: ეს ბუდა დევიდ ბექემია, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველი და როგორც ირკვევა, ნახევარღმერთიც.*

*მოკლედ, ერიდეთ სექტანტებს, თორემ რაში ჩაგითრევენ ვინ იცის.*

# არნი კედელზე

ჩინეთის დიდი კედლის შორიახლოა არნოლდ შვარცენეგერი, რომელსაც აქ ჩინეთის ოლიმპიური ჩირაღდანი აუბრიალებია. ეს იმას ნიშნავს, რომ არნოლდი მხარს უჭერს ჩინეთის ოლიმპიურ მოძრაობას, რომელშიაც ბარე ოცი მილიონი მოვარჯიშეა გაწევრიანებული. ჩინეთს 25 ათასი ნაღდი ათლეტი ჰყავს და მოძრაობა სულ უფრო სახალხო ხდება.



REUTERS მონაკოდან



# ჯამში მონტე კრისტო

*სამივეს ერთად იმდენი უშოვია, მონტე კრისტოს შეშურდება. ჰოდა, როგორც უნდათ, ისე ერთობიან. მსოფლიოს მუშტგანთქმული ჩემპიონი რეი შუგარ ლეონარდი (მარცხნივ), სილვესტრ სტალონე და ამის კოლეგა სამუელ ჯექსონი მონტე კარლოს გოლფ-კლუბში შეკრებილან და როგორც ძველ დროში იტყოდნენ, აქტიურად დაუსვენიათ.*

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge